J 3113
2

უდროოდ დაკარგული შესანიშნავი ნიჭის ჰაგრონი

ალექსანდრე მესხია

როგორც, მსხვერპლი საერთოდ მთელი ქვეყნის უკეთმართობისა და განსაკუთრებით კი ქართველთა შეგნებლობისა.

თავვადასავალი, წერილები, ფეორიზმები

ალექსანდრე მესხიასი

ლ

საუბარი თვითშემეცნებაზე

პავლე აკოგბიასი.

თბილისი

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. დიასამიძისა, სასახლის ქ.

1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 января 1905 года.

ალექსანდრე როსტომის ძე მესხია

(მოგონებანი).

1893 წ. ენკენისთვეში მე შევედი დაბა ზუგდიდის ახლად გახსნილ ოთხკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც მიმიღეს მეორე კლასში. აქ, სხვა ამხანაგთა შორის, იყო ორი ყმაწვილი: ალექსანდრე როსტომის ძე მესხია და გიორგი თეიმურაზის ძე გვათუა. მესხია იყო ახალი შემოსული და გვათუას კი მე წინათაც ვიცნობდი.—ცოტა ხნის შემდეგ მე და ამ ზემოხსენებულმა ყმაწვილებმა ერთმანეთი ახლო გავიცანით, ურთიერთს დავუახლოვდით და მტკიცედ დავმეგობრდით. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მეგობრული კავშირის მიზეზი, გარდა ჩვენის სულიერის ნათესაობისა, იყო ქართული წიგნები. სასწავლებელში ქართულს არ გვასწავლიდნენ, მაგრამ ჩვენ მას ფარულად ვსწავლობდით—ვშოულობდით აქ იქ ქართულს წიგნებს და ვკითხულობდით. ჩვენ არ გვყავდა კაცი, რომელსაც შესძლებოდა ჩვენთვის ხელმძღვანელობა გაეწია ქართულის შესწავლაში; არც საკმაო და კარგი წიგნები გვქონდა.—ჩვენ ვიძენდით იმ წიგნებს, რომლებიც შემთხვევით ხელში ჩაგვივარდებოდა და განურჩევლად ვკითხულობდით. ქართული წიგნებიდან ჩვენ ვგებულობდით ჩვენი ქვეყნის წარსულს და აწმყოს, ჩვენი ხალხის ცხოვრებას. ქართული წიგნები გვიხატავდნენ ჩვენ ქართველი ერის განვლილს გრძელს, ეკლით მოფენილს გზას... ქართული წიგნები გვიჩვენებდნენ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას... ქართული წიგნებით მოწოდებული მკვნესარე ხმა, ქართველი მწერლების მოთქმა, სწვდებოდნენ ჩვენს გულის სიღრმეს და რაღაც წარმოუდგენლად მოქმედებდნენ ჩვენზე. ვკითხულობდით ქარ-

თულ წიგნებს და ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავლის განსჯას ბევრს დროს ვანდომებდით.

აქ მე გულითადს მადლობას ვუძღვნი აწ განსვენებულს მღ. ვასილ ჯგუშიას, რომელმაც მე დამასწავლა ქართული წერა-კითხვა; მადლობას ვუძღვნი აგრეთვე სტეფანე დავითის ძეს გაგუას, რომელიც, ჩემი იქ ყოფნის დროს, ზუგდიდის ორ კლასიანი სკოლის გამგედ იყო. თუმცა სკოლაში ქართულს არ გვასწავლიდნენ, მაგრამ დიდი გავლენა იქონიეს ბ. გაგუას სიტყვებმა ჩემზე და ზოგიერთს ჩემს ამხანაგებზე. ჩვენ, სამს ამხანაგს—მესხიას, გვათუას და მე,—ძლიერ გვაწუხებდა ის, რომ ჩვენმა ამხანაგებმა არ იცოდნენ ქართული და თუ ზოგიერთებმა იცოდნენ, არ ეტანებოდნენ ქართულ წიგნებს, არა კითხულობდნენ; მათ არ აწუხებდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ამიტომ მოვილაპარაკეთ და დავადგინეთ ჩვენი კლასის ამხანაგები მიგვეზიდა ჩვენსკენ და ქართული წიგნების კითხვის ხალისი გაგვეღვიძებინა მათს გულში. ამ მიზნის მისაღწევად გადავსწყვიტეთ ამხანაგები მოგვეწვია ერთი რომელსამე სამთაგანის ბინაში და ერთად გაგვერჩია ის, თუ როგორ გვემოქმედნა. ერთს დღეს ჩვენი მოსაზრება კიდეც შევასრულეთ და კრება მოვახდინეთ გიორგი გვათუას ბინაზე; უფროსად ამოვირჩიეთ ალექსანდრე მესხია, როგოც ყველაზე უფრო ნიჭიერი და კეთილი ამხანაგი (ალექსანდრე მესხიას ყველა მოსწავლეები ბრძენ სოკრატს ვეძახოდით, დიდის მორიდებით და პატივის ცემით ვეპყრობოდით ხოლმე). ამ კრებაზე დავადგინეთ: 1) მოგვეგროვებინა ფული და საერთო ხარჯით რამოდენიმე საჭირო ქართული წიგნი შეგვეძინა, 2) ყოველ შაბათ საღამობით და უქმე დღეების წინა ღამეებში გვემართა კრებები რომელიმე ამხანაგის ბინაზე, 3) გვეკითხა წიგნები და გველაპარაკნა ქართულად. ეს გადავსწყვიტეთ, მაგრამ სისრულეში ვერ მოვიყვანეთ ჩვენი გადაწყვეტილება; სამწუხაროდ ამ კეთილ დაწყებას ვერ მიეცა ბოლო; მიზეზი იყვნენ ის უგულო ამხანაგები, რომელნიც ჩვენ გვერივნენ და ერთი სხვა კაცი...

მეტი წილი ჩვენი ამხანაგებისა კმაყოფილნი იყვნენ იმით, რასაც ხედავდნენ და რასაც იღებდნენ; მათ არ აწუხებდა ის, რომ ჩვენ ჩვენს დედა ენას არ გვასწავლიდნენ; ისინი ურიგდებოდნენ იმ პირობებს, რა პირობებშიაც იყვნენ ჩაყენებულნი; არ ფიქრობდნენ მასზე—შეიძლებოდა თუ არა იმაზე უკეთესი რამე.... ნეტავი რას გვასწავლიდნენ ჩვენ? გარდა რამოდენიმე სასარგებლო საგნებისა ჩვენ კარგი არა გვეძლოდა რა.... ყველანი იძულებულნი ვიყავით გვეზეპირა იმისთანა საგნები, რომელნიც ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარნი იყვნენ ცხოვრებაში... არ ჰქონდა ჩვენს სულს კეთილი საზრდო... არ გვიჩვენებდნენ სარკეს, რომ დაგვენახა თავი... ყოველს საგანს შავი დაღი ჰქონდა გადაკრული... ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა ვიყავით ჩვენ და არავინ არ ზრუნავდა მისთვის, რომ ჩვენთვის ჩვენი ვინაობა ეთქვა... „Кукуреку пѣтушокъ, золотой гребешокъ“ და იმისთანები კარგად ვიცოდით....

ერთხელ სასწავლებელში დაეპირეს სალიტერატურო საღამოს გამართვა. სხვათა შორის მე და გვათუას მოგვცეს თითო თითო რუსული ლექსები იმ საღამოზე წასაკითხად. ჩვენ (მესხია, გვათუა და მე) მივედით სკოლის ინსპექტორთან და ვსთხოვეთ, რომ ქართული ლექსების წაკითხვის ნება მოეცა ჩვენთვის. წასაკითხად ამორჩეული გვქონდა შემდეგი ლექები: „მესიას“ მუშა ბოკულაძე“, გვათუას „დედა ენა“ სვიმონ გუგუნავასი“ და მე ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილიდან“ ამოღებული „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“. ამ თხოვნაზე ინსპექტორმა უარი გვითხრა. შემდეგ, როგორც გაიგეთ, ჩვენი მასწავლებლისთვის დაეკისრა: თვალ-ყური ედევნებინა ჩვენთვის, რომ ქართული წიგნები შეემჩნია. ჩვენ ეს ამბავი გავიგეთ და მოფრთხილებით ვიყავით...

ქართული წიგნების კითხვამ იმდენად შეგვაყვარა ჩვენ საქართველო, რომ მზად ვიყავით ყოველს წამს ვწამებულვიყავით იმის სასიკეთოდ, მზად ვიყავით შეგვეწირა თავი, ოღონდ გამხდარიყო საქართველო თავისუფალი, განათლე-

ბული და მხიარული. რაც გვიფიქრნია ჩვენ სასწავლებელში ყოფნის დროს, იმას ვინ იტყვის?...

ძლიერი იყო ჩვენი გატაცება... ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა გვებრძოლა კუბოს კარამდე ქვეყნისათვის,— განსაკუთრებით კი **კაცისათვის** და კაცის ბედნიერებისათვის. ჩვენ მაშინაც არ გვაკმაყოფილებდა მარტო პოლიტიკური თავისუფლება ქართველი ერისა,—არა, ჩვენი წადილი ის იყო, რომ ის პირები, ის კაცები, რომლებისგან შესდგება ერი, გამხდარიყვნენ თავისუფალნი და ბედნიერნი... გამსჭვალული იმ რწმენით და იმედით, რომ ჩვენ მოვიკრეფდით საჭირო ძალას, შევიძენდით უტყუარ იარაღს **ცოდნას**—ვიბრძოლებდით ქვეყნად კეთილის დამყარებისათვის და შევიქმნებოდით **კაცნი**, დავამთავრეთ სამივემ ერთად სწავლა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში.

დიახ! დავამთავრეთ. მაგრამ მეტი არ იქნება ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რას აძლევს ეს სასწავლებელი ახალგაზდობას: ამ სასწავლებელში ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვას... თუ ვინმე იტყვის იმას, ვითომდა ამ სასწავლებელს იმდენად განუვითარებიავართ ჩვენ, რომ საზოგადო კითხვებზე სჯა დაგვიწყია, ის შეცდება! შეცდება იმიტომ, რომ ჩვენ თვალი აგვიხილა მარტო ქართული წიგნების კითხვამ და ამასთან იმ რუსული წიგნების კითხვამ, რომლებს თქვენ სასწავლებელში ვერ იპოვით. თუ ზოგიერთი ყმაწვილები, იმ ჯიშის სასწავლებლებიდან გამოსულნი, არიან იმისთანები, რომლებს ცოტა რამ გაეგებათ, ეს მათი ძლიერი ნიჭის, ცნობის—მოყვარეობის, კარგი წრის ანუ კეთილ-შემთხვევით კარგი წიგნების კითხვის ბრალია.

ამ გვარი ყმაწვილების ცოდნა არ არის იმ სკოლის ნაყოფი, არამედ ნაყოფია თვითგანვითარებისა... ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი მასთან ყველა, სამეგრელოსა და სამურზაყანოში არსებული სასწავლებლები, გამოკეთების მაგიერ, ამახინჯებენ რჩეულ ახალგაზდობას; განათლების მაგიერ, თვით-შემეცნების გაფართოების და ზნეობრივად ამაღ-

ლების მაგიერ, უხშობენ კარებს იმ მცირე ნათელს, რომელიც ბჟუტავს ნორჩ არსებათა სულში და ამდაბლებენ ახალგაზდობას ზნეობრივად. უვიცს, უსწავლელს ხალხს აქვს თავისებური ფილოსოფია, თავისებური ზნეობა და ცხოვრების შეხედულება; თავის მოყვასის მიმართ მოვალეობა მას თავისებურად ესმის. თუმცა ამ უსწავლელთა ფილოსოფიას აქვს დიდი ნაკლუალეენება, თუმცა მათი ზნეობრივი კანონები არ არიან სრულნი და ჭეშმარიტად კარგნი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კარგია თუ ავი, მაინც ხომ აქვთ... რას ქვია სწავლა,—განათლება, თუ არ დამასწავლიან მე იმას, თუ ვინა ვარ მე? თუ ვინ არის ჩემი მოყვასი, თუ რა არის კაცი?!.. რა არის სწავლა, თუ არ შემაგნებინებენ მე ჩემს მოვალეობას ჩემის თავის წინაშე; ჩემს მოვალეობას მოყვასის წინაშე! რა არის სწავლა-განათლება, თუ არ გამაგებინებენ, მოკლედ მაინც, ჩემს მოვალეობას სამშობლოსა და მეფლის კაცობრიობის წინაშე, არ დამაყენებენ გზაზე? ოღრო-ჩოღრო გზით მე მაინც უნდა მევლო ცხოვრებაში; სწავლა-განათლება იმისთვის იყო ჩემთვის საჭირო, რომ ამ განათლებას აეხსნა ფარდა, რომელიც მქონდა წაფარებული და გამოვეყვანე სინათლეში, რომ ეჩვენებინა ჩემთვის სწორი და ადვილად სავლელი გზა ცხოვრებისა... დიახ, ჩვენი დაბალი სწავლებლების საქმე მეტად დაბლა არის დაყენებული...

მე მეგობრობა მქონდა სკოლის ინსპექტორთან; ის იყო ფრიად განათლებული კაცი უკიდურესი დარვინისტი და მომხრე ომიანობისა. ხშირად მებაასებოდა ხოლმე ის სხვადა სხვა საგნებზე. ერთხელ, სხვათა შორის, სთქვა:

— „ბევრი, ბევრი ქება მსმენია მეგრელების ნიჭის თაობაზე და ეხლა კი, როცა ახლოს გავიცანი მეგრელთ ახალგაზდობა, იმათ შესახებ აზრი შემეცვალა; მეგრელები არ ყოფილან იმდენად ნიჭიერნი, რამდენად იმათი ქება მესმოდა“.

— დიახ! ვუპასუხე მე,—ზოგიერთნი რაღაც უგულოდ, და ზანტად ეკიდებიან სწავლას, მაგრამ რა არის მიზეზი?— ვკითხე მე მას: ნუ თუ მეგრელთ ახალგაზდანი მართლა ნაკ-

ლებად არიან დაჯილდოვებულნი ბუნებისაგან?! შეიძლება სხვა რამე არის მიზეზი მათი სიზარმაცისა და უხალისობისა!

— „სხვა მიზეზები რა უნდა იყოს? ნიჭიერნი არ არიან და ეს არის მიზეზები“. მიპასუხა მან. მაშინ მე ვერ მოვახერხე პასუხი, ვერასფელი ეუთხარი სამაგიერო, მაგრამ ამისი დასკვნა, რომ „ნიჭიერნი არა არიანო“ არ მაკმაყოფილებდა. მე მაშინაც ვგრძნობდი, რომ გარდა ბუნებრივი უნიჭობისა მეგრელთ ახალ გაზდობის გულ-ცივობის და სიზარმაცის მიზეზი იყო სხვა. ყველამ იცის, რომ რაც უნდა მაღლა იდგეს ხალხი, მაინც მისი შვილები ერთგვარი ნიჭის პატრონნი არას დროს არ იქნებიან,—მის შვილთა შორის ყოველთვის იქნება განსხვავება: ზოგი ნიჭით მაღლა იდგმება, ზოგი დაბლა, მაგრამ საერთოდ ქართველები რომ ავიღოთ, ისინი არ არიან უნიჭონი,—ეს ყველამ იცის; საქმეს აფუჭებს ის, რომ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე არ არის დაყენებული კარგს ნიადაგზე; ხელოვნური, ძალდატანებული სისტემით აბრკოლებენ ახალგაზდობის წინ-სვლას; უკვეცავენ მათ ნიჭს ფრთას და ხდიან ავტომატად—თუთიყუშიც დაისწავლის ზეპირად სიტყვებს, მაგრამ რას აკეთებს ეს, როცა მას არ ესმის, აზრი ამ სიტყვებისა! სწავლა უნდა იყოს ახალ, ნორჩ ყმაწვილის ბუნებასთან შეფერებული და უნდა აკმაყოფილებდეს მისს სულიერს მოთხოვნილებას... გარდა ამისა, რომ სწავლის საქმე ცუდათ არის მოწყობილი მთელ საქართველოში—სამეგრელო-სამურზაყანოში ერთად აფუჭებს საქმეს ის, რომ იქ ახალგაზდობას არ ასწავლიან სამშობლო ენას, ქართულს. სწავლის სისტემა არის საბრძოლველი იარაღი ჩვენი განმანათლებლებისა. ჩემი ინსპექტორი ტყუილად არ ყოფილა მომხრე ომიანობისა;—მე მეგონა, რომ ის მარტო ლაპარაკობდა სიტყვებს და ეხლა კი ვხედავ, რომ ის ბევრად მეტს აკეთებდა საქმით; ის, როგორც აფიცერი, მისი ხელ ქვეითი ჯარის კაცებთან ერთად ომობდა, ომობდა შეგნებულად თვის მამულისათვის... სამეგრელო-სამურზაყანოში არ ასწავლიან სამშობლო ენას, ქართულს—სწავლის საქმე არ არის შეთანხმებული, შეფერებული საქართველოს ბუნებას-

თან—ქართველების სულთან; განსაკუთრებით საეგრელო-სამურზაყანოში სწორედ ეს აფუჭებს საქმეს. თუმცა არც ერთს ახალ გაზდას არ ესმის ის, თუ რას უშვრებიან მას, მაგრამ მისი სული, მისი ბუნება მაინც გრძნობს ძალდატანებას, დანაკლისს... იგი ამაზე უთანხმოებას აცხადებს... აცხადებს უთანხმოებას გამოუმეღავნებლად, შეუგნებლად, გამოუთქმელად... აცხადებს მხოლოდ ინსტიკტიურად... ახალგაზდის ბუნება არ კმაყოფილდება იმ საზრდოთი, რასაც აძლევენ მას... ის უკმაყოფილოა... მისი ბუნება გრძნობს ნაკლულევანებას... ეს უკმაყოფილება კი ჰბადავს ნორჩის გულში უზრუნველობას—ეკარგება მას ხალისი, იბნევა და სუსტდება... მეტად ცუდად მოქმედებენ ამ გვარი მოვლენები მაღალ ნიჭის პატრონებზე: ხშირად ისინი მთლად ფუჭდებიან... ზოგიერთნი კი უთანხმდებიან იმ პირობებს, რომლებშიაც არიან ისინი ჩაყენებულნი და არ გრძნობენ არავითარს შევიწროებას, მაგრამ ეს ხსვა და სხვა მიზეზებით აიხსნება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მას თუ რა ჯიშის არიან ის პირები, რა ნიჭის არიან ისინი, რომელთაც ყოველისფერი რიგზე დაწყობილათ ეჩვენებათ? რის მაქნისია სკოლა, თუ არ გაუღვიძებს ახალთაობას კაცურს გრძნობას, არ შეაგნებინებს თავს, არ დაასწავლის თავის მოვალეობას ცხოვრების მიმართ—სამშობლოს და მთელი კაცობრიობის მიმართ? რის მაქნისია სკოლა, თუ ის არ გამოუზრდის შეგნებულს წევრს საზოგადოებას, შეგნებულს შვილს მამულს?..

მომიტევე, საყვარელო მკითხველო, რომ გაღავედი სხვა საგანზე და დაწყებული ამბავი მივატოვე... როგორც ზევით ვთქვი—სამივე ამხანაგმა ერთად დავამთავრეთ ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი 1896 წ. ალექსანდრე მესხიას მამა იყო შეძლებული კაცი და ის თავისი შვილს, სასწავლებელში ყოფნის დროს, აძლევდა საჭირო ფულებს. გიორგი გვათუას მამა იყო ერთს დროს მდიდარი ვაჭარი, მაგრამ ბოლოს საქმე წაუხდა—მას არ ჰქონდა შეძლება შვილისთვის შესაფერი დახმარება მიეცა; გვათუა იძულებული იყო თავი-

სი თავი ერჩინა—ის უკეთებდა ყდას წიგნებს და მით შოულობდა სახარჯო ფულს. მე ჩემ თავზე ამას ვიტყვი მხოლოდ, რომ მას აქეთ, რაც თორმეტი წლის შევიქენი, მე არ დამიხარჯავს დედ-მამის ერთი მანეთიც...

ჩვენ არც ერთს არ გვაკმაყოფილებდა მიღებული სწავლა—სამივეს გვწყუროდა სწავლის გაგრძელება. მესხიას ჰქონდა ამორჩეული „ფილოსოფია, სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომია"; მას უნდოდა წასვლა საფრანგეთში, შესწავლა ფრანგული ენისა და იქ უნივერსიტეტში შესვლა; სთხოვა მან თავის მამას დახმარება, მაგრამ მამა წინაამდეგი გაუხდა მას—ურჩია სამსახურში შესვლა. ალექსანდრეს რა ჰქონდა თავისი, ის მამას შეჰყურებდა,—ბევრის ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ ის დაემორჩილა პირობებს და დადგა ერთს სოფელში სამრევლო სკოლის მასწავლებლად. ყველამ ვიცით, თუ რა ჯამაგირი ეძლევათ სოფლის მასწავლებლებს. ალექსანდრე თავისის მცირე ჯამაგირიდან მეტ წილს წიგნების საყიდლად გადასდებდა ხოლმე და თვითონ კი საჭმელ-სასმელს და ტანისამოსს იკლებდა. გიორგი გვათუასაც შეკრული ჰქონდა გზა.—ის შევიდა სამსახურში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. მე წავედი ქუთაისში, მივედი სპირიდონ ჯორჯიკიასთან, რომელსაც იმ დროს ქუთაისში პანსიონი ჰქონდა. ესთხოვე მას, რომ გიმნაზიის მეხუთე კლასისთვის მოვემზადებინე. ჯორჯიკიამ გამომცადა და მითხრა, რომ ერთის წლის განმავლობაში შეიძლებოდა ჩემი მომზადება მეხუთე კლასისთვის. დავიწყე იქ სწავლა; დავიარებოდი პანსიონში რამდენიმე ხანს—ფულები შემომაკლდა, ვსთხოვე დახმარება ნაცნობებს, მაგრამ იმათ სასაცილოდ ამიგდეს... დავღონდი ძლიერ... რა უნდა მექნა?.. მივატოვე გიმნაზია, მივატოვე უნივერსიტეტი და გავსწიე ტფილისისაკენ. ტფილისში ვიყავი რამოდენიმე ხანს. წავიკითხე იმისთანა წიგნები რომლებიც, ზუგდიდში არც კი მენახა. შემდეგ დავბრუნდი შინ და მოვკიდე ხელი მიწის მუშაობას. სამსახურში შესვლა არას დროს არ მიფიქრნია. მე არ შემეძლო სხვის კანტროლის ქვეშ ყოფნა.

მე მინდოდა სწავლა, მინდოდა თავისუფლება; თავისუფლება მინდოდა იმისთვის, რომ ამას ითხოვდა ჩემი ბუნება. მე მწყუროდა, ვეძებდი რაღაცას, ვეძებდი გზას, ვეძებდი სინათლეს; — არ მქონდა ფული — ვიტანჯებოდი. მეკავა ხელში თოხი და დავყურებდი მიწას გულ დაწყვეტილი ასე გაიარა დრომ. დადგა შემოდგომა 1897 წლისა-და მე გამიწვიეს ჯარის კაცად. უნდა მოგახსენოთ, რომ მე სულით და გულით მოწინააღმდეგე ვიყავი ამ ომიანობისა, — მაგრამ რას გავაწყობდი? წამიყვანეს „სალდათად“, მაგრამ ისე კარგად ვმსახურობდი, რომ ოთხი წელიწადზე მეტიც დამეკარგა და სამსახურიც დაუსრულებელი დამრჩა. მე ვმოგზაურობდი ხან თავისუფალ ჰაერზე და ხან ციხეებში. — ორი წელიწადია რაც დავბრუნდი შინ. მოგზაურობის დროს ვფიქრობდი: განვთავისუფლებოდი თუ არა იმ წამსვე მიმეყო ხელი სწავლისათვის. მე მინდოდა პარიჟში წასვლა — და შესვლა იქ ახალ დარსებულ თავისუფალ უნივერსიტეტში (Высшая русская школа въ Парижѣ). მაგრამ ფიქრი ფიქრად დარჩა — ბევრს ვსთხოვე დახმარება, მაგრამ ყველა ამას მიპასუხებდა: შენისთანები ათასიაო! დიახ! მეც ვხედავდი, რომ ჩემისთანები ათასობით იყვნენ; ვერავის მაგიერს პასუხს ვერ ვაძლევდი. ვერ მოვახერხე სწავლის გაგრძელება, — წიგნის მაგიერ ავიღე ხელში კეთილი იარაღი — თოხი და შევუდექი მუშაობას. ვმუშაობდი წასრულ 1903 წლის ენკენისთვემდი. ვმუშაობდი, მაგრამ მოწოდება კაცთა უბედურებისა არ მასვენებდა მე... სიმშილი, წყურვილი, სიბინძურე, ცრემლები და ათასგვარი ავადმყოფობანი ჩემი მოძმეთა მტანჯავდნენ მე ზნეობრივად — „ვალდებული ხარო“ ჩამსჩურჩულებდა რაღაც უხილავი ძალა, — „მოემზადე და იბრძოლე ქვეყნად კეთილის დამყარებისათვის“, მომესმოდა ხმა. რა უნდა მექნა? რას ვიზამდი, როცა შეკრული ვიყავი? ან ეხლაც რა უნდა ვქნა? როგორ გადავიხადო მე ჩემი მოვალეობა ცხოვრების მიმართ? მე ვალს გადავიხდი მხოლოდ მაშინ, როცა მოვემზადები საბრძოლველად, როცა მე მექნება ხელში ძლიერი ხმალი ცოდნისა. მე ჯერ არ მინდოდა და-

წყება წერისა, მაგრამ სულ სხვა მოსაზრებით მოვკიდე ხელი კალამს შესაფერად მოუმზადებელმა 1903 წლის ენკენისთვის პირველ რიცხვებში...

როგორც ზევით ვსთქვი, გიორგი გვათუა მსახურებდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ის ისე სინდისიერად ეპყრობოდა საქმეს, რომ ჩინის მიცემას დაჰპირდნენ, მაგრამ მან არ ინდომა ჩინი და დაანება სამსახურს თავი... ამ დროს ალექსანდრე მესხიამაც დაანება თავი სოფლის მასწავლებლობას და გიორგი გვათუასთან ერთად გაემგზავრა საზღვარ გარეთ — სახელდობრ შვეიცარიაში.—ეს იყო 1899 წელს. ალექსანდრე მესხია უფულობის გამო მალე დაბრუნდა სამშობლოში და გვათუა კი დარჩა ქალაქ ჟენევაში.—მას მალე შემოელია ფული და ჩავარდა დიდს გაჭირვებაში; მოსწერა ბარათები თავისს ნათესავებს, ნაცნობებს, მაგრამ მისს თხოვნას ვერავინ ვერ მიაქცია ყურადღება. მეც მომწერა გიორგიმ ბარათი და შემატყობინა თავისი უკიდურესი მდგომარეობა, მაგრამ მე ვერასფლის შველა შემეძლო. იმ დროს მე ვიყავი რუსეთში, ციხეში. ალექსანდრეც უგროშოდ იყო, როგორც ის მატყობინებდა ბარათით და, როგორც მე, არც მას შეეძლო დახმარება მიეცა თავისი მეგობარ — ამხანაგისათვის... აი სამი, მოყვასისადმი სიყვარულით გატაცებულნი, მაგრამ უბედურებით გამდიდრებულნი და ერთმანეთს მოშორებულნი ამხანაგნი... სამივე იმისთანა პირობებში ვიყავით, რომ არც ერთს ჩვენთაგანს მეორის შველა არ შეგვეძლო; ვიტანჯებოდით სამივე. მე თუმცა ციხეში ვიყავი, მაგრამ საჭმელი და ბინა მაინც მქონდა და გიორგი უბინაო და მშიერი იყო შვეიცარიაში, ამ მშვენიერსა და თავისუფალს ქვეყანაში. აქ მოვიყვან ორს პირველს და ერთს—უკანასკნელს გიორგი გვათუას წერილს.

ძმაო ალექსანდრე!

„ბევრი რა გწერო, ჩემი მდგომარეობა შენ კარგად იცი. შენ რომ წახვედი, მაშინ როგორ მქონდა საქმე ხომ იცი?

მერე გაჩნდნენ ისეთი კაცები სამშობლოდან, რომ იმედით ცამდე ამიყვანეს; ფულიც ცოტა გამომიგზავნეს და იმედი კი ბევრზედ ბევრი. იმედი მომეცა, ხარჯიც მომემატა ე. ი. ფრანგულ ენის მასწავლებელი დავიჭირე და შევიძინე იმისთანა რამეები, რომელნიც ჯანმთელობის დასაცველათ აუცილებლად საჭირონი იყვნენ. გავიდა მცგის აქეთ ხუთი თვე და გარდა ორი პირისა წერილსაც არ იწერებიან. ეხლა იმისთანა მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ რა ვქნა, არ ვიცი... დიასახლისისათვის ორ თვე ნახევრის ფული არ მიმიცია... ოთახის უარს მეუბნება,—სხვა ოთახს მაძლევს—ოთახს კი არა—საკუჭნაოს, ფრიად საძაგელს და ბნელს. სხვა რომ არ იყოს ნესტი და ჭუჭყი ამომაძრობს სულს... მასწავლებელის სამი თვის ფული მმართებს და ეს ყველაზე უფრო მიკლავს გულს... ტანისამოსი ხომ იცი, რაც მქონდა—ის გაცვდა, ახალს ვინ მომცემს? დღისით ვერავის ვეჩვენები,—გამოვდივარ ხანდისხან ბუსავით საღამოს. საქმლის ხარჯი შენი ყოფნის დროს რომ გვქონდა, იმის ნახევარზე ჩამოვიყვანე, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ისიც არა მაქვს. მეტი რა გითხრა. მართალია შენგნით ისედაც დავალებული ვარ, მაგრამ ჩვენისთანა მიმართულების კაცისაგან ასეთი დავალება არასფელს არ უნდა შეადგენდეს, თუ არ გაწყრა ზენა. იცოდე უკიდურესი მდგრმარეობა ჩემი ეს არის. თუ მიშველით—ხომ კარგი, თუ არა და—რა მეთქმის... აწი შენ იცი—მე იმედი მაქვს, რომ მოინდომებ, თუ ჯერ მთლად არ არის გაფუჭებული—ქვეყანა. იცოდე საათობით მაკლდება ღონე, ღონე ფიზიკური. . . . . სხვა ჩემი აზრი აქაურებზე ეს არის: „არ არის და არ ყოფილა ისეთი კაცი, რომელსაც დამსახურებული ჰქონდეს წოდება კაცისა...

შენი ერთგული ძმა და მეგობარი—გიორგი—

ბარათი მეორე (დრო არ არის ნაჩვენები).“

ძმაო რ.

უწინარეს ყოვლისა ვისურვებ თქვენს ბედნიერს სიცოცხლეს თქვენი ძვირფასი მეუღლით და შვილებითურთ. იმედია

ჩემგნით წერილის მიღებას არ გაიკვირვებთ... მართალია, ჩემი წერილი უფრო თხოვნას წააგავს, ვინემ მოსაკითხავ ბარათს, მაგრამ ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი, რომ არ გამ-კიცხავთ... მდგომარეობა ადამიანს ყოველისფერზე აიძულებს და ჩემის ფიქრით არ არის მაინც და მაინც ზოგიერთი შემთ-ხვევაში გასაკიცხი ის, ვინც მდგომარეობის შესაფერად იქცე-ვა; მაგრამ ის, ვინც მდგომარეობის დაბრალებით გადააცილებს სამზღვარს, დაჰკარგავს სინიდისს და კაცობის გვირგვინს, ის გასაკიცხიც არის და მეტიც... მე მგონია, რომ საჭირო არ არის თქვენთან ბევრი სიტყვები. —როგორც, ბევრი ჭირი და ლხინის ნანახი კაცი, ვფიქრობთ შეხვალთ ჩემს მდგომარეობა-ში და მიიღებთ ჩემს თქვენდამი თხოვნას: „ჰქენით ყოველი ჭეშმარიტების, კაცობის მომხრე კაცთა სასიხარულო საქმე და მასესხეთ მე, ერთს სინათლის მძებნელს, ექვსი თუმანი ფული. ეს ფულები ჩემთვის აუცილებლად საჭიროა; მომეხმარეთ, შე-მაძლებინეთ უხერხული მდგომარეობიდან თავის დახწევა... მე მარად თქვენი დავალებული ვიქნები ზნეობრივად და თქვე-ნი ფულიც არ დაიკარგება. სხვა რა უნდა ვთქვა, თუ მიქე-ნით ეს სიკეთე, ისედაც აშკარა იქნება თქვენი კაცთმოყვა-რეობა; მე დარწუნებული ვარ, რომ თქვენ ამ თხოვნას გულ-ცივად არ მიიღებთ და შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში. მე იმას არ ვიფიქრებ, რომ თქვენთვის ექვსი თუმნის გაღება ძნელი იყოს, საქმე მხოლოდ იმაშია—ვარ თუ არა მე ისეთი კაცი, რომ ექვსი თუმანი მენდოს კაცმა? აი რას ითაკილებთ თქვენ...

სხვათა შორის გიგზავნი ხელ-მოწერილობის ქაღალდს, თუმც შესაძლოა საჭიროც არ იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვინ. აქ უნდა დავუმატო ის, რომ თუ თქვენ ამ თხოვნის შესრუ-ლება გეძნელებათ, იმ შემთხვევაში გთხოვთ უარის ყოფა არ-ჩიოთ... დეე, მოვიდეს, რაც მოსავალია ისევ ჩემ თავზე; დეე, დავიტანჯო მე, ვინემ სხვამ მიიღოს ჩემი გულისთვის რამე მწუხარება.—მე თქვენ არ შეგაწუხებდით ასეთი დავალებით, მაგრამ... მაგრამ იმედებმა და დაპირებეებმა ისეთი მდგომარეო-ბაში ჩამაგდეს, რო უარესიც ყოფილიყო, იძულებული გავხდ

მექნა. სხვა ჩემს ამბავს თუ იკითხავთ ეს არის: ჯანმთელად კი ვარ; აწმყო, წასრული თავზე მადგია და მომავალიც ნუგეშს მაძლევს; დაბრუნებაზე თუ მკითხავთ, ორი წელი შეიძლება კიდევ დავრჩე, მერე კი დროა ადამიანის მოვალეობის უღელ ქვეშ თავის ამოყოფა და გასვლა საომრად ბრძოლის ველზედ.

ველი მანუგეშებელს პასუხს უსიკვდილოთ.

ქალ. ჟენევა 1900 წ. 5 მაისი. გიორგი გვათუა.

არ ვიცი, იქმნა თუ არა დაკმაყოფილებული რ—საგან თხოვნა გიორგი გვათუასი.—მე არა მგონია.

აი უკანასკნელი ბარათი გიორგი გვათუასი, მონაწერი ალექსანდრე მესხიასთან.

ძმაო და მეგობარო ალექსანდრე!

„შენი წერილი თავის დროზე მივიღე, მაგრამ დღემდის პასუხის მოცემა ვერ მომახერხებია.—მიზეზი იყო ჩემი ავადმყოფობა. დღეს მიუხედავად იმისა, რომ უარესად ვარ, მაინც ვსძლევ სისუსტეს და ეს არის გწერ: მე ავადა ვარ, ვწევარ საავთმყოფოში. რაც აქ ვწევარ თვე-ნახევარი იქნება. ძლიერ სუსტათა ვარ... ექიმები სახლში დაბრუნებას მირჩევენ, იქ კარგი ჰაერი არისო და მალე მორჩებიო... მე არ ვუჯერებ იმათ,—ძლიერ სუსტათა ვარ და სანამ უკეთ არ შევიქნები, ვერ წამოვალ.—მათ რომ დაუჯერო, წასასვლელი ფული სად არის?— სხვათა შორის ექიმები ამბობენ: მეორე კლასით უნდა წახვიდეო,—და სად არის ეს მეორე კლასის ფული? ძმაო ალექსანდრე! შენ მეძახი: „მოდი, მოდიო“ და მე რა დღეში ვარ... სხვა ძმაო! ბედნიერებაზე რომ მწერ, რა უნდა გითხრა?—დღეს მთელი შეგნებული კაცობრიობა იმისთვის იღვწვის, რომ რამეფერად შობოს ისეთი ცხოვრების „პროგრამმა“, რომ ყველას შეეძლოს კმაყოფილად ყოფნა. თუ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ „კმაყოფილება“ ჰყოფს ადამიანს ბედერს, ეს შესაძლოა და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც რძო პირი უშიშარ მყოფი იქნება სხვა და სხვა გვარ ადა-

მიანის სიცოცხლის გამამწვავებელ მოვლენებისაგან... ერთი უმთავრესი მიზეზი კაცობრიობის შეუსაბამად ყოფნისა არის ფულის არსებობა. როდესაც მოისპობა კერძო პირთა აღებ-მიცემობა,—უმთავრესს ბოროტებასაც ბოლო მოეღება და მისი ბოლოს მოღებით ადამიანს ცხოვრებაც გაუადვილდება... სრულ ბედნიერებაზე ფიქრი, ჩემი აზრით, ბაღნობაა... მწამს ყველაზე უფრო უმაღლესი სიყვარულის ძალაც, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ეს: იმისთვის, რომ ადამიანმა უსასყიდლოდ იღვაწოს ადამიანთან საკეთილდღეოდ, მასთან თავის თავზე უფრო ძლიერ მოყვასი შეიყვაროს,—საჭიროა უზენაესი გონება და გულ კეთილობა, რითაც ყოველი ადამიანი არ დაუჯილდოვებია უმაღლესს ძალას... დღეს და ყოველთვინ, რა საკვირველია, ყოველი შეგნებული ადამიანი უნდა მოღვაწეობდეს, შეძლების და გვარად, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, მაგრამ არა იმ გზით, რომელზედაც სიარული მეტად ძნელია. შენ წარმოიდგინე იმისთანა სიყვარული, რომელიც არ დარღვეულიყოს და არ ირღვეოდეს ოქროს ძალით. დიახ! არის მაღალი და მაგარი სიყვარული მშობლებისა და შვილთა შორის, შეყვარებულთა შორის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ზომ ძნელია დაბადება ასეთი სიყვარულისა ყველა ადამიანთა შორის. ამისათვის საჭიროა თვით ადამიანის ბუნების გამოცვლა... ისე უნდა გადაიქმნენ ყველანი, რომ არ უყურებდნენ ერთს „სიმპატიური“ თვალით და მეორეს „ანტიპატიურის“... ადამიანის ბუნების გადაქმნა შეუძლია მხოლოდ დროს და სწავლა-განათლებას; ამას გვიჩვენებს ისტორიული კაცობრიობის გონებითი მოძრაობა. შორს არ წავალ. მოვიგონოთ რომის გლადიატორები და მაშინდელი რომაელები, მერე წარმოვიდგინოთ დღევანდელი კაცობრიობა. შეხედავენ თუ არა დღევანდელი ევროპიელი ანუ აზიელები ასეთი სიამოვნებით გლადიატორების სისხლის ღვრას, როგორის სიამოვნებითაც უყურებდნენ ამას მაშინდელი რომაელები? რა საკვირველია მიპასუხებ—არა. ეხლა ეს ვიკითხოთ, რამ გარდაქმნა ასე ადამიანის ბუ-

ნება? სიყვარულის ქადაგებამ თუ სწავლა-განათლებით გონების გაფართოებამ? შეიძლება მითხრათ, რომ რომაელნი განათლებით ძლიერ მაღლა იდგნენო, მაგრამ ხომ ვხედავთ, რომ დღევანდელი განათლების სხივი სულ სხვა ფრად ანათებს და სულ სხვას გვეუბნება... ამით ეს მინდა ვსთქვა, რომ კაცობრიობის კეთილ-დღეობა დამოკიდებულია სწავლა-განათლების სიმაღლეზე. მგელს სახარება უკითხოთ—წყალნაყიობაა. ამისთვის ჩვენი უმთავრესი ყურადღება მოზარდ ახალთაობაზე უნდა იყოს მიქცეული,—გაზდილთ, რომელთ შესისხლორცებიათ სხვა შეხედულება, ჩვენ ვერ გადავასხვაფერებთ.... აქაურობისა რა მოგწერო: თავისუფლება, სწავლა-განათლება, შრომა, მუქთამჭამლობა და მაიმუნობა არეულ-დარეულია ერთმანეთში. იმედია, მომავალმა გაარკვიოს და ფასიანი და უფასო შეიგნოს. ჩვენიანები ექვსამდე არიან, მაგრამ უმეტესობა ეგოისტურ კეთილდდეობის ბაირაღის ქვეშ არის. და თუ საერთო იდეალისტი ვინმეა, ისიც ეგოისტური თვალით იხედება, მიუხედავად იმ წოდებისა, რომელსაც ის ატარებს. აწი მშვიდობით, ძმაო ალექსანდრე, შეიძლება ეს უკანასკნელი წერილი იყოს, თავს გლახათ ვატყობ? ეცადე, ძმაო, შენ მაინც, რითაც შეგიძლია. შენ სახელზე წერილები მგონი არ მიდის და გთხოვ, თუ ეს მოგვივიდა, მაცნობო, თუ მანამ არ გამოვემშვიდობე წუთისოფელს“.

შენი ძმა გიორგი.

ქალ. ჟენევა.

ამ ბარათთან იყო პატარა ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც შემდეგი ეწერა: „ძმაო ალექსანდრე! პავლესი რა იცი? ალექსი **შუშანა** როგორ უყურებს ქვეყანას და მისს მოძრაობას? შენ როგორ მოეწყვე? მამაშენი რას ფიქრობს? მამაჩემისგნით წერილი თუ მიიღე ანუ თუ ნახე? ჩვენი ამხანაგების, ე. ი. ჩვენთან რომ სკოლა გაათავეს, იმათი თუ რამე იცი? ვის ხედავ საერთო იდეალისტს? ვინ როგორ ‘გიყურებს და ვისთან რა საქმე გქონდა ღირს-საყურადღებო? გთხოვ, ყველა ამაების პასუხი მომწერო. ფუ, რა ოხერია ადამიანის ბუნება!

სანამ სული არ ამოძვრება, სიცოცხლის იმედი მაინც აქვს. გუშინ ისე ვიყავი, რომ დღევანდელ დღეს მოვესწრებოდი— არ მეგონა. ამ დილას გუშინდელზე უარესად ვარ და რაებს ვწერ! მშიდობით, ძმაო! იბრძოლე და ბრძოლაში ჰპოვე კმაყოფილება სულისა. მე კი სიკვდილს ვებრძვი, უნდა იცოდე, რა უშიშრად... მხოლოდ ბებერი მამა მიწვავს გულს: არავის არ გამოვდგომივარ,—ესეც მაღონებს, თორემ სიცოცხლის მოშორება იმზომ არ მაწუხებს...

კიორგი.

ეს შეიქნა მართლა უკანასკნელი წერილი გიორგი გვათუასი.

აი, საყვარელო მკითხველო, რას ნახავ 1901 წლის ჟურნალ „კვალის“ მეხუთე ნომერში:

წერილი ჟენევიდან

„ამ დღებში აქ გარდაიცვალა 22—23 წლის ახალგაზდა ქართველი მოსწავლე—გიორგი თეიმურაზის ძე გვათუა (ზუგდიდის მაზრიდან.). საბრალო აქეთ წამოსულიყო სწავლის შესაძენად და, თუმც შეეიწროებული პირობებში იყო ნივთიერად, ხშირად აკლდა სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი და სხვა. მაგრამ მისი ენერგია ვერასფერმა შეასუსტა და ავათმყოფობამაც წიგნი ხელიდან ვერ გააგდებია... განსვენებული შესაფერის პატივით დავასაფლავეთ. განსაკუთრებით დიდი პატივი გვცეს სომხების ახალგაზდობამ, რომელმაც განსვენებულის კუბოს გვირგვინი დაადვა. მისი გარდაცვლის მიზეზი მისი სიღარიბე იყო და არა სხვა რამე.—საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ენერგიანო ახალგაზდავ“.

I.

მოკვდა გიორგი, მოქანცული, მშიერ-მწყურვალი,
კაცმა ვერ ნახა მისი ხმალი ამოღებული;
თავს ვერ უშველა, თუმცა გულით—სხვისი მკურნალი,
სხვისთვის მებრძოლი, განწირული, თავდადებული.

—

მოკვდა მოსწავლე, რომელს სურდა სწავლა იმისთვის,
რომ სიავესთან შებრძოლება მას შესძლებოდა;
რომ მას მიეცა შვება თვისი ჩაგრულ ძმებისთვის,
მოესპო ქვეყნად კაცთ მტანჯავი მტრობა, მონობა.

—

მოკვდა გიორგი, გაუშლელი ნორჩი ყვავილი,
დარჩა ძვირფასი მას თვის სატრფო საპყრობილეში;
მოკვდა უდროოთ ქართველების კარგი ძმა-შვილი,
ველარ მოასწრო, რომ სატრფოსთვის ეცა ნუგეში.

II.

შვეიცარიავ, შვეიცარიავ!
თავისუფლების ქვეყანავ დიდო!
ვერ უპატრონე შენ ჩემს მეგობარს
და მაგის შემდეგ როგორ გადიდო?

—

გიორგი შენთან მიისწრაფოდა,
სურდა ენახა მას სხვა ნათელი;
შენ კი მკურნავი ნათლისა ნაცვლად
მას დაახვედრე სამარე ბნელი.

—

ვიორგი რწმენით შენთან მოვიდა,
ეფიქრობდი—ცოდნით გამდიდრდებოდა
და რას ველოდი, ძმა საყვარელი,
რომ იქ უდროოთ მომიკვდებოდა.

—

იგი გაექცა აქ საპყრობილეს,
რომ თავისუფლად ენახა თავი,
მაგრამ გაცრუვდა მისი იმედი,
მან იქ მონახა სამარე შავი.

—

შვეიცარიავ! შვეიცარიავ!
შენც არ ადგიხარ ჯერ სწორე გზასა;

შენც ცივად უმზერ მოძმისა ტანჯვას,
შენც აღარ იხდი კაცურსა ვალსა.

—

დღემდის შენც იბრძვი უფრო კუჭისთვის,
არ შეგიძლია სრული კაცობა,
მაგრამ რას იზამ?—შენი ბრალია,
რომ კაცთა შორის არ არის ძმობა?

—

ძმაო! ვიკითხოთ: ვისი ბრალია
კაცობრიობის ტანჯვა და კვნესა,
ვისი ბრალია ცრემლი და სისხლი,
ვისი ბრალია?—ვიკითხოთ ესა.

—

ვისი ბრალია?—ერთობ ყველასი,
აქ ერთსა და ორს არა აქვს ბრალი,—
აქ ყველა ერთად დამნაშავე ვართ,
მასთან არც ერთსა არ გვაძევს ვალი.

—

ყველა მართალი—ყველა მტყუანი,
აღარც სიმართლე, არცა ტყუილი;
მთლად ანარხია სუფევს ამ ქვეყნად,
აქ ისმის მღერა—იქ მგლის ღმუილი.

—

ოჰ! კაცო, კაცო! როდის შეიგნებთ
სიცოცხლის საგანს და თქვენსა თავსა?
როდის დაიწყებთ კაცურს ცხოვრებას?
როს აიცილებთ ტანჯვასა თავსა?!...

ძმაო გიორგი! რათ მიდიოდი შენ შვეიცარიაში?.. რათ. გინდოდა ცოდნის შეძენა? რათ გინდოდა ენა ფრანგული?! იმას არ სჯობდა ყოფილიყავი „ჩინოვნიკი“, მოგეხვეჭა სიმდიდრე, სიმდიდრით კი სახელი!.. არ გერჩია, რომ გეცხოვრა

ისე, როგორც ყველანი ცხოვრებენ?! მაგრამ, ძმაო, მომიტევე ეს საყვედური, დარიგება ჩემი არ არის... მე გიცნობდი შენა, მე ვიცოდი მიზეზი შენი ცოდნისკენ მისწრაფებისა... შენ ბეყავდა ავად „სატრფო“,—გინდოდა ექიმი გამხდარიყავი და შენის ხელით გაგეკურნა შენი სატრფო. შენ უარ ჰყავი შენი პირადი „მე“ და მიეცი აღთქმა შეგეწირა თავი მისთვის... ნეტავ, ვინ იყო შენი სატრფო, თავ-განწირულო, რომელსაც შენ, აღთქმისამებრ, შესწირე თავი?!!! შენი სატრფო იყო დაცემული ჩვენი ქვეყანა... შენი სატრფო იყო მარგალიტი—ეს ოკერია—შენი სატრფო იყო ეს ყოველ დიდებით შემკობილი, მდიდარ ბუნებით დაჯილდოვებული ქვეყნის კუთხე—მთელი საქართველო.

ძმაო გიორგი! შენ გიყვარდა ქართველი, კაცი გწყინდა მისი არა სასურველი მდგომარეობა; გწყინდა მისი ჩამორჩენა, შეუგნებლობა... შენ გასწირე თავი საქართველოსთვის, რომ ამ განწირვით მოგეტანა სარგებლობა მისთვის, მაგრამ გიმუხთლა ბედმა, ვერ მიაღწიე საწადელს და მოკვდი. მოკვდი უდროოთ, ძმაო გიორგი!.. მაგრამ არა! შენ არ მომკვდარხარ! შენ მოგკლეს, მოგკლეს იმათ, ვისთვისაც სიკეთე გსურდა... ძმაო გიორგი! რას შვრებოდა შენი დედა, შენი საქართველო მაშინ, როდესაც შენ, მისს ერთგულს შვილს, სიცივე და სიმშილი გაწუხებდა შორეულს, უცხო მხარეში?! გრძნობდა თუ არა საქართველო შენს ხორციელსა და სულიერს ტანჯვა-წვალებას!.. გეპყრობოდა თუ არა ის შენ დედობრივი ანგარიშით?! რას შვრებოდნენ, ძმაო, შენი ძმები, ქართველები, როცა შენ, ახალგაზდა ქართველი, თავგანწირული მათი შვილი, მათი ძმა, ულუკმა-პუროდ დარჩენილი და ღონე მიხდილი, ებრძოდი სიკვდილს უცხო მხარეში?! ვსთქვათ, რომ მათ სიბრალულისთვის არ ეცალათ, მაგრამ რა უყვეს სირხვილი?!

მოჰკლეს გიორგი, მან ველარ ნახა
თვისი სამშობლო განათლებული:

ვერ ნახა თვისი ტურფა ივერი
თავისუფალი, განახლებული.

—

მოკლეს გიორგი, სიავის მტერი,
მართლის, კეთილის კარგი ძმობილი;
იმას თან ჩაჰყვა ციესა საფლავში
გული მწუხარე, სევდით პყრობილი.

—

მოჰკლა გიორგი ამ ქვეყნის ბრუნვამ
და ჩვენ ქართველთა დაუდევრობამ;
მოჰკლა გიორგი კაცთ არ-კაცობამ
და შეგნებულთა შეუგნებლობამ.

**

მოკვდი, წამებულო გიორგი, და შეასრულე მით შენი ვალი,—შენ შესწირე თავი ქვეყანას. იყავი დარწმუნებული, რომ შენ ეს სიკვდილი გამაღლებს დიდათ,—შენ ეძებდი ნათელს, მაგრამ დაგახრჩო ცხოვრების ზღვამ!.. ერთი ეს ვსთქვათ, რა იქნებოდა შენი ფასი, რომ გაჰყოლოდი ცხოვრების მიმდინარებას?!

მიმდინარეობის მიმყოლნი მილიარდებით ითვლებიან დედამიწის ზურგზედ. ისინი არ არიან პროგრესის შემქნელნი.—არა, კაცობრიობა მიჰყავთ სინათლისაკენ შენისთანა თავ-განწირულებს... სიკვდილი ბრძოლის ველზე, ვიდრე სიცოცხლე შეუგნებელი და პირუტყვული... ძმაო გიორგი! თუმცა შენ არა დაგრჩენია რა, მაგრამ ეს არ არის შენი ბრალი... შენ ხომ გინდოდა ერთის სულით და გულით კეთილი საქმის კეთება? შენ გინდოდა მომზადება, ძალ-ღონის მოკრეფა, რომ მომზადებული შესდგომოდი საქმეს, რომ აღჭურვილი იარაღით გასულიყავი საბრძოლველად, მაგრამ არ დაგცალდა, უდროოდ, მოისპო შენი სიცოცხლე. შენ შესწირე თავი კეთილს მისწრაფებას. უცნობი ხარ ქვეყნისათვის, ძმაო გიორგი, და ეს რას გასჭრის რომ მე, ერთს ობოლს, მახსოვდე?!

—

ჯერ სიღარიბემ მონობისა კარი გაგიღო,
თავისუფალს კი მწარ სიმშილმა ბოლო მოგიღო;
შენი ფიქრები შავმა ძალამ სხვაგან წაიღო,
აწ კი ვერ შესძლებ, რომ ნაყოფი შენ გამოიღო.

—

საქართველოის სიყვარულით გატაცებული,
მისწრაფოდი უშიშრადა იდეალისკენ,
და ქვეყნისათვის განწირული, თავდადებული,
იყურებოდი დღე და ღამე აღმოსავლისკენ.

—

ივერიისა ავმა ვარსკვლავმა აღარ გაგიშვა,
რომ შენ გებრძოლნა დაცემული ჩვენი ქვეყნისთვის;
შავმა სიკვდილმა სამარეში უდროდ ჩაგიშვა,
ნება არ მოგცა ნუგეშ გეცა ჩაგრულ ძმებისთვის.

—

ეხლა შეეხედოთ, თუ რა—მდგომარეობაშია ალექსანდრე მესხია? ალექსანდრე მესხია, როგორც ზევით მოვიხსენიე, მალე დაბრუნდა შვეიცარიიდან. მიზეზი დაბრუნებისა იყო სიღარიბე მესხიასი. დაბრუნდა, მაგრამ არ ინდომა სამსახურში შესვლა. მან მოჰკიდა ხელი მიწის მუშაობას, ამასთან შეისწავლა ქსოვა შალებისა შინაურის ხელის მანქანით; მუშაობდა—ქსოვდა შალებს და მით შოულობდა ლუკმა-პურს. თავისუფალ დროს ალექსანდრე კითხულობდა წიგნებს და სწერდა. მესხიას ჰქონდა აღებული **კაცი**. ის ლაპარაკობდა: „გავაბედნიეროთ კაცი და გაბედნიერდება მთელი კაცობრიობაო“. კაცთა გასაბედნიერებლად მას ჰქონდა აღიარებული **სიყვარული**. მესხიას ერთის გულით უნდოდა შესწავლა ფილოსოფიის და სოციოლოგიისა. უნდოდა შეეძინა ცოდნა, რომ ‘ცოდნეს და ‘ეცნიერულად განვითარებულს შეძლება ჰქონოდა ემსახურნა თავის სიცოცხლის საგნისათვის—თავისი მოვალეობისათვის. მაგრამ ალექსანდრეს არ მოეპოებოდა სახსარი, სიღარიბე უკრავდა მას ხელს, არ აძლევდა ნებას, რომ თავისუფლად ემოქმედნა. და ეს კი, რომ მას არ ჰქონდა ძალი

ეველო იმ გზით, რომელ გზაზედაც სიარულს ურჩევდა მას მისი ბუნება,—ეს მას მეტის მეტად აწუხებდა და სტანჯავდა. გარდა ჩემისა და წიგნებისა, ალექსანდრეს არა ჰყავდა სხვა კაცი ჭეშმარიტად მისი თანამგრძნობელი და დამფასებელი. ჩვენ ორნი თუმცა თანავუგრძნობდით ერთმანეთს, მაგრამ სიღარიბის გამო, არც ჩვენ შეგვეძლო ხშირად ერთმანეთის ნახვა—იშვიათად ვნახულობდით ერთმანეთს. ორივე ვუჩიოდით ჩვენს მდგომარეობას. მე კიდევ იმდენად არ ვიტანჯებოდი, რაზომ იტანჯებოდა ჩემი მეგობარი ალექსანდრე. ის მიხატავდა თავის მდგომარეობას იმისთანა სიტყვებით, რომელთა მოსმენა გვატირებდა ორივეს... მე არ შემიძლია ისე წყობისად გადავსცე სხვას იმისი სიტყვები, როგორადაც ამბობდა ის. ,,რა ვქნა, ძმაო?—მეკითხებოდა ის,—რა ვქნა? როგორ მოვიქცე? არ იტევა ჩემს გულში—იმდენი მაქვს სათქმელი. მინდა კიდე რამოდენიმე ხანს ვემზადო, რომ მომზადებული გამოვიდე ცხოვრებაში, მაგრამ გზა შეკრულია,—მთელი ჩემი ძალ-ღონე ლუკმა-პურის ძებნას უნდა მოვანდომო და საქმე როგორ ვაკეთო? მე მინდა თავისუფლება, მინდა წიგნები, მინდა რომ ვუყურო ცხოვრებას და ვიკითხო ცხოვრების წიგნი. მინდა, მაგრამ სად არის? ვინ მოგაცლის იმაზე, რომ შენ ისწავლო?!. გრძნობდე ცოტაოდნად მაინც თავის კაცობას... ხედავდე თავის მოვალეობას და არ გქონდეს დრო, რომ ემსახურო მოვალეობას. აი, ყველა უბედურებაზე უარესი უბედურება,—კაცი იძულებული ვარ, ლუკმა-პური ვაი-ვაგლახით ვიშოვო, იძულებული ვარ ჩემი სიცოცხლის მიზანი უყურადღებოდ დავტოვო. ახ! ნეტავი შემეძლოს უყურადღებოდ დატოვება მისი; შემეძლოს დავიწყება მისი, რაც მე გულში მიტრიალებს, მაშინ რა მიჭირს? მხოლოდ მასშია ჩემი უბედურება, რომ ვერ ვახერხებ მის დავიწყებას, რაც პატარობიდან შეზრდილია ჩემთან. ვერ შემიძლია გულ-გრილად ვუყურო ჩემ მოძმეთა ტანჯვას—ყველა ამ ქვეყნის უკულმართობას; არ შემიძლია გულგრილად ვუყურო ყველა იმ არა სასურველ მოვლენებს, რომელნიც ხდიან კაცებს არა კაცებად,—მე მაწუხებს სისხლი

და ცრემლი მაღალ არსებისა—კაცისა. ტანჯული კაცობრიობა გვეძახის „მოგვეშველენითო!“—არ შემიძლია თავი მოვიყრუო,—არ ვუსმინო მის მოწოდებას; არ შემიძლია, არ ვუსმინო, და იმავე დროს არ შემიძლია, დავეხმარო, ვუშველო მას! არ შემიძლია, ვიბრძოლო რიგიანად მისი დახსნისთვის,—ეს კი მტანჯავს, ძმაო, აუტანელის სატანჯველით.—ვიფიქრე მემოქმედნა იმ წრეში მაინც, რომელშიაც ვარ, დავიწყე ლაპარაკი ჩემს სოფელში, მაგრამ, შეხედე, ძმაო, ჩემს უბედობას, ჩემმა მეზობლებმა, ნათესავებმა და მთელმა სოფელმა სულელის სახელით მომნათლეს. ხომ ხედავ, ძმაო, თუ რა არის ეს ცხოვრება!—თუ მხრებზე ჩინები არ გაკერია, თუ არა გაქვს ბრწყინვალე ფოლაქები, არა გაქვს კაკარდი და მედიდურად არ გამოიყურები,—შენი საქმე წამხდარია—შენ ან სულელი ხარ სოფლის თვალში ანუ გლახა, რომელიც, მათის აზრით, კაცის წოდების ღირსი არა ხარ. როგორ შეგიძლია კაცმა იცხოვრო ცოტაოდნად მაინც გულ-დამშვიდებით იქ, სადაც ყველა ნათესავები, მახლობლები და მთელი საზოგადოება მტრულად გიყურებენ?!. რა ვქნა, ძმაო? მეწამლება სიცოცხლე, ვიჩაგრები, ვიჩაგრები, რა ვქნა, ძმაო? მასწავლე რამე... მეკითხებოდა ალექსანდრე.—მე რა შემეძლო? ვამხნევებდი მარტო ცარიელის სიტყვით. ჭეშმარიტი დახმარების მიცემას ვერ ვახერხებდი,—ორივე ერთნაირად ერთს ტაფაზე ვიწვებოდით. მეც მინდოდა თავისუფლება, მეც მინდოდა სწავლა, მეც მინდოდა ერთის სულით მინდოდა სიკეთისათვის ბრძოლა, მაგრამ არსებობისთვის საბრძოლველად მე მეკავა ხელში თოხი—ეს კეთილი იარაღი—დავყურებდი მიწას, ზევით ახედვის არ მქონდა ნება. ალექსანდრე მესხია და მე ვიყავით ორნი ობოლნი, მცურავნი ცხოვრების ზღვაზედ,—სიტყვით ერთ-მეორეს ვუმაგრებდით გულს და საქმით კი ერთმანეთის შველა არ შეგვეძლო.

რა არის მარტოობა? რა არის სულით ობლობა?—ეს ძნელი წარმოსადგენია ომისთვის, ვისაც ის სრულიადაც არ გამოუცდია. ალექსანდრე მესხია იყო სულით ობოლი—მან

დაჰკარგა მეგობარი შვეიცარიაში. ვეღარ შესძლო დაკმაყოფილება თვისი სულის მოთხოვნილებისა; იყო სოფელში, სადაც არ ხედავდა თანაგრძნობას, სადაც ის ხედავდა მარტო ცივსა და დამცინავს თვალებს,—მე იმდენს ვერასფელს წარმოვადგენდი მისთვის,—ძნელია მისი აღწერა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს, ადამიანის ფიზიკურ მხარეზე, სულიერს მდგომარეობას. სულიერი ტკივილი—სულიერად ტანჯვა—კაცს ჰქანცავს და ასუსტებს ზნეობრივად,—ჰქანცავს და ასუსტებს ფიზიკურად. ყველას ექნება გამონაცადი, თუ როგორ მოქმედობს მოწყენილობა კაცზე. მოწყენილობა უკარგავს კაცს ხალისს, უკარგავს ჰამის მადას და ჰღალავს. დიდი გავლენა აქვს სულიერს მდგომარეობას სისხლის მოძრაობაზე. მხიარული კაცი ცოცხლობს ცოცხლად, მკვირცხლად, მოძრაობს და ჰაზროვნობს რიგიანად; მხიარული კაცის სხეული საზრდოებს კარგათ და მოძრაობს ნორმალურად. სულით მწუხარის, მოწყენილი კაცის სიცოცხლე წაგავს მოშლილ ურმის მოძრაობას. ამ გვარ კაცის მთელს არსებას ეფარება შავი, სქელი ბურუსი; მას არ ახარებს არც მშვენიერება ამ გასაოცარ ბუნებისა, არც კაცი და მისი სიდიადე; მას არ ახარებს სიცოცხლე და არ ისწრაფის წინ; სულით ობოლს ყოველივე მისი გარშემო მყოფნი არსებანი შავად ეჩვენებიან: ხშირად ეჯავრება ყველა ისინი, ეჯავრება თვით თავის თავი და მთელი სიცოცხლე... ის იტანჯება, იტანჯება ისე ძლიერად, რომ მის დახატვა არ შეიძლება სუსტის სიტყვებით. სულიერი ტკივილი სჩაგრავს კაცს, ამტვრევს მას, უკარგავს ძალ-ღონეს და უდროოთ უსპობს სიცოცხლეს. სულით ობლობა არის ცეცხლი უდროოდ კაცის მომშლელი და დამადნობელი; ის არის საშინელი ჭია, გაჩენილი კაცის გულში, რომელიც ცოტ-ცოტად ხრავს კაცის არსებას და ბოლოს კი მთლად შეაჩერებს მისს მოძრაობას. რა არის ეს სულით ობლობის მიზეზი? რისგან ანუ საიდან იბადება ის?—სულით ობლობის მიზეზია ეს თანამედროვე ცხოვრების პირობები. ეს თანამედროვე კაცთა არა კაცური დამოკიდებულება თავის მოძმეებისგან—კაცები-

სგან; ხშირად სულით ობლობის მიზეზია სულიერი სიმაღლე კაცისა. ბედნიერია კაცი, თუ ის დაჯილდოებულია იმისთანა თვალებით, რომლებს არ გამოეპარება ამ ცხოერების კარგი და ავი, რომელნიც ნათლად ხედავენ ამ ცხოვრების უკუღმართობას; ბედნიერია ის მით, რომ ის მდიდარია სულიერად, მაგრამ ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ის სულიერად მდიდარი უბედურია იმავე დროს. უბედურია მით, რომ ეს სულიერი სიმდიდრე **ამდიდრებს** მას ტანჯვითაც. როდესაც ზნეობრივად, სულიერად ამაღლებული კაცი ცხოვრობს თავის მზგავს არსებებთან, კაცებთან, რომელთაც მაგისი სულიერი სიმაღლე სისულელედ და სულიერ სიმდაბლედ მიაჩნიათ, როგორ უნდა გრძნობდეს თავის თავს ამისთანა კაცი? ვის უნდა მიმართოს მან, როცა ის თვისს გარშემო ხედავს ბოროტს და დამცინავ თვალებს. როცა ის არ ჰპოულობს თანაგრძნობას—სითბოს?... ვის მისცეს მან ხელი? ვის გაუწიოს მეგობრობა? კაცი ვარდება ცოცხლად ჯოჯოხეთში და იტანჯება... იტანჯება სულით.—ზოგიერთნი ვერ აიტანენ ამ ტანჯვას და ესალმებიან წუთისოფელს უდროოდ...

ალექსანდრე მესხია შეიქმნა მსხვერპლი სიღარიბისა და სულით ობლობისა.

ალექსანდრე მესხია ძლიერ გაცივებულა ერთხელ; ისედაც ფიზიკურად დასუსტებული ალექსანდრე ამ გაცივებამ კი მთლად მოსწყვიტა და ჩააგდო ლოგინში. ალექსანდრეს მამამ, რომ ნახა ავად გამხდარი თავისი შვილი, დაიწყო თავის მტერევა, შეეცადა შეძლებისამებრ, მოერჩინა თავისი შვილი, მაგრამ ვერას გახდა. რამდენჯერმე ვინახულე მე ჩემი მეგობარი. იმედი ჰქონდა თვითონ ალექსანდრეს, მისს მშობლებს და მკურნალსაც, იმედი მქონდა მეც, რომ ალექსანდრე მორჩებოდა. მაგრამ ყველა მოვსტყუვდით. ერთს დღეს მომიტანეს ამბავი, ალექსანდრე კვდება და გიხმობს შენაო. მე დაუყონებლივ წავედი მის სანახავად. დამხვდა გრძნობა-დაკარგული ჩემი მეგობარი, ჩემი ერთად-ერთი ცოცხალი ძმა ქვეყნიერებაში. ვერ წარმოიდგენთ, მკითხველო, თუ რა მდგომარეობაში ჩა-

ვვარდი მე... მიკვდებოდა ერთად ერთი საყვარელი კაცი—საყვარელი ძმა და მეგობარი.

„შვილო ალექსანდრე! პავლე მოვიდა შენ სანახავად“—ეუბნებოდა გულჩათუთქული, ალექსანდრეს დედა—„შვილო, ალექსანდრე... შვილო, ალექსანდრე!.. გამოიხედე ერთი, აი პავლე! განა ვერ იცანი პავლე!“—ალექსანდრეს არ ეძინა, მას ახილული ჰქონდა თვალები, მიყურებდა, მაგრამ ვეღარ მიცნობდა—მე ვეღარ ვახერხებდი დაძახებას, ცრემლი მაწვებოდა.

ალექსანდრე... ძმაო ალექსანდრე!.. მე ვარ—პავლე... მე ვარ—პავლე. ვსცდილობდი, ცრემლები შემეკავებინა, მაგრამ არა... ცრემლი მდიოდა, როგორც წყალი... გული მისკდებოდა. ვუყურებდი გულდამწვარი ალექსანდრეს სხივ-მოკლებულს თვალებს.... ვუყურებდი მისს მაღალს შუბლს, ჭეშმარიტებით, სათნოებით გამომეტყველ სახეს, მისს სუსტად ბეჟუტავს სიცოცხლის ლამპას, რომელიც აი, აი უნდა შეჩერებულიყო, გამქრალიყო საუკუნოდ... ცეცხლი მედებოდა მთელს ტანში ვერაფერით მოვახერხე, ვერა ვუთხარი-რა ჩემს ძვირფასს მეგობარს.—„ალექსანდრე!.. ძმაო ალექსანდრე!.. მე ვარ პავლე! მითხარი ჩემო ძვირფასო, რამე!.. ვეკითხებოდი ტირილით. მთელი სახლი სავსე იყო ალექსანდრეს ნათესავებით; ყველანი ტიროდნენ: დედ-მამის სიმწარის აღწერა შეუძლებელია... ცოტა ხნის შემდეგ, ვითომ გამოიღვიძა ძილიდანაო, ალექსანდრემ მომიჭირა სუსტად ხელი, რომელიც მე მეკავა, და მკითხა: „როგორა ხარ, პავლე!“ მე საშინელი ტირილი ამივარდა... ვერასფელი ვუთხარი მაგიერი ჩემს ძვირფას მეგობარს, მან კი დამიწყო გამხნევება შემდეგის სიტყვებით: ნუ შეკრთები ძმაო პავლე! არ შეგაშინოს ცხოვრებამ თავისი მრისხანებით... არ შეგაშინოს, ძმაო მან, რომ დღეს ყოველ კეთილ აზრს, ყოველ კეთილ დაწყებას ბოროტება ათას გვარი სახით ეღობება წინ, უკრავს გზას და უძნელებს ფრთების გაშლას. ეს იმისი ნიშანი კი არ არის, რომ ვითომდა ბოროტებამ გაიმარჯვოს ქვეყანაში, არა! ბალე მოელოდე იმ ნეტარს დროს, როცა დაემხობა სიცრუე, სიძულვილი, მტრობა და მონობა.

წამოდგება, გაიმარჯვებს სიყვარული, სიმართლე, თავისუფლება და სილამაზე... არ დაგეკარგოს რწმენა და იმედი... არ შეგაშინოს შრომამ, ტანჯვამა... არ შეგაშინოს თვით სიკვდილმა თავისი საზარელი სახით... არ გადაუხვიო შენს არჩეულ გზას... არ უმტყუნო პატიოსანს სიტყვას... ყველაზე უფრო არ დაგეკარგოს რწმენა თავისი თავისა... არ შეგაშინოს მარტოობამ... შენ გააკეთე, ძმაო, ის, რაც მე და გიორგიმ ვერ გავაკეთეთ... ძმაო პავლე, იცოდე მე სიკვდილი არ შეზარებია, ეს არის მხოლოდ ჩემი სამწუხარო, რომ ჩემთან კვდება ის ფიქრები, რომლებისთვის მინდოდა მე სიცოცხლე ქვეყანაზედ.

—ოხ! ჩემო ძმებო! ჩემო ძმებო, ჩაგრულნო კაცნო!.. ვკვდები უდროოდ, ვერ მოგიპოვეთ მცირედი მალამო, რომ წამესვა თქვენის მრავალ-საუკუნოებით დაწყლულებულის გულისთვის... ვკვდები უდროოდ და სამარეში თან მიმყვება თქვენი სიყვარული... თან და თან უსუსტდებოდა ხმა ალექსანდრეს... მე ისე გაბრუებულვარ, რომ არც ვტიროდი და არც რას ვამბობდი. ჩემი მწუხარება იყო ძლიერი, მაგრამ არ შემეძლო ამ მწუხარების გამომჟღავნება, მეკარგებოდა რწმენა ყოველგვარი კეთილისადმი... ვამბობდი გულში, რათ მინდა მე სიცოცხლე, როცა რაღაც უცნაური ძალა მართმევს ამ ჩემს უკანასკნელს ნუგეშს? ანუ როგორ ვერწმუნო სიკეთეს, როდესაც შეუბრალებელი ბუნება ჰკლავს ამ მშვენიერს, სულით მაღალ არსებას.... ჰკლავს სიკეთით და სიყვარულით სავსე ნორჩს სიცოცხლეს. მე სიმწუხარით ზარდაცემული ვსწყევლიდი სიკვდილს და ინსტიქტიურად ვეხვეწებოდი რაღაც ძალას, რომ მას გაეგრძელებინა ალექსანდრეს სიცოცხლე... ალექსანდრეს ისევ მისუსტება დაეტყო, მას ებნეოდა სიტყვა, ვერ ახერხებდა ლაპარაკს...—„ნუ მოკვდები... შენ მაინც პავლე“—იყო უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მე გავიგონე ალექსანდრესაგან.—ალექსანდრეს გრძნობა დაეკარგა... მე კი შეშლილისავით წამოვხტი და სიჩქარით წამოვედი შინ, არ ვიცი, თუ რისთვის ჩავიდინე ეს. მეორე დღეს გავიგონე, რომ იმ დილით საუკუნოდ განსვენებულა ჩემი ძვირფასი ძმა, ჩემი

ერთად ერთი ნუგეში ალექსანდრე. —ალექსანდრეს გარდაცვლის გაგონებამ ჩემზე რაღაც უცნაურად იმოქმედა; მე არ მიტირია და დიდს საგონებელში კი ჩამაგდო.

აი, ძვირფასო მკითხველო, ამ გვარად მოუსპო სიცოცხლე ჩემს ძვირფასს ალექსანდრეს ულმობელმა, უგრძნობელმა, შეუბრალებელმა და მძლავრმა სიკვდილმა.

ამ გვარად გამოასალმა წუთისოფელს ოცდა ხუთი წლის ახალგაზდა ჯაბუკი, 17 მარტს 1903 წ. სოფელ ობუდში.

აწი გთხოვთ, საყვარელნო მკითხველნო, შეხედოთ ამ ჩვენს ცხოვრებას და მასში მოსძებნოთ მიზეზი ამ გვარ მოვლენისა.

ალექსანდრეს სურათს.

—

მოწყენილია ძმა-მეგობარი,
სადღაც შორს—შორს ის გაიყურება;
სიმართლისათვის მხნე მეომარი
თვის მიზანს აღარ ემსახურება.

—

რამ მოგაწყინა, ძვირფასო ძმაო,
შენის მოწყენით რათ მიკლავ გულსა?
ხომ არ გაწუხებს რამე უბრალო,
შენ-ქვეყნისათვის თავდადებულსა?

—

გწყინს, თუ ქვეყნისა უკულმართობა,
ბოროტის მომხრეთ ქვეყნად სიმრავლე;
კაცთა სიცრუე, უსამართლობა
და ზნეობრივი მათი სიმდაბლე?

—

ან თუ გაწუხებს შენი ობლობა,
კაცთა შენდამი მიმართვა მტრული?

ძმებისგან ძმების დაუნდობლობა,
სიკეთის ნაცვლად მტრობა და შური?

—

გაწუხებს კაცის ტანჯვა, ტირილი,
და რომ არ არის კაცი ჩვენს დროში;
სამართლიანი მისი ჩივილი
რომ ვერ ირჩევა სასამართლოში?

—

ან თუ გრძნობ, ძმაო, უდროვოდ შენთან
შავი სიკვდილის მოახლოვებას;
გაწუხებს, რომ ვერ იქმნები ძმებთან,
ვერ შეასრულებ მოვალეობას.

—

გრძნობ, რომ მოგელის ცივი სამარი,
გაწუხებს—დაგრჩა ბევრი საქმენი,
ვერ გაიარე გზა გასავალი
და ვერ ეამოსთქვი შენი სათქმელი?

—

რამ მოგაწყინა, ძვირფასო ძმაო,
შენის მოწყენით რათ მიკლავ გულსა,
ხომ არ გაშინებს რამე უბრალო,
შენ ქვეყნისათვის თავდადებულსა?!

—

დაუვიწყარო, ძვირფასო და მარად ჩემს გულში აღმოუცილებელო ძმაო ალექსანდრე! გულ დაწყვეტილი, მარტოდ-მარტო ობლად დარჩენილი დავყურებ შენს სურათს... აუწერელის მწუხარებით აღვსებულს არ შემიძლია შევაერთო ჩემი ფიქრები; არ შემიძლია მწყობრად გამოვსთქვა ის, თუ რასა ვგრძნობ მე მაშინ, როცა წარმოგიდგენ შენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როცა თვალწინ წარმომიდგება შენი კეთილი და მაღალი სული შენი სიმართლით და სათნოებით გამომეტყველი სახე... ხშირად ვაფრქვევ შენზე ცრემლებს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ამ ცრემლებს არ შეუძლიან მომილბონ

გული... გტირი შენ და უფრო ვსტირი მას, რომ შენში დავკარგეთ ჩვენ—ამ ქვეყნად დარჩენილებმა, ძვირფასი განძი, რომლის დაბრუნება აწ შეუძლებელია... ძმაო ალექსანდრე! შენ იყავი კაცი რომელიც ღირსეულად ატარებდი ამ დიად სახელს... შენ გრძნობდი შენს კაცურს მოვალეობას და გულწფელად იყავი მოწადინებული გადაგეხადა ეს ვალი; მოწადინებული იყავი გემსახურა სხვისთვის... ყოველ-გვარი სხვისი გაჭირვება იყო პირადი შენი გაჭირვება... სხვისი ტანჯვა-მწუხარება გატირებდა შენ... სხვისი სიმშილი, სიღარიბე გაწუხებდა შენ მეტად, ვინემ შენი... სხვისი სიტიტვლე, სიბინძურე, ავადმყოფობა და ზნეობრივი დაცემა იყი შენი დამსჯელი... შენ უყურებდი ყოველ კაცს სახეში... სახით კითხულობდი კაცთა გულის პასუხებს, სახით იცნობდი ხოლმე მათის სურვილების მდგომარეობას, მათ სიმწუხარეს, მათს საჩივარს ცხოვრების მიმართ... ახ ძმაო, ძმაო, რამდენი მაღალი ფიქრები ჩაიტანე სამარეში?!.. შენ არ გეშინოდა არაფრისა; იმედით იყავი სავსე... შენი განზრახვა იყო, სხვისათვის გემუშავნა; ეტრფოდი ახალ დროის დაბადებას... იმედი გქონდა კაცის, საზოგადოების გაღვიძებისა... ლაპარაკობდი: „აი გათენდება ყველასათვის სანატრელი დღე, აი გაიმართებიან წელში დასაბამით დასჯილები და დაჩაგრულები... აი იცნობენ თავიანთ თავს კაცნი, აი იცნობენ ერთმანეთს ადამიანები და იმ დასკვნას დაადგებიან, რომ ყოველი ცალკე კაცის, ცალკე ხალხის და მთელი კაცობრიობის ბედნიერი ცხოვრებისათვის საჭიროა თავისუფლება და სიყვარული. მაგრამ არა! ცხოვრებამ არ დაგაცალა, უდროოდ შეაჩერა შენი მოქმედება, მოკვეთა ძარღვები და წაგაქცია ძვირფასი არსება. შენ სიკვდილი არ გინდოდა, შენ გეზარებოდა სიკვდილი, მაგრამ არა იმიტომ, რომ შენ აქ ყოფნა ბედნიერებად მიგაჩნდა, არა,—ეს ქვეყანა შენთვის ჯოჯოხეთი იყო, მაგრამ შენ სიცოცხლე გინდოდა მხოლოდ იმისთვის, რომ შენის სიცოცხლით სარგებლობა მოგეტანა ქვეყნისათვის.

—

მერწმუნე ძმაო! არას დროში არ მავიწყდები;
ყოველ წამს და წუთს, ვით ნათელი, თვალწინ მიდგები
და შენი ხსოვნა ჩემს გულშია მანამ იქნება,
სანამ სიცოცხლე შავს მიწაში არ დაიფლება.

ალექსანდრე მესხიას დარჩა ნაწერები ქართულად და რუსულად. მისი ნაწერები წარმოადგენენ მასალას, რომლისგანაც ალექსანდრე ფიქრობდა, შემდეგში, დიდი შენობის აშენებას. ალექსანდრე ხშირად იტყოდა ხოლმე:

— ჯერ კიდევ მასალები მაქვს დასამზადებელი და ნამდვილს წერას ოთხი-ხუთი წლის შემდეგ შევუდგებიო“.

სიკვდილის წინად ის იმაზე სწუხდა, რომ მის ნაწერებს არ ჰქონდა არც თავი და არც ბოლო—და ის გაუგებელი დარჩებოდა ყველასათვის. ალექსანდრეს ნაწერები იმის მამას ჰქონდა შენახული; ამ უკანასკნელ დროში ვსთხოვე მას ის ნაწერები. ალ. მესხიას ქართული ნაწერებიდან ამოვკრიფე რამოდენიმე მის მიერ მოკლე-მოკლედ გამოთქმული აზრები; რუსულიდან არაფერი გადამითარგმნია. ნაწერებში ვნახე სამი დაწყებული მოთხრობა; არც ერთი ამ მოთხრობებიდან არ არის დამთავრებული... რუსულად დაწერილს რვეულებზე დაწერილია—„Мои исканія“, რომელიც წარმოადგენენ ფილოსოფიურ აზრთა კრებულს.

ალ. მესხიას აფორიზმები.

„მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი. ამისთვის რა იყო საჭირო?—ჩემის ფიქრით, ამისთვის საჭირო იყო, რომ ის წრე, ის საზოგადოება, რომელშიაც მე ვცხოვრობდი, ყოფილიყო ბედნიერი;—უამისოდ ჩემი გაბედნიერება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ჩემი ბედნიერება დამოკიდებული იყო საზოგადოების ბედნიერებისაგან და, რადგანაც ის საზოგადოება არ იყო ბედნიერი, მე განვიზრახე მემუშავნა საერთო ბედნიერებისათვის. მინდოდა გაბედნიერება ყველასი... მინდოდა, მაგრამ ვერ შევსძელი ამის გაკეთება... ვერ გავაბედნიერე ყველა... ვერ გავბედნიერდი მეც... შევწუხდი... ვიფიქრე ჩემთვის: უსამართლო ყოფილა ეს ბუნება, რომელმაც შექმნა ამისთანა არსება, კაცი, რომელსაც მარტო არსებობა არ აკმაყოფილებს... რომელსაც სწყურია ბედნიერება... სწყურია ბედნიერება და არ შეუძლიან ამ წყურვილის დაკმაყოფილება... თუ არ შეიძლებოდა იმ წყურვილის დაკმაყოფილება, რად დაუბადა ბუნებამ კაცს ეს წყურვილი?! ავიღოთ უსულო საგანი, მაგალითად, ქვა,—მას არ შეუძლია თავის გაბედნიერება; არ შეუძლია, მაგრამ არც საჭიროებს ამაში, არ ეძებს ამ ბედნიერებას. არა აქვს, მაგრამ არც უნდა. ჩვენ კი, ჩვენ გვინდა და არა გვაქვს. ამას დიდიხანია ვაკვირდები და ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ თვით ჩვენი დამბადებელი ბუნება სრულიადაც არ არის უსამართლო. ბუნებამ თუ გააჩინა წყურვილი—გააჩინა წყალიც იმ წყურვილის მოსაკლავად; ბუნებამ თუ ჩვენ მოგვცა წყურვილი ბედნიერებისა, უეჭველად იქნება შექმნილი ის საშუალებაც, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას... საქმე იმაშია მხოლოდ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაგენით

ამ გზას, ვერ მოვსძებნეთ ის ადამიანთა გამაბედნიერებელი საშუალება!

—

ნუ ვაქებთ ბოროტებას, სიცრუეს მიტომ, რომ ჩვენ, ანუ ჩვენი საყვარელი, ჩავდივართ მას.

ნუ ვაძაგებთ კეთილს და სიმართლეს მიტომ, რომ ჩვენ ანუ ჩვენს საყვარელს არ შეუძლია იმით ხელმძღვანელობა.

ვაძაგოთ ბოროტება, სიცრუე; ვაქოთ სიკეთე, სიმართლე ყველამ ყოველგან—შინ და გარეგ: გზაზე, მინდორში, ხალხის ყრილობაზე... ერთის სიტყვით, ყოველ იმ ადგილას, სადაც კი გვეყოლება მსმენელი. მივაჩვიოთ საზოგადოება სისწორეს რომ საზოგადოების ხმამ მოაბრუნოს წაღმა ჩვენი ცხოვრების ბორბალი.

—

სიცოცხლე არის საქმე... სიცოცხლე არის ბრძოლა... ბრძოლა შეუძლებელია ისე, თუ არ არიან ორი ერთმანეთის შოწინამდეგე ძალები. კაცს აქვს ორი მხარე—კეთილი და ავი,—გამარჯვებულია ავი—დატანჯულია კაციც, გაიმარჯვებს კეთილი—გაბედნიერდება კაციც.

—

სიცოცხლე საყვარელია; არსებობის საგანი—ამ საყვარლის ტრფიალებაა.

—

ოქრო არის ყველა იარაღზე მჭრელი და ყველა იარაღზე უფრო ადვილად კაცთა მკვლელი.

—

მდიდარი ოქროს უმარილით ათეთრებს თავისს შავ სახეს.

—

შეუძლებელია დამშვიდებით, დალაგებით აზროვნება იქ, სადაც მთელი სულიერი და ფიზიკური ძალღონე მიქცეულია იმაზე, თუ როგორ არ მოკვდე შიმშილით, თუ როგორ იშოვო ლუკმა პური.

—

ჩაგრულო ძმაო, გაიღვიძე—შეიგნე თავი!...

—

რისთვის მხახურობენ მოხელეები სხვა და სხვა სახელ-მწიფო დაწესებულებებში? ისინი საზოგადო საქმეს ემსახურე-ბიან თუ თავის თავს? ე. ი. მსახურებენ იმიტომ, რომ მეტი ფული აიღონ?—თუ ფულისთვის მსახურებენ ისინი—მაშინ სიტყვა მოსამსახურე იმათ კი არ შეჰფერის.

—

ჩაგრულნო, უშველეთ თავს. ნურავისგან ნუ ელით შვე-ლას... თქვენ თქვენივე ხელით, თქვენივე შრომით და მეცა-დინოებით მოიპოვეთ ის, რაც აუცილებლად საჭიროა თქვენ-თვის.

—

ყველა მდიდრები ვიქმნებოდით, რომ იმდენად ხელ-მო-ჭერილი ვიყოთ სხვა საქმეში, რამდენად ხელმოჭერილნი ვართ საქველმოქმედო საქმეში.

—

მე მხოლოდ მაშინ გავხდები ბედნიერი, როცა შემეძლე-ბა ვსთქვა: მე შევასრულე ჩემი მოვალეობა.

—

ტოლსტოის ყველა სიტყვებიდან უფრო პატივსაცემია ერ-თი, მაგ. „შეფიქრდით“.

გიყვარდეს შენი ძმა, გიყვარდეს მოყვასი... მოეხმარე მას... მოეხმარე მას—მაგრამ ეს მას კი არ ნიშნავს, რომ შენ მოეხმარო მას კაცის კვლაში, ბოროტების ჩადენაში. არც ის არის მოხმარება, თუ შენ აჩუქებ პატარა რამეს მას! არა, შენ მხოლოდ მაშინ მოეხმარები ძმას, მოყვასს, როცა შეებრძო-ლები იმ მიზეზებს, რომელნიც სჩაგრავენ შენს ძმას,—რომელ-ნიც არ აძლევენ მას კაცურად ცხოვრების ნებას!.. მოეხმარე ძმას ე. ი. ებრძოლე ბოროტებას, უსამართლობას, ძალმომ-რეობას და ათასგვარ სიავეს, რომელნიც სჩაგრავენ შენს ძმას!..

—

ყველა ადვილად დაიჯერებს მხოლოდ იმას, რაც უფრო მსუბუქია და მის სამხიარულო, თუ გინდ ეს არ იყოს სასარგებლო.

—

გლეხი მასზე საუბრობს, თუ რამდენი მიწა შეიმუშავა,— თავადი კი თუ როგორი ,ამათელი მოუვიდა.

—

თუ ორი მეზობელი ერთმანეთს ეფერება — ეს მას ნიშნავს, რომ ორივეს ერთი მტერი ჰყავს.

—

შიში არის ინსტიკტიურად დაცვა თავის სიცოცხლისა; შიში არის დაფასება სიცოცხლისა, —უარყოფა სიკვდილისა.

—

რა არის მართებლობა? — თუ არ დამიჯერებ—მოგკლავ.

—

ქრისტიანენი, მაჰმადიანნი, ებრაელნი, ბუდდისტნი და სხვა სარწმუნოების მაღიარებელნი აქებენ თავიანთ სარწმუნოებას; არც ერთი მათგანი არ ეთანხმება მეორეს. ისინი ამბობენ, რომ ღმერთი ერთიაო და ჩვენი სარწმუნოება პირდაპირ ღმერთმა გადმოგვცაო. რომელს დავუჯერო? ნუ თუ ყველანი მართალნი არიან? თუ მართლა ღმერთი ერთია ქვეყნიერებაზე,— ადამიანებს სხვა და სხვა გვარად რად ელაპარაკებოდა ის ერთი ღმერთი?!...

—

მე ჩემს სოფელში, განსაკუთრებით ჩემს მეზობლებთან, ხშირად მქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო,— დიდათ საჭირო,—აწ მაინც მიგვეტოვებინა ჩვენ შორის არსებული ბევრი ცუდი და მავნებელი ჩვეულებანი. საჭირო იყო მიგვეტოვებინა ის ჩვეულებანი, რომელნიც ძველებს კარგად მიაჩნდათ, მაგრამ დღეს კი დიდათ მავნებელნი არიან ჩვენთვის. ჩემს მსმენელთ ვუხსნიდი მას, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა მათთვის იმ მავნე და უვარგისი ჩვეულებათა მიტოვება —დავიწყება... ყველანი მეთანხმებოდნენ ამაში სიტყვიერად და ლაპარაკობდნენ: „ძლიერ კარგი იქნება, რომ მიატოვებ-

დნენ ამა და ამ ჩვეულებას“, ამბობდნენ ამას და არც ერთისაგან არ გამიგონია—„მოდი მივატოვოთ!“ ზოგი მათგანი ამას იტყოდა: „სხვა რომ მიატოვებდეს, მეც მივატოვებო“.

ასეა ცხოვრებაში. ყველა ამბობს სიტყვიერად, რომ სიმართლე, ძმობა და სიყვარული კარგი რამ არის; ამბობენ ამას სიტყვით, მაგრამ არც ერთს იმათგანს არა აქვს იმდენი შეგნება, სიმამაცე და სიმტკიცე, რომ საქმით აკეთოს ის, რასაც სიტყვით აღიარებენ... სად იმალება ამისი მიზეზი?!.. დიაღ! მიზეზი ადამიანობაა კაცისა... მიზეზი ბუნებრივი სისუსტეა კაცისა. ამასთან დიდი გავლენა აქვს კაცის სულიერ სიმტკიცეზე იმას, თუ როგორ იზრდება კაცი, როგორი წრეში იზრდება ის. რიგიანი აღზრდით შეგვიძლია გავამაგროთ ხასიათი კაცისა, რომ მან შესძლოს კეთება საქმით იმისი, რასაც ის აღიარებს სიტყვიერად.

—

ნუ აკეთებ, ძმაო, იმისთანა რამეს, რაც სარგებლობას არ მოუტანს შენს მოყვასს.

—

ქვეყანაზე მხოლოდ სამი სარწმუნოებაა:
პირველი—ყაჩაღური,
მეორე—პირმოთნეული,
მესამე—ქრისტეანული.

—

ვინც ღრმად არის დარწმუნებული რამე საგნის უვარგისობაში, ვინც კარგად გრძნობს რომელიმე მოვლენის სიავეს, იმან პირველად უნდა მიატოვოს ის არა საჭირო და უვარგისი საქმის კეთება, იმან პირველმა უნდა განუცხადოს პროტესტი და აუაროს გვერდი იმ სიავეს... შეუგნებელი და უვიცი უმრავლესობა რომ დაინახავს ამას, ისიც დაიწყებს მოძრაობას: ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე და ისე თითო თითოდ გაჰყვებიან ის უვიცებიც იმ გზას, რომელიც კარგია და მიატოვებენ იმ გზას, რომელიც სახიფათოა და არა სასარგებლო.—ამ გვარად გამოკეთდება საქმე, ამ გვარად მივაღ-

წევთ მიზანს, რომლის მიღწევა ჩვენი ვალდებულებაა.—შევნებულო, დაიწყე საქმე.

—

ძმანო, ძლიერნო ამა ქვეყნისა! რათ დამივიწყეთ? რათ წამართვით უფლება, ვისარგებლო კაცის სახელით? რათ დამიკეტეთ ბედნიერების კარი? ნუ თუ არ გაწუხებთ სინიდისი? ნუ თუ არა გრცხვენიათ? გაგვიკანით—ჩვენ მოწყალებას კი არ ვითხოვთ, თუმცა ჩვენ თქვენს თვალში კაცად არ ვირიცხებით, მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ მასში, რომ კაცნი ვართ, კაცს არ შეშვენის მათხოვრობა... დრო გაქვთ კიდევ—დავძმობილდეთ, გავიცნათ ერთმანეთი... მერე კი არ გვისაყვედუროთ, თუ ჩვენ ჩვენი უფლება ჩვენის ხელითვე მოვიპოვეთ.

—

ერთს ავადმყოფს უფრო დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისათვის, ვინმე მრავალ ზოგიერთ კარგად მყოფს. ბევრი კარგადმყოფნი სთესავენ კაცთა შორის სიძულვილს, მტრობას და ზიზღს,—ავადმყოფის სახე, ანუ მისი მდგომარეობა უღვიძებს კაცთა ნამდვილს კაცურ გრძნობას,—უღვიძებს სიბრალულს, სიყვარულს და აჩვევს კაცთმოყვარეობას, სიმდაბლეს და თავგანწირვას.—

—

არა მარტო მთელს სახელმწიფოს, არამედ მთელს კაცობრიობას ჩვენ უნდა ვუყურებდეთ, როგორც ერთს ოჯახს.

—

სიცოცხლე თამაშაა თუ საქმე?!...

—

ძმანო და საყვარელნო, აღმზრდელნო ნორჩ ახალგაზდობისა! თქვენ გაბარიათ იმედი მთელი ქვეყნისა... თქვენ გაბარიათ ყანა... ეცადეთ გამარგლოთ ეს ყანა ისე, რომ არ დაგრჩეთ იმაში ავი ბალახი... თქვენ ხართ მებაღე, გაბარიათ ბაღი, სადაც ხაროობენ ნორჩი ხეხილები... ეცადეთ, გაზარდოთ ის ხეხილები სწორედ; ეცადეთ უწამლოთ, თუ როშელიმე

მათთაგანს რამე ავადმყოფობა სჭირს;—გამოაღებინეთ იმ ხეხილებს ჭეშმარიტად კეთილი და ნოყიერი ნაყოფი.

მასწავლებელნო, აღმზრდელნო ახალთაობისა! თქვენა ხართ მეორე დედა კაცობრიობის შვილებისა, გქონდეთ დედობრივი სიყვარული იმ შვილებისადმი; გამოზარდეთ ისინი კეთილ წევრებად საზოგადოებისა და რიგიან მოქალაქებად მთელი კაცობრიობისა.

—

სიყვარული თვით კანონიც არის და კანონმდებელიც.

—

ნუ ეცემი, ჩემო სულო, ნუ გაშინებს შავი ბედი!

—

ბუნებისაგან ჩვენ ვისჯებით იმიტომ, რომ იმ ბუნების ძალას ჩვენს სასარგებლოდ არ ვხმარობთ.

—

ჩვენს სიცოცხლეს რომ რამე დანიშნულება არ ჰქონდეს, რა საჭირო იყო თვით ეს სიცოცხლე?!

თუ ჩემს არსებობას და მასთან მთელი კაცობრიობის არსებობას მოეღება ბოლო,—მაშინ რას ქვია მოღვაწეობა კაცობრიობის საკეთილდღეოდ?—რას ქვია კაცური ვალი?

—

როცა ვკითხულობ გენიოსის ნაწარმოებს, ვუმზერ გენიოსის სურათს, მე აღტაცებაში მოვდივარ, მინდა მუხლი მოვიყარო იმ გენიოსის წინ, იმის დიდი ნიჭის წინ,—მაგრამ ვინ არის ეს გენიოსი? განა გენიოსი დამბადებელია თავის თავისა? განა გენიოსი შემქნელია თავისი მაღალი ნიჭისა? არა,—მე მუხლ-მოდრეკით თაყვანს ვსცემ იმ ჩემგან უცნობს მაღალს ძალას, რომელიც არის დამბადებელ-შემქნელი იმ გენიოსისა.

—

უმრავლესობას იმის შეძლება კი აქვს, რომ გაჰყვეს კეთილს გზას, თუ კი მან იპოვა ჭეშმარიტად კარგი წინამძღოლი. უბედურება იმაშია, რომ წინამძღოლი არა სჩანს...

—

წინამძღოლნი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამბობენ ერთს, აკეთებენ მეორეს. ამიტომაც ხალხიც ამბობს ერთს—აკეთებს მეორეს. დრო არის არ ატყუებდნენ კაცები თავიანთ თავს და არც სხვას; დროა, დავიწყოთ საქმის კეთება.

—

საზოგადოებას, რომ დროზე მიეცა დახმარება მათთვის, რომელნიც ჩავარდნილნი არიან ბინძურს ტლაპოში, ისინი შეიქნებოდნენ კარგნი წევრნი საზოგადოებისა.

—

შევიგნოთ, აღვიაროთ ბოლოს და ბოლოს ეს ყველასათვის ადვილად გასაგები ჭეშმარიტებანი: ერთი, რომ „დედამიწა ეკუთვნის მთელს კაცობრიობას და თვითეულს კაცს, როგორც წევრს კაცობრიობისას უნდა ჰქონდეს თავისი კანონიერი წილი. მეორე—კაცი არ უნდა იყოს მავნე თავისი მზგავსი არსებისა, კაცისა; თუ მაინცა და მაინც არ შეუძლია სარგებლობის მოტანა. მესამე—კაცი არ უნდა იყოს დამოკიდებული მონა თავისივე მზგავსი კაცისაგან; კაცი დამოკიდებული უნდა იყოს საზოგადოებისაგან და საზოგადოება თავის მხრივ კაცისაგან...

—

ყოველი კაცი ვალდებულია ეცადოს და დაამარცხოს თავისს თავში ყველა ის ავი მიდრეკილებანი, რომელნიც გადმოსულია მასზე შთამომავლობით; ეცადოს—არ მიიკაროს ისინი, რომელნიც ჯერ არ შეხებიან მას და თუ შეხებიან—არ გაუდგამთ მაგარი ფესვები იმისი გულის ნიადაგში.

—

ყოველი სიავე, რასაც მე მიზამენ ჩემი მოყვასნი, იქნება პირად მათთვის მავნებელნი,—ამიტომ კარგი იქნება საერთოდ ეცადნენ, რომ კარგი მიქნან მე.

—

თუ ჩვენის არსებობის საგანი მხოლოდ კუჭია, მაშინ რა უნდა გითხრათ, ძმანო? მაშინ სჯობია სულაც არ ვარსებობდეთ...

—

სასურველია გადიდდეს სკოლები სიმრავლით, მაგრამ უფრო სასურველია გადიდებულ იქმნას არსებულ სკოლათა თვისებანი.

—

დასაბამიდან დღემდის შეუგნებელ კაცობრიობას კაცად მიაჩნია ის, კაცს ეძახის მას, ვინც ძლიერია, მოუხეშავი, პირუტყვული ღონით, ვინც ძლიერია ხერხით; ვისაც შეუძლია მეტი ქურდობა, მოტყუება, ძალადობა; ვისაც სიმდიდრე, დიდი ჩინი ანუ შთამომავლობით შერჩენილი ხარისხი აქვს,— მაგრამ ამგვარი შეხედულება, როგორც ამას ამტკიცებდნენ თითქმის ყველა უმთავრესნი წარმომადგენელნი კაცის უმაღლესი ნიჭისა, არ არის სწორი და ჭეშმარიტი. კაცობა არ განიზომება არც ფულით, არც ფიზიკური ძალით, არც დიდი ჩინით და შთამომავლობით შერჩენილი ხარისხით. **კაცობა** კაცისა თვით კაცშია; **კაცობა** კაცისა მხოლოდ მის ზნეობაშია; ის არსება, რომელსაც შეუძლია დაიმსახუროს ჭეშმარიტად სახელი **კაცისა**, უნდა იყოს ჭეშმარიტად მართალი, პატიოსანი, მოსიყვარულე, მოღვაწე საერთო კაცობრიული ბედნიერებისათვის და მძებნელი უმაღლესი ჭეშმარიტებისა; ჭეშმარიტ კაცს უყვარს ყველა მისი მზგავსი არსებები—ადამიანები. ის შეგნებულად ხელს უწყობს მას, რაც აბედნიერებს ამ მისს მზგავსს არსებებს; შეგნებულად, თავგანწირულად ეწინააღმდეგება მას, რაც მავნებელია მათთვის; ჭეშმარიტად კაცი თავგანწირულად ებრძვის ყველა იმ ხაფანგებს, ყველა იმ მიზეზებს, რომელნიც აწუხებენ, რომელნიც სტანჯავენ ადამიანებს. მის ამგვარ მოქმედებაში, მის ამგვარ თავ-განწირვაში ის, ე. ი. ჭეშმარიტი კაცი პოულობს ბედნიერებას; ის კმაყოფილდება სულიერად და ზნეობრივად; ის იბრძვის უფრო სხვისთვის და ამ ბრძოლაში ის ხედავს თავის **კაცობასს**... რა დაგვრჩენია ჩვენ?

საჭიროა, ძვირფასნო ძმანო, შევიგნოთ, რომ მარტო ჩვენი პირუტყვული „მე"-სთვის ბრძოლა არის პირუტყვებთან დაახლოვება და დაკარგვა ჩვენის მაღალი კაცობისა; საჭიროა, საჭიროა შეგნება ჩვენის **კაცობისა** და შემდეგ საქმით კეთება

მისი, თუ რას ითხოვს ჩვენგან **კაცობა**, ე. ი. შეგნებულად, უკან-დაუხეველად ბრძოლა იმათთან, რომელნიც წინ ელობებიან კაცთა ბედნიერებას...

— ვინ არის კარგი კაცი? კარგი კაცი ის არის, ვინც სულდგმულობს წრფელის, მაღალის სიყვარულით; რომლის გულშიაც არ ბუდობს სიძულვილი, სიხარბე, გაუმაძღრობა, ორპირობა და ათასგვარი კაცობის დამამახინჯებელი სიავნე. კარგი კაცი ის არის, ვინც ძმა არის ყველასი, ვინც ძმებად სთვლის ყველა მისს მზგავსს არსებებს. კარგი კაცი ის არის, ვინც ბედნიერია სხვისი ბედნიერებით, უბედურია სხვისი უბედურებით; კარგი კაცი ის არის, ვინც იტანს მოყვასთ გულისათვის სიცივეს, სიმშილს, წყურვილს, უძილობას, ტკივილს... კარგი კაცი ის არის, ვინც სწირავს თავის თავს სხვების სასიკეთოდ... კარგი კაცი ის არის, რომელსაც ებრალება თვისი მტერნი; რომელიც არ ემტერება არავის. ამგვარი კაცი კარგიც არის და მასთან ბედნიერიც... ვეცადოთ, ძმანო, გავხდეთ **კარგი კაცები**...

—

იმისთვის, რომ ამ ჩვენს ჯოჯოხეთურ ცხოვრებას მოვუღოთ ბოლო და დავიწყოთ მხიარული ცხოვრება, საჭიროა გავარკვიოთ ჩვენი შეცდომები; დავინახოთ ჩვენი თავი, ჩვენი მდგომარეობა და ის გზა, რომელ გზაზედაც სიარული ჩვენ გვაუბედურებს.

—

საოცარია კაცთა ორპირობა! ერთს წუთში ცამდე აჰყავთ ქრისტე, სოკრატი და იმგვარები, მეორე წუთში კი გატაცებით აქებენ ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს.

საოცარია! ან ერთი უნდა ვიყვნეთ, ანუ მეორე.

—

„მიყვარს“ ორნაირია: ერთი „მიყვარს“ ნიშნავს: მინდა ის, ვინც მე მიყვარს, კარგად იყოს, მინდა ის ჯანმთელი, მხიარული, ერთი სიტყვით, ბედნიერი იყოს. ამგვარი სიყვარულისთვის მე ხშირად ვიკლებ ბევრს რამეს და ვაძლევ მას, ვინც მიყვარს,—ეს ჭეშმარიტად მაღალი სიყვარულია. მეორე

„მიყვარს“ არის სულ სხვა შინაარსისა: „მიყვარს“ იმიტომ, რომ ის, ვინც მე მიყვარს, მე სარგებლობას მაძლევს. პირველი „მიყვარსთან“ ჩემი თავი მისთვის მინდოდა, —მეორესთან კი ისი თავი ჩემთვის. პირველი „მიყვარსთან“—ისან იხაროს და თუ მე შევწუხდები—ეს არაფრად მიმაჩნია, მეორესთან—მე კარგად ვიყო და, თუ ის დაიტანჯება, ეს ჩემთვის სულ ერთია. პირველი „მიყვარს“ არის ის სიყვარული, რომელიც ასაზრდოებს მთელს სამყაროს, მთელს კაცობრიობას კეთილის საზრდოთი; ის არის ის სიყვარული, რომელიც კაცობრიობას აძლევს მშვიდობასა და ბედნიერებას. მეორე „მიყვარს„ არის ის ბოროტება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყოველ ნაბიჯზე; ის არის ის ბოროტება, რომელიც ასს აუბედურებს და ერთს აბედნიერებს იმ ასის უბედურებით.

—

სამნაირია პატივისცემა კაცისადმი: 1) ეშმაკური,—2) შიშით, —3) სიყვარულით.

—

რისთვის ვშვრებით მას, რომ მღვდელს ხელზე ვკოცნით და დიდ მოხელეს კი შორიდან ვუკრავთ თავს?!—სირცხვილია ჩვენთვის...

—

ის კი არ არის უფროსი, ვინც უფროსობს, არამედ ის, ვინც ღირსია უფროსობისა.

—

ჰკითხე შენს თავს: საზარალო ხარ ქვეყნისთვის თუ არა?!...

—

ბედნიერება არ არის ენის წვერში, ყურში, თვალში ცხვირში,—ბედნიერება გულშია.

—

ბოროტების ჩადენა ბოროტების სახელით იმდენად საძაგელი არ არის, რამდენად საძაგელია ბოროტების ჩადენა კეთილის სახელით.

—

ყოველი ხე გამოიცნობის თავისი ნაყოფით; სიტყვა არ

არის ჭეშმარიტი ნაყოფი,—სიტყვა არის ყვავილი; ნაყოფი კი—ყვავილი ნაყოფად ქცეული, ე. ი. სიტყვა საქმედ ქცეული.

—

კაცი უსათუოდ უნდა ეტრფოდეს რამეს,—უიმისოდ იგი მკვდარია.

—

ის კაცი მკვდარია კაცობრიობისათვის, ვინც თავის წინ უკეთესს კაცს არა ხედავს დ იმისკენ არ მიისწრაფიხ.

—

ის კაცი მკვდარია ცხოვრებისათვის, ვინც კმაყოფილია ცხოვრებით, კმაყოფილია თავისი თავით, რომელიც არ მიილტვის უკეთესობისადმი.

—

გული მეწვის, როცა ვხედავ ერთის მხრით მშიერ-მწყურვალებს, ძონძებში გახვეულებს და მეორე მხრით—ვეებერთელა დაუმუშავებელ მინდვრებს.

—

ძნელია მისი გამოანგარიშება, თუ რამდენად დიდი ზარალი მოაქვს უკადრისობას.

—

შენ მე მიყურო, მე შენ გიყურო,—ამით საქმე არ გაკეთდება

—

ბრძენი იმდენად თავმდაბალია, რომ იფიქრებ: ის სწავლობს სხვებისგან და არა ის ასწავლის სხვებსო.

—

შენ რომ სხვას ემდური, ერთი ჩაიხედე **შენში**; ჰკითხე **შენს** თავს—გაქვს რამე მიზეზი, რომ შენ სხვა დაგემდუროს.

—

სხვების უფროსად ყოფნა უფრო ადვილია, ვინემ თავის თავის უფროსად.

—

უბედურება სულმოკლე კაცის დამცემელია და სულგრძელის ამმაღლებელი.

—

ეთანხმება თუ არა მართებლობის ქცევა ქრისტიანობას?!.

—

შენ სახელმწიფო სამსახურში შედიხარ და აძლევ ფიცს —ემსახურო ხელმწიფეს და მისს კანონებს.—რა უყავი, ძმაო, შენ ის ფიცი, რომელიც მიეცი ქრისტეს და მისს კანონებს მონათვლის დრო?!

—

მე ვეძებ აზრს ამ ცხოვრებისას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ცხოვრებას აქვს აზრი, აქვს მნიშვნელობა; დარწმუნებული ვარ, მაგრამ არ ვიცი, თუ რაში მდგომარეობს ეს აზრი; მნიშვნელობა? ვეძებ იმ აზრს, იმედი მაქვს—გამოვიცნა, გავიგო აზრი სიცოცხლისა. შეიძლება ვერ მივაღწიო მიზნამდი და ამ ძებნას შევალიო ჩემი სიცოცხლე... მაგრამ... ეს არ არის სამწუხარო... (როგორ თუ არ არის სამწუხარო?!..) არ ვიცი სწორედ—თუ დამეკარგა იმედი, რომ მივსწვდები ჭეშმარიტებას—გამოვიცნობ სიცოცხლის გამოცანას,—მაშინ სიცოცხლე მე არ შემიძლია, მე მოვიკლავ თავს.

—

შეიტყე, თუ ვინა ხარ შენ?

გასამდიდრებლად საჭიროა კაცს ჰქონდეს შემდეგი თვისებანი: სიხარბე, შეუბრალებლობა, სიცრუე, უსინდისობა, გაუმაძღრობა....

—

ერთი მღვდელი და მისი მრევლის კაცი ედავებოდნენ ერთმანეთს. მღვდელი ეუბნებოდა იმ კაცს; შენ არაფერი გაგეგება-რაო. ის კაცი უპასუხებდა: „შეიძლება, მე არაფერი გამეგებოდეს, მაგრამ, ჩემთან ერთად, არც შენ გაგეგება-რაო“. მღვდელმა გაჯავრებით შეუყვირა—„როგორ თუ არაფერი

გამეგებაო?“ - იმ კაცმა დამშვიდებით მიუგო: „შენ რომ რამე იცოდე,—მეც მეცოდინება, როგორც შენს მოწაფესო“.

—

იყო ერთი სასწავლებელი,—ვალად ჰქონდა დადგენილი ყველა მცხოვრებლებს ევლოთ ამ სასწავლებელში დანიშნულ დღეებში, სწავლის მოსასმენად. ამ სკოლის დამაარსებული იყო ერთი შესანიშნავი მასწავლებელი, კაცთა ცხოვრების კანონებისა. გაიარა დრომ, გამოიცვალა მასწავლებელი. ამ მასწავლებლის გამოცვლით დაიწია სწავლამ ამ სკოლაში. თუმცა ცუდათ მიდიოდა სწავლის საქმე, მაგრამ მასწავლებლები მაინც არ აკლდებოდნენ სასწავლებელს—ყოველ დანიშნულ დროს ისინი უეჭველად მიდიოდნენ სკოლაში. რატომ დაიარებოდნენ მოსწავლეები სკოლაში, თუ მათ ვერაფერს ასწავლიდნენ, იკითხავს ვინმე. დაიარებოდნენ იმიტომ, რომ პირველს დროში კანონის ძალით იძულებულნი იყვნენ ევლოთ სკოლაშიო; ბოლოს და ბოლოს ეს სკოლაში სიარული ჩვეულებად გადაექცა ყველას—დაიარებოდნენ ყველანი, შემდეგ კი, რადგანაც სკოლაში არ იყო არავითარი სწავლა, მოწაფეებმა (სად იყო მოწაფეები—თუ მასწავლებელი არ ჰყავდათ!) თამაშობას მოჰკიდეს ხელი,—აბა რა უნდა ექნათ?! ამ თამაშობამ მრავალ ბოროტებასა და დამამცირებელ სიავეს მიაჩვია მოსწავლეები. გაერია ამათში ერთი კაცი, რომელმაც თქვა: „აქ ტყუილ-უბრალოდ დავდივართ,—სიავის მეტს კარგს ვერას ვსწავლობთ; სჯობია, ძმანო, დავრჩეთ შინ და მუშაობას მოვკიდოთ ხელიო!“—ეს სიტყვები ყველამ ვერ გაიგო და დაიწყეს ღრიალი: ვინ არის ეს ურწმუნოვო? ნეტავი რას სულელობო; ჩვენი ძველები ასე შვრებოდნენ და ჩვენც ეს უნდა ვქნათო. ეს ამბავი მართლმორწმუნეებმა მიუტანეს იმას. ვინც იყო პირველი მასწავლებელის მოადგილე,—ის იჯდა თბილს ოთახში და ნეტარების მორევში ცურავდა—და სრულიად არ ასრულებდა თვისი წინაპარის სურვილს, არ ასრულებდა თავის მოვალეობას; „დაწერილი იყო კანონი—ისიც გადამახინჯებულად—ქაღალდზე. ეს კანონი ითხოვდა, რომ მოსწავლეებს

ეველოთ სკოლაში, მაგრამ რისთვის ეველოთ,—ამის გარჩევაში მოსწავლეები არ შედიოდნენ და მასწავლებელი კი— იმას ცდილობდა გულით და სულით, დაეფარა საგანი, დანიშნულება ამ სკოლისა და თავისი თავისა.—დიაღ! ის იყო შეატყობინეს მასწავლებლის მოადგილეს ის ამბავი. მასწავლებლის მოადგილემ ჩინებით, ორდენებით და ფულებით დაასაჩუქრა მართლმორწმუნე და დააბარა, გადაეცა ყველასათვის: „უფრთხილდით იმ კაცს, ვინცა სთქვა: არ არის საჭირო ამ სკოლაში სიარულიო—ის კაცი ავი სულია კაცის სახითაო; ის მტერია ღმერთის და წამწყმედელია თქვენიო“. ხალხმა მართლაც ურწმუნოს სახელით მონათლა ეს კაცი; დაუწყო მას დევნა და კიცხვა. ერთხელ ამ კაცმა მიმართა ხალხს და უთხრა:

ძმანო! მე იმას კი არ ვამბობ, რომ სწავლა არ იყოს საჭირო სრულიად, არა!—სწავლა სიკეთეა, სწავლა აუცილებელი საჭიროა, მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ ვერაფერს გვასწავლიან.—უბრალოდ, სრულიად უბრალოდ ვკარგავთ დროს ამ სკოლაში სიარულით ჩვენ ვზარალობთ, დიდათ ვზარალობთო,— სჯობია ტყუილ-უბრალოდ დროის დაკარგვას კეთილი მუშაობა“—ურწმუნო ხარ! ურწმუნო—ჩვენი მტერი ხარ—მტერი!—იყო პასუხი ხალხის.

აი ამგვარი აზრები არის გაბნეული ალექსანდრე მესხიას ნაწერებში. როგორც მოვიხსენიე, რუსულიდან არ გადმოუთარგმნია არაფერი,—არც მისი მოთხრობების მოყვანა შეიძლებოდა აქ იმიტომ, რომ არც ერთი არ არის დამთავრებული.

ალექსანდრე მესხია მარტო ნაწერებით კი არ აიწონება: ის იყო ნამდვილი ბრძენი; მის მოქმედებაში, მის სიტყვებში ვერ შეამჩნევდით ვერაფერს იმისთანას, რაც არ იყო საჭირო; ის არ იტყოდა ერთს სიტყვასაც უადგილოდ, მასთან უმნიშვნელოს. მისი მოქმედებით ის წაგავდა ნამდვილს ქრისტიანს—იყო კაცთმოყვარე, გულ-ჩვილი და დიდათ კეთილი. მას

დევიზად ჰქონდა სიყვარული და კიდევაც კუბოს კარამდი ის საქმითაც უმტკიცებდა ყველას მას, რაც იყო თეორიულად.

სიკვდილის შემდეგ დააფასეს ყველა მისმა ნათესავებმა და ნაცნობებმა ალექსანდრე, მაგრამ დაუგვიანდათ. ეხლა ყველანი დიდათ ნაღვლობენ მას, რომ დროზე ვერ იცნეს, თუ რა კაცი იყო ის, ნაღვლობენ, რომ დროზე ვერ გაუწიეს მას დახმარება და არ დაიფარეს თანამედროვე ცხოვრების ავი ჰაერის გავლენისაგან. ალექსანდრეს დედმამა მეტად უნუგეშოდ არიან დარჩენილნი,—ისინი მეტს დროს მოთქმასა და ტირილში ატარებენ. დასამტკიცებლად იმისა, თუ როგორი იყო ალექსანდრე და როგორ ნაღვლობენ მისს დაკარგვას მისი ნათესავები, მოვიყვან აქ ალექსანდრეს ბიძის გამოთქმულ ლექსსა.

ჩემი ძვირფასი ალექსანდრეს სახსოვრად.

I.

ვჯდივარ, ვუმზერ მე იმ გზასა, რაც დღემდის მაქვს გარებული,
როგორც ვხედავ, ბევრი რამე მქონებია წაგებული...
ალექსანდრეს სურათს ვუმზერ მთლად სევდითა ავსებული,
სიკვდ ლამდის ის ვიტირო, მის ბიძა ვარ ვალდებული.

—

ქრისტე კაცთა აღარ იცნეს, სანამ მკვდრეთით აღარ ასდგა,
მერე ყველამ კი იტირეს და სთქვეს: „ჩვენი აღარ ვარგა“—
თაყვანი სცეს შემდეგ მის ჯვარს და მას, ვისგანც დაიბადა,
ვაჰ, ჩვენ ბედსა! მისი მოსვლით ქრისტემ კაცნი გამოგვცადა.

—

ალექსანდრე, ვერ გიცანით,—ამას ვგლოვობთ შენი ძმები,
შენი ფასი ვერ გავიგეთ,—ვართ უვიცნი, ყრუ და ბრმები;
სიბრძნით, ჭკუით სავსე კაცი აღარ მოგვწონს, გვინდა მგლები...
არ მაქვს ძალა, რომ გამოვსთქვა ყველა ჩემი გულს ნადები.

—

სურათს ვუმზერ, მაგონდები... მწარე ცეცხლით მევიწვები,
ლოყაზედა აგიწყვია შენი გრძელი ნაზ თითები;
თან სახეზე შეგეტყობა მოგწოლია შავ ფიქრები,
შენ მკვდარი ხარ—მე ცოცხალი,—ასე ნეტავ ვით ვიქმნები?

—

შენ გადარებ დიდსა ქრისტეს,—ეარ გიყვარდა მაცდურ ფული,
ღარიბების მომხრე იყავ—მათთვის ძგერდა შენი გული;
მათთვის იყავ განწირული და მხნე თავ-გამოდებული,—
იარაღად შენ გეკავა სიმართლე და სიყვარული.

—

შენი სიტყვა, შენი საქმე იყო კარგი, მეტად ბრძნული,
აწ ვაფასებ შენსა სიტყვებს ბიძა შენი დატანჯული;
შენ ეს გსურდა, რომ დაგვეწყო ჩვენ ცხოვრება ტკბილი, ძმური,
მაგრამ არა, ვერ მოალბე ჩვენი კერპი სული, გული....

—

ჩვენსა ცხოვრებას და საქმეს აძლევდი დაკვირვებასა,
ვაწყენინებდით ერთმანეთს—იწყებდი გარიგებასა;
მაცხოვრის მაღალ სიტყვებზე ადგენდი განჩინებასა,
გიყვარდა იგი, ვისაცა ამჩნევდი მოთმინებასა.

—

ოქრო და ვერცხლი შენ გძულდა, სიცილი დაგაყარესა,
ამყოლი კაცი ვერ ნახე, სიცოცხლე წაგიმწარესა;
ვერ დაგაფასეს კაცებმა—ვერავინ მოგეხმარესა,
შენ იყავ მზგავსი ქრისტესი, მოვლენილი ჩვენს მხარესა.

—

შენსა სურათსა ვუყურებ გულის ფანცქალით, მტირალი,
ესა მწვამს გულსა, ესა მკლავს, რომ დროზე ვეღარ გიცანი;
ვინ მანუგეშოს აწი მე, ვინ მითხრას მე სამძიმარი?
ძვირფასი ლალი დავკარგეთ, ამას ვტირი და ვინანი.

—

ეხლა გაფასებ ძვირფასო, დამადგა გასაჭირია,
გაჭირვების დროს ნუგეშად აქ შენისთანა ძვირია;

მიდგომილი ვარ შავს ზღვასა, ვაჰმე! —მენავე მჭირია,
დროზე ვერ მოგეც შენ ხელი, არ მაქვს სათქმელი პირია.

მოსიყვარულე, მომთმენი, ზეციდან მოვლინებული,
შენთან საუბარს ვიგონებ, მიკვდება ეხლა მე გული;
ღარიბებისთვის მებრძოლი იყავი, მათში ქებული,
თავისუფლების და ძმობის იყავ მონატრე, ერთგული.

მსურდა შენთან ახლო ყოფნა, საშვალება ეს ვიპოვე,
დამეხატა შენი სახე ჩემს გვერდითა, მოვიგონე;
თან კუბოში ფეხი ჩავდგი, ვერ გამოვსთქვი მეტი ღონე,
მეც მოვდივარ შენთან მეთქი, ამით თავი მოგაწონე.
აწ მშვიდობით, ალექსანდრე, რაც გულში მაქვს სად ითქმება!
მეც მოვდივარ მალე შენთან,—ეს სოფელი ვის შერჩება!
გულ-დაწყვეტილს, უნუგეშოს მალე ბოლო მომელება,
ყველა კარგნი ცაში მყევხართ, ამ მიწაზე ვინ დამრჩება.

მიხეილ მესხია.

აქ მოვიყვან ალექსანდრე მესხიას რამდენისამე ბარათის შინაარსს და მასთან გიორგი გვათუას ბარათების შინაარსს.

„საყვარელო ძმაო გიორგი!

„სკუკა მკლავს, სკუკა მაწუხებს, მიძნელებს დიხანიასა“, სწორედ ესა მჭირს. სულ ერთინად მოწყენამ შემიპყრო... მაგრამ მიტომ კი არა, რომ ფიზიოლოგიურად ავად ვიყო, ანუ მელანხოლია მჭირდეს. არა, მიზეზი იმალება სულ სხვა საგანში... საქმე იმაშია, რომ ობოლი ვარ,—მთელს ზუგდიდში არ ნახავ ერთსაც, რომელიც სერიოზულად უყურებდეს ცხოვრებას. ვარ ერთად ერთი ჩავარდნილი ცხოვრების ზღვაში. ზუგდიდში სამკითხველოს დაარსებას აპირებენ,—ეს არის მხოლოდ ღირს-შესანიშნავი და სასიამოვნო; სასიამოვნო ყველასთვის, ვისაც კი ესმის კაცობრიობის კენესა... ძმაო გიორგი! გთხოვ

იმყოფებოდე ყოველთვის მკვირცხლად, არ დაუთმო არაფერი იმ წრეს, რომელშიაც იმყოფები. „Человѣкъ легко кристализуется и принимаетъ форму той среды, въ которой онъ находится“. წრე კალაპოტია კაცისა, — ეცადე იმ კალაპოტში არ მოთავსდე; შეგნებული და მტკიცე ხასიათის კაცი ყოველთვის უნდა ეუბნებოდეს თავის თავს: „არა მძინავსო!“ Бодрствуй!..

შენი ძმა ალექსანდრე.

ძვირფასო ძმაო ალექსანდრე!

გისურვებ ჯანმთელობას და კეთილ წარმატებას! გისურვებ არ დაგეკარგოს ის მაგარი კაცობრიული ენერგია, რომელიც დიდად ესაჭიროება ყოველ ხელ-მოკლე, თქვენისთანა საქმის მიმდევარ და მოაზრე ადამიანს. დიდად ვწუხვარ იმაზე, რომ არა ხარ ახლო, რომ არ შეგვიძლია ერთად ვუყუროთ ჩვენ ამ ცრუ სოფლის ტრიალს. სიღარიბეს დაუდგეს ორივე თვალი, რომ ასე აშორებს მეგობრებს ერთმანეთს, რომ ხელს უკრავს ყოველს კეთილს მისწრაფებას..... შენ შორიდან გამოგიცვნია ის, თუ რა მდგომარეობაში ვარ. იცოდეთ ამისთანა ადამიანებთან ვარ, რომ ცხოვრება მიძნელდება, მაგრამ რა ვქნა? უნდა მოვითმინო. ბიჭიკოს *) ამბავი არაფერი ვიცი და გთხოვ მომწერო; გთხოვ აგრეთვე შენი ძვირფასი ბარათის ღირსი გამხადო...

ნოემბერი 1898 წ. შენი მეგობარი გ. გვათუა.

სიმედო მეგობარო და სუყვარელო ძმაო გიორგი!

ბოდიშს ვიხდი შენთან, რომ ამდენი ხანი ბარათი არ მოგწერე. ამას შენ იმას ნუ დაამბრალებ, რომ ვითომც არ მახსოვდე. არა, შენ მახსოვხარ და მეხსომები. მე ის მიკვირს,

*) ბიჭიკოს მე მეძახოდა გიორგი.

თუ როგორ გავსძელით ერთმანეთის უნახავათ.—მერწმუნე, გიორგი „Нѣтъ счастья безъ товарища". გთხოვ, ძმაო გიორგი, გავამაგროთ ის ბაწარი, რომელიც ჩვენ შორიდან გვაერთებს და მალ-მალ ვაცნობოთ ერთმანეთს, რომ ორივეს გვიკავია მაგრად იმ ბაწრის თითო თავი ხელში. მე რომ მიმაძინოს რამემ, დარეკე და გამომაღვიძე. მსურს, ძმაო გიორგი, გექმნეს სულიერი სიმაგრე, მსურს არ გაჰქრეს ის ციური ნაპერწკალი, რომელიც მთელს სხეულში გაქვს გაბნეული, რომელსაც მიჰყევხარ შენ კეთილ საქმისკენ, რომელიც გიჯიკავებს შენ იქით, საითაც სულ ცოტანი მიდიან... შენი ამორჩეული გზა არის დიდად ძნელი; თვით ის გზა მოფენილია ეკლით და ნაპირები იმ გზისა კი დარაზმულია შემაცდუნებელ ლამაზ ყვავილებით, რომელნიც თითქოს ეუბნებიანო მგზავრს: „მოდით ერთი და სინჯეთ ეს ჩვენი ნაყოფი... არ ხედავთ განა, თუ რა ლამაზნი ვართ და რა სასიამო სუნი გვდის!.. ჩვენ მზადა ვართ ღირსეულად დაუხვდეთ და პატივი ვსცეთ ღირსეულ და პატივსაცემ სტუმრების მობრძანებას,— „მობრძანდით, ჩვენთან დარჩენა თქვენთვის უკეთესია".— მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ არ შეგაცდენენ ის გარედან ბრწყინავი ყვავილები... დარწმუნებული ვარ, რომ ჩაუკვირდები მათ შინაარს და ნახავ მათს სიმყრალეს, სრულიადაც არ ათხოვებ ყურს მათს მომხიბლველს საუბარს და განაგრძობ შენს გზას, ჯერ ნამდვილად ძნელსა და სახიფათოს, მაგრამ ბოლოს კი ნეტარების მშობელს. ციურ იმედით და რწმენით მდიდარ კაცისთვის ცხოვრების სიმწარე—მშობელია სულიერი სიტკბოებისა. თუ ჩვენი სიცოცხლის საყვარელი საგანნი ,,სიმართლე, სიყვარული და თავისუფლება'' მოითხოვენ ჩვენს სიკვდილს, გირჩევ, ძმაო, აღტაცებით მივეგებოთ იმ სიკვდილს. ვიტყვით სოკრატთან ერთად: ,,ბრძოლის ველზე სიკვდილი გამარჯვების ნიშანია''. ეხლა... ვიცი,—იკითხავ ჩემს ამბავს. მე კარგადა ვარ, თუმცა არ გამიკეთებია ჯერ არაფერი... ბედი არ მიცინის და კიდევაც მემუქრება. მემუქრება და კიდევაც ასრულებს თავის მუქარას, მაგრამ ამით არა-

ფერი დაჰკლებია ჩემს სულს—პირიქით, უკეთესად ვარ... საქმე არ გამიკეთებია ჯერ,—ვერაფერი ნაყოფი გამომიღია, მაგრამ იმედი მაქვს, დავიწყო რიგიანად საქმის კეთება. ჩემს ამბავს უფრო დაწვრილებით მოგიყვებოდით, მაგრამ ეხლა ეს იყოს, სხვა მერმისთვის გადავსდოთ. ჩვენს ,,პატარას'' *) ვხედავდი... კარგად არის ჯანზე, აპირობს წასვლას იქით, ჯერ არ წასულა: შენი ამბავი შემატყობინე.

შენი უცვლელი ამხანაგი ალექსანდრე მესხია.

Вперед, Георгій!..

1898 წ.

ძვირფასო ძმაო და საყვარელო ამხანაგო ალექსანდრე!

გისურვებ ჯანმთელობას და კეთილს წარმატებას. შენგნით წერილი არ მიმიღია გვარიანი ხანია და არ ვიცი, არ მიგზავნი ბარათს, თუ არ მომდის?—როგორა ხარ ძმაო? მე თუ მიკითხავთ, იცოდე, რომ სკოლის გათავების შემდეგ, როგორც შენ კარგად იცი, ერთი თავისუფლად არ ამომისუნთქავს.—როგორც ხედავ, სულ მონურ ცხოვრებაში ვარ, მაგრამ, როგორც ყველა, ვსულდგმულობ მომავალით. ვერ წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას... მე ისეთ წრეში ვარ, რომ შედარებით ჩემ აზრებთან,—ის წრე მეტად აუტანელია, მაგრამ რა ვქნა? ვიტან ძალაუნებურად, უბედური ბედის მორჩილი, დრომდინ უსიტყვო, წყლით პირი სავსე, ბუნების შვილი და ყოვლისფრით უნუგეშო. ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ამ გვარ წრეში ჩავვარდებოდი? ერთიდ ერთი ჩემი მანუგეშებელი ეს არის, რომ მაქვს კარგი ჯანმთელობა. იმედი მაქვს ჯანმთელობა მომეხმარება და გადამატანინებს ყოველ გვარ გასაჭირს, რაც მომელის წინ...

*) „პატარა“ ე. ი. მე.—მე ვაპირობდი 1898 წელს საზღვარგარეულ გაქცევას, მთავრობას ვემალებოდი. ამიტომ გვათუა მეძახოდა „ბიპიკოს“, მესხია „პატარას“;—თვით ჩემი სახელი პავლე ნიშნავს „პატარა“-ს.

ეხლა, ძმაო, თუმცა მე აქა ვარ, მაგრამ სული კი იქ არის, სადაც ხარები ელის ბედნიერებას—აზრის განხორციელებით...

გთხოვ, ძმაო დაწვრილებით მომწერო: სადა ხარ? ვისთან გაქვს საქმე? გყავს ვინმე თანამოზიარე შენი აზრებისა, თუ მარტო ხარ ჩემსავით, მარტო იბრძვი, მარტო მოქმედობ? ეჰ, ძმაო! როდესაც იტყვი შენ, მზათა ვარ, მეც გაგყობი, გაგყობი ბრძოლიან ველზე, საწერი ბევრი მაქვს, მაგრამ კალამი მეურჩება. აწი შენ იცი, ძმაო! შენ ხარ ერთი, რომელთან ცხოვრება მიხარის.—აბა, ძმაო, ვეცადოთ ვისწრაფოთ წინ...

შენი კეთილის მსურველი გ. გვათუ.

1899 წ.

საყვარელო მეგობარო და ამხანაგო ალექსანდრე!

რას მივაწერო, არ ვიცი სწორედ, რომ ამდენი ხანი თქვენგნით არა მესმის რა... ნუ თუ დავიჯერო, რომ ის მცირე, მაგრამ ძლიერად მნათობელი შენი ლამპარი, რომლისგანაც თანდათან გადიდებას და უნაკლულ-ყოფობას მოველოდი, გაჰქრა?! ნუ თუ დავიჯერო, რომ კაცის გული ასე უცბად გამოიცვლება? ნუ თუ წარმოსადგენია, რომ კაცმა ასე დახელოვნებულად აიფაროს სახეზე მასკა, რომ სხვამ ვერ შესძლოს მის სახიდან მის გულის მისწრაფების აღმოკითხვა?.. არა მგონია, რომ შენი ახალგაზდობა ამას შეიფერებს... მაშ რა ამბავია? ავად ხომ არა ხარ? თუ ცოცხალი ხარ, ძმაო, გრცხვენოდეს... მომწერე დაუყონებლივ ბარათი, რას დადუმებულ-ხარ? გაიღვიძე, გაახილე თვალები, ადექი და ნახე—რა ხდება ქვეყანაზე... რას ამბობ?! რა დროის მიძინებაა?.. თვალი, თვალი გაიღე და იცან ქვეყანა... სცან შენი ვალი... ვალი კაცობრიული... ცოცხალი მკვდარი—ნამდვილ მკვდარზე უარესია, ის საზიზღარია და გასაკიცხი... ცივი წყალი შემოისხი პირზე, გამოიღვიძე... შორს მელანხოლია... ჩამოდი აქ ჩვენთან, თუ იქ ვერ იტან მდგომარეობას... შეეცადოთ ერთად სიარულს...

აბრუნებდე ქვეყნის ჩარხსა,
ვით წისქვილსა ჩქარი წყალი,
ემსახურე დაჩაგრულებს,
ასახელე კაცის კვარი.

გული გქონდეს გრძნობიერი
და ხელ-ფეხი მის დამხმარი,—
უსარგებლო კაცი ქვას ჰგავს—
უგრძნო არის და გამხმარი.

მომიკითხე ჩვენი სკოლის ნაამხანაგეები,—თუ ნახო ვინმე. რას შობიან ისინი? რა ამბავია, რომ მათი ნიშან-წყალი არა სჩანს?.. პასუხი მალე. „ბიჭიკო“ ციხეშია...

მენი კეთილის მსურველი გ. კვათუ.

ძმაო გიორგი!

შენი ბარათი მივიღე, მოვისმინე ყოველისფერი—რაც ეწერა, დიდათ მადლობელი ვარ. შენმა სიტყვებმა განმიმტკიცეს რწმენა და იმედი. ბარათის მიუწერლობის მიზეზებს ვერ გეტყვი დაწვრილებით; მართალი უნდა გითხრა, თუმცა არ მეძინა, მაგრამ არც ვიყავი მაინც და მაინც ფხიზლად... მე ვერაფერს ვაკეთებ, ვმუშაობ კი საოჯახო სამუშაოს,—ხანდისხან ვკითხულობ, მაგრამ ვერაფერი დამიწერია—ერთფეროობამ მიმაძინა. მინდა გავერიო ცოცხლებში—მივიღო მონაწილეობა კაცობრიობის ცხოვრებაში, მინდა, მაგრამ საგძალი არა მაქვს... ოხ, ძმაო! იცი რა დამემართა? „То печальное зрѣлище, которое доводило меня до слезъ, въ послѣднее время не производитъ на меня такое впечатленіе. Сердце мое не такъ возбуждается, какъ прежде. Я равнодушно прохожу мимо всѣвозможныхъ безобразій и не сержусь такъ сильно на виновниковъ несчастья нашихъ ближнихъ, на виновниковъ всѣхъ золъ... შენ გოცდები ამის გაგონებით, მაგრამ ნუ გეშინია, მე ეს მოფიქრებულად დავიწყე. მე გადავწყვიტე დროებით ავარიდო ყოველისფერს თვალი; ეს იმიტომ, რომ ჩვენ მომზადება გვჭირია, ჩვენ გავლესოთ ხმალი ცოდნისა; სინათლე, სინათლეა საჭირო; გავუდგეთ გზას... (მერე

მოყვანილია ის, თუ როგორ უნდა წასულიყვნენ გიორგი და ალექსანდრე საზღვარგარეთ, შვეიცარიაში).

....ნახვამდის. მომწერე ბარათი. მე მზადა ვარ.

1899 წ. **შენი ძმა ალექსანდრე.**

ეს ის უმთავრესი წერილებია, რომლებიც ვიპოვე ალექსანდრე მესხიას ნაწერებში. ეს წერილები დაწერილია ალექსანდრე და გიორგის საზღვარგარეთ წასვლამდი.—ერთს ამას გაიკვირვებს მკითხველი, რომ აქ არ არის მოყვანილი ჩემდამი მონაწერი მათი წერილი. რა უნდა მომეყვანა, როცა არა მაქვს; მე 1897 წლის ნოემბრიდან დაწყებული 1901 წლის დეკემბრამდის სულ ციხეებში ვიყავი. და ან იმისთანა ადგილებში, სადაც ძვირად შეიძლებოდა წერილის მიღება. დიაღ! მე მწერდნენ ხან და ხან ჩემი მეგობრები წერილს, მაგრამ მოჰკლეს; ეს იმიტომ, რომ ჩემი წერილები ჩემთან მოსვლამდი სხვას უნდა წაეკითხა, ამიტომ ვუფრთხილდებოდით რამე შინაარსიანი წერილის წერას. მის გარდა მე დამეკარგა ყველა მათი მონაწერი წერილები.

აქ ზემო მოყვანილი წერილებიდან შეუძლიათ პატივცემულ მკითხველებს გაიგონ ალექსანდრე მესხიას და გიორგი გვათუას მისწრაფებანი, შეუძლიათ გაიგონ მათი გაჭირვებული მდგომარეობა და შედეგი იმათი გაჭირვებული მდგომარეობისა.

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

ვარ პატარა, გლეხის შვილი,
ღარიბი და უსწავლელი;
ქვეყანაზე ობლად რჩენილს
შეკრული მაქვს გზა სავლელი.

გულით მინდა—სუსტი, მცირე
საბრძოლველად მოვემზადო

და დატანჯულთ ამა ქვეყნად
მე წამალი მოვუმზადო.

—

მინდა, მინდა, მაგრამ რა ვქნა
უმეგობროდ დარჩენილმა?
გულ-მოკლულმა და ცოდნითა
ცა-მიწას შვა გარჩენილმა?!

—

მე ცამ მომცა მხოლოდ გული,
მოძრავი და მაშფოთვარი,
ნათლის მოყვარული სული,
სუსტი, გაუხსნელი თვალი;

—

უსაჭედ და უნიჩაბოდ
დამაჯდინა სუსტსა ნავზე
და გამიშვა ამ ცხოვრების
მოუსვენრად მღელავ ზღვაზე.

—

პირველს ხანში ცხოვრების ზღვა
მომხიბლველად ნარნარებდა,
მპირდებოდა ბევრსა კარგსა,
მიღიმოდა, მახარებდა.

—

ვენდე მისსა გარეგნობას,
მიმზიდველსა სიწყნარესა;
არ ვფიქრობდი— ვიგემებდი
ამ კარგს ზღვაზე სიმწარესა.

—

ნაპირს გავსცდი, შევაცურე
შავსა ზღვაში ჩემი ნავი;
რწმენით სავსეს მე მიმაჩნდა
ბედნიერად მაშინ თავი.

—

მაგრამ... ვაჰმე! მე მოვსტყუვდი—
მონარნარე ზღვა აღელდა
და საცოდავს, მარტო ხელსა
მზე ბრწყინვალე დამიბნელდა.

—

მე ვფიქრობდი—მნიშვნელობა
გვქონდა ცხოვრებაში ჩვენა,
მაგრამ, არა, სხვა ვყოფილვართ...
ბედშავს დამეკარგა რწმენა.

—

ზღვა აღელდა, აქეთ-იქით
ისვრის, არყევს სუსტსა ნავსა;
შებრალება ვსთხოვე, მაგრამ
აღარ უსმენს ჩემსა ხმასა.

—

ჩემი ნავი მისთვის იყო
მხოლოდ მსუბუქი ფოთოლი;
მე კი მსჯიდა, თავზარს მცემდა
მის ღმუილი, მის ჩოჩქოლი.

—

დამეკარგა მთლად იმედი,
მოვემზადე მოსასვენრად
და აქ უცბად ზღვაზე გაჩნდა
მცირე ნავი ჩემ დამხსნელად.

—

დამიძახა: „ნუ შეკრთები,
მოიკრიფე შენ ძალიო;
მე მოვდივარ—მეგობარი,
უნდა მოგცე შენ მხარიო.

—

„მეც მიხარის,—შავსა ზღვაზე
თანამგზავრსა რომ შეგხვდიო;

შენებრ მეცა, მარტოდ მარტო,
ამ ზღვაშია შევცურდიო.

—

„ხედავ! ოქროს საუკუნის
ახლო მოსჩანს ნათელიო;
ის არს მხსნელი და მესსია,
ტანჯულთ ბედის სამთელიო.

—

„მან მაჩვენა თავის შუბლი —
მასში ვპოვებთ ნათელსაო;
მის ნათელი ჰკურნავს მხოლოდ
ტანჯულ კაცებს — ჩვენს ძმებსაო.

—

„თავში არის მხსნელი ქვეყნის
და მესსია ჭეშმარიტი,
იქ არს ძალა უდიდესი
კაცის სულის მარგალიტი.

—

„ჭკუის ძალით ჩვენ დავიხსნით
დასაბამით ჩაგრულებსა,
ჭკუის ძალით ჩვენ აღვადგენთ
დაცემულებს, გლახ გულებსა...

—

„ესა სთქვა და ჩემს ნავს გვერდზე
ამოუდგა მისი ნავი;
მაშინ მკვდარი გამოვცოცხლდი,
მაშინ გაქრა რიდე შავი.

—

„სასოწარკვეთილად მცურავს
გამიმაგრდა კვლავ მე გული.
და მეგობრისა შეძენამ
ამიმაღლა დაბალს სული.

—

„გავეშურეთ მეგობრები
შორე აღმოსავლეთისკენ,
თუმც ზღვა მძლავრად ბობოქრობდა,
არ ველოდით ძლევას მისკენ...

—

„ის ჩემებრივ მარტო ხელი,
შავსა ზღვაზე მოგზაური,
იყო ჩემი ალექსანდრე —
ამ ცხოვრებით მოწამლული.

—

„განწირულებს წინ გვიძღოდა
წმინდა, წრფელი სიყვარული;
სინათლისკენ ვისწრაფოდით,
მტკიცედ გვქონდა სული, გული.

—

„მაგრამ ქვეყნის შავმა ბედმა
წაგვართვა ის ნეტარება
და მის ნაცვლად ჩვენ გვაჩუქა
ტანჯვა, კვნესა, მწუხარება.

—

„ქარიშხალმა, ცუდმა გზამ
მეგობრები გაგვაშორა,
დაგვაობლა, ისეც ობლებს
სიხარული მოგვაშორა...

—

„რას ვიზამდით? თითო თვითოდ
ვიწყეთ ცურვა შავსა ზღვაზე;
უბედობით ბედნიერებს
ჩვენ სურსათი გვაკლდა ნავზე.

—

„მალე გაცვდა ჩემი ნავი —
უნიჩაბოდ რას ვიზამდი?

გულ-მოკლულმა დროებითა
მიმდინარებას დავთახმდი.

—

„შავმა ზღვამა მე დამსძლია,
თუმც ვემზადებოდი გმირად;
მიმდინარებამ გამრიყა
უიარაღო ზღვისა პირად.

—

„მარტოდ მყოფი მეგობარი
ალექსანდრე დაიღალა;
ქვას წააწყდა მისი ნავი
და უფრსკულში ჩაიმალა.

—

„ის ვიტირო, მეგობრებო,
თუ ობოლი ჩემი თავი?
ან ვინ ვსწყევლო, კაცნო-ძმანო,
ღმერთი, თუ აქ მოძმე ავი!?.

—

„შთანთქა ზღვამა წრფელი გმირი,
სიყვარულით გამსჭვალული;
შთანთქა ზღვამა მხნე მებძოლი,
ზნით მაღალი კაცი სრული.

—

„ზღვამ წამართვა მე ნუგეში
ცხოვრებაში თანამგზავრი;
ვსცან კეთილი სუსტი არის,
მეფობს ბოროტება მძლავრი“.

—

„ალექსანდრე კი გადურჩა
წუთისოფლის მღელვარებას;
მხოლოდ ვსტირი მე ჩემს თავსა—
ჩემთან ქვეყნის მდგომარებას.

—

შეგნებულსა, სულით მდიდარს.
მას ესმოდა კაცთა ვალი:
სიყვარული და სისრულე
იყო მისი იდეალი.—

—

„მაგრამ იგი ვერ ეღირსა
ქვეყნად ძმობის დაბადებას;
უდროდ მოკვდა ბრძოლის ველზე,
შეეწირა მისწრაფებას.

საყვარელო მკითხველო! ვის უნდა დავაბრალოთ ჩვენ ალექსანდრე მესხიას და გიორგი გვათუას სიკვდილი? ნუ თუ უმაღლეს ძალას სურდა—გამოსალმებოდნენ წუთისოფელს უდროოდ ახალგაზდა, სიმართლისა და სიყვარულის თაყვანის მცემელნი ჭაბუკნი?!. არა, ძმანო! მათი მკვლელია ეს ჩვენგან შექმნილი პირობები ჩვენის ცხოვრებისა. ორივე ახალგაზდა, მესხიაც და გვათუაც, იყვნენ ჯანმთელნი, მაგრამ ორივე მოშალა აუტანელმა გაჭირვებამ; ორივე გატეხა აუტანელმა მწუხარებამ. ვის უნდა დავაბრალოთ მათი სიკვდილი? გეტყვით, ბატონებო, დაბეჯითებით, რომ მათი მკვლელნი ვ·რთ ჩვენ, მათი მკვლელია მთელი საზოგადოება, მთელი ერი... არა მარტო ალექსანდრე და გიორგი კვდებიან ამ გვარადა. არა, ბევრს, ძლიერ ბევრს უსპობს სიცოცხლეს ეს თანამედროვე, ურიგოდ დაწყობილი წყობილება ჩვენის ცხოვრებისა... აქ—ჩვენ შორის, არსებობისათვის ბრძოლის დროს ითელებიან ფეხ ქვეშ, სახიჩრდებიან სამუდამოდ და მთლად იღუპებიან ათასობით და ათი—ათასობით ჩვენი მზგავსნი არსებანი—კაცნი. სამწუხაროა თუ არა, ძვირფასო მკითხველო, ყველა ეს? უეკველად სამწუხაროა ის, რომ უდროოდ ესალმებიან წუთისოფელს ბევრნი იმ გვარნი არსებანი, (ე. ი. კაცნი), რომელთაც შეეძლოთ შეგნებულად ეგემნათ სიცოცხლის ფასი; მასთან სამწუხაროც არის და დიდათ საზარალოა

ის, რომ ჩვენ, ამ ჩვენი არა კაცური ქცევეთ, ვამდამბლებთ ჩვენს მაღალს კაცურს ღირსებას და ვიწუხებთ ჩვენს თავს. ვაწუხებთ, ეტანჯავთ, ვახჩობთ ჩვენ ჩვენს ძმებს,—ვწუხდებით, ვიტანჯებით და ვიხჩობით თვითონ ჩვენ,—ჩვენ ჩვენის ხელით ვადგენთ გეგმას იმ საპყრობილისას, რომელშიაც უნდა დავიტანჯოთ. ჩვენის ხელით ვიფუჭებთ ჩვენს საქმეს—ვკარგავთ ჩვენს მაღალს ღირსებას... ჩვენის ხელით ვიმახინჯებთ ჩვენს ღვთიურს სახეს. ჩვენვე ვიმშივებთ თავს, ჩვენის ხელით ვიმოკლებთ სიცოცხლეს,—ჩვენ ვაკანონებთ უკანონოს და არა კაცურს ძალმომრეობის კანონს, ჩვენ ვაკანონებთ საზიზღარს, შემაძრწუნებელს კანონს ომიანობისას; ჩვენგან შექმნილი კანონების ძალით იღვრება ქვეყნად აუწერელი ცრემლი და სისხლი. ვიცი, რომ ამ უკანასკნელი სიტყვების გამო დამიყვირებენ ბევრნი: „როგორ თუ ჩვენ ვაკანონებთ: უკანონო კანონს ძალმომრეობის, ომიანობის და ათასგვარ უბედურებისას?!. მეტყვიან, რომ მე ჯერაც ვერ შემიგნია ის, თუ ვინ არიან დამბადებელნი ყოველგვარ ბოროტებისანი. თუ ვინ არიან შემქნელნი უსამართლო კანონებისა... თუ ვინ არიან მიზეზნი ცრემლისა და სისხლისა!—დიაღ! ბატონებო, მე ვიცი თქვენ რა გნებავთ ამით თქვათ, მაგრამ ისიც ვიცი დაბეჯითებით, რომ ჩვენ, ჩვენ ვართ შემომქმედნი ყოველგვარი ჩვენის უბედურებისა. დაბეჯითებით ვიტყვი ზოგიერთთან ერთად:

„ჩვენ ვართ წყარო ისევ ჩვენის
„ტანჯვით ცრემლთა მდუღარების;
„სიღარიბის, მონობისა,
„სიავის და მწუხარების.
თავ-უცნობნი, ყმა-მონები
ვერ ვამეფებთ სიყვარულსა,
კაცობას და ჰარმონიას,
სილამაზეს, სიხარულსა.

დიაღ! ჩვენ ვართ შემქნელი ჩვენი მაუბედურებელი კაკანონებისა, თუ ჩვენ არა ვართ შემქმნელნი ჩვენის ცხოვრების კანონებისა, რათ ვაწერთ ხელს იმ კანონებს? რომელ კა-

ნონებსაც ზარალის მეტი სარგებლობა არ მოაქვს ჩვენთვის?.. ხელის მოწერა ეთანასწორება შექმნას... საზოგადოება უნდა იყოს შემქნელი საზოგადოების ცხოვრების კანონებისა. განა საზოგადოებას სჭირდება „აპეკუნი?“ და თუ ჩვენ, ე. ი. საზოგადოებას, მოგვაჩეჩებს ვინმე ურიგო კანონს, თუ ჩვენ გვესმის ის, რომ ის კანონი უვარგისია და მავნებელია საზოგადოების კეთილ წარმატებისათვის და გაბედნიერების მაგიერ მაუბედურებელი საზოგადოებისა,—მაშინ საზოგადოებამ განა არ უნდა უარჰყოს ის კანონი?!—ჩემის აზრით, საზოგადოებამ თვითონ უნდა შექმნას კანონი თავის ცხოვრების და, თუ ვინმე გაბედავს აპეკუნობის გაწევას, იმას ღირსეული პასუხი უნდა გასცეს... დასაბამიდან უმრავლესი ნაწილი საზოგადოებისა მოსთქვამს, ტირის და ჩივის თავის უბედურებაზე... ნეტავი ვის უჩივის ეს საცოდავი, ეს ბრმა-ყრუ უმრავლესობა? თუ უჩივის ის ღმერთს,—ამაში შემცდარია, იმიტომ, რომ ბუნებამ მისცა კაცს ყოველგვარი საშუალება გასაბედნიერებლად.

თუ უჩივის ძლიერთ ამ ქვეყნისას,—ამაშიაც შემცდარია. განა ყოველს არსებას, ყველა ადამიანს არა სურს, რომ ის კარგად იყოს?! უმრავლესობავ, შეუგნებელო, ბრმაო უმრავლესობავ?! შენ უჩიოდე შენს თავს, შენ უნდა უსაყვედურებდე შენს თავს!.. შენ ხარ დამნაშავე შენის უბედურებისა!.. ერთს გკითხამ, ჩაგრულო უმრავლესობავ: გინდა თუ არა ბედნიერი იყო?.. თუ მეტყვი: დიაღ!—იცი თუ არა რაშია ბედნიერება?.. იცი თუ არა, სად შეგიძლია, ანუ როგორ შეგიძლია მოიპოვო ბედნიერება?! თუ მეტყვი: დიაღ!—განა შენი თავი შენ არ გაბია კისერზე?! „ეძიე და იპოვი“.

მაგრამ... მაგრამ, ჩემო ძვირფასო უმრავლესობავ! შენ ჯერ არ იცი ის, თუ რა ხდება შენს გარშემო; არ გესმის თანამედროვე ცხოვრების თავისებური მღერა; არა ხარ შეგნებული!.. არა ხარ შეგნებული და შენის შეუგნებლობის წყალობით შენვე ხარ მჭედელი შენის ბორკილისა; შენა ხარ მჭედელი შენის უბედურებისა! გირჩევ, ეცადო დასძლიო სიბ-

ნელე; გამოჰყო თავი ნათელში; შეიგნო თავი და იმოქმედო შეგნებულად... „ეძიე და იპოვი“.

ამ ჩვენ შორის მხეცური და შეუგნებელი ბრძოლის დროს ილუპებიან შეუმჩნევლად იმისთანა ნიჭის პატრონნი, რომლების დაღუპვა დიდად საზარალოა მთელი საზოგადოებისა და კაცობრიობისათვის!—

აი, მე მოგახსენებთ მოკლედ ბევრ ნიჭიერ კაცთა უდროვოდ დაკარგვის მიზეზს: ჩვენ ყველა ცალკე პირები, მთელი საზოგადოება ვართ ჩამდგარნი მდინარე წყალში და მივდივართ იქით, საითკენც მიგვაქანებს ჩვენ წყალის მიმდინარეობა. მაგრამ ქვეყანაზე, ხანდისხან, ჩნდებოდნენ და ჩნდებიან ნიჭიერი კაცები. ეს კაცები, როგორც დაჯილდოებულნი ჯანმთელი და გამჭრიახი თვალებით, დაინახავენ ნათლად და გარკვეულად ამ ცხოვრების კარგსა და თავსა. დაინახავენ, რომ ამ მიმდინარეობის მიყოლა მავნებელია ყველასათვის... დაინახავენ, რომ ამ შეუგნებელს მიმდინარეობას მიჰყავს კაცობრიობა არა ჭეშმარიტი და გაბედნიერებული გზით, არამედ მტანჯავი, მაწვალებელი და ეკლით მოფენილი გზით. ნახავენ, რომ ეს გზა არ გაიყვანს კაცობრიობას სამშვიდობოში... განა არ ხედავთ, ბატონებო, თუ რა საშინელ სანახაობას წარმოადგენს ის გზა, რაც აქვს დღემდის გავლილი კაცობრიობას. ის გზა კეთილი რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა შეღებილი ცრემლშერეული სისხლით ტანჯული კაცობრიობისა.—დღეს რას ვშვრებით?—დღესაც ვდგევართ იმ გზაზე და ვაპირობთ მომავალშიც ამ გზით სიარულს, ამ გზის გაგრძელებას... დიაღ! იმას ვამბობდი, გამოჩნდებიან კაცები, აღჭურვილები მაღალის ნიჭით და სწორმხედველობით; ამ გვარი კაცები განიწირავენ თავს და შეხვდებიან წინ ჩვენს წყალ-წაღებულ ცხოვრებას... დაუძახებენ შეუგნებელ მოგზაურებს: „შეჩერდით... შეფიქრდით... გადაუხვიეთ ამ გზას... ხომ ხედავთ, იტანჯებით? აი გზა სიყვარულისა, სიმართლისა და ბედნიერებისა მიმავალი ჭეშმარიტებისაკენ. **შეფიქრდით**, გადაუხვიეთ ამ ძველს გზას... მაგრამ რას გაარიგებენ ერთი და ორი მთელი ცხოვ-

რების საპირდაპიროდ. ამ ძველ გზაზე იმისთანა ხმაურობაა, იმისთანა ალიაქოთი, რომ ეს წარმოუდგენელია კაცის ჭკუით. ყველა მიხვდება, თუ რისთვის ხმაურობენ ასე მაღლა ამ გზაზე. კაცს, ახალი გზის მაჩვენებელ კაცს, უეჭველად უნდა ჰქონდეს იმისთანა ხმა, რომ დაჰფაროს ხმაურობა მილლიარდის მიმდინარეობის მიმყოლის ადამიანებისა; ამისთანა ხმა კი არ გამოუჩნდა ჯერ ვერც ერთს წარმომადგენელს კაცის მაღალი ნიჭისა, ვერავინ გააგონა თავისი ხმა მთელს კაცობრიობას; ზოგიერთმა კი გააგონა რამოდენიმე ნაწილს კაცობრიობისას თავისი ხმა, მაგრამ ამით ვერ ეშველა საქმეს. კაცობრიობა ძველებურად განაგრძობს გზას; განაგრძობს ძველებურად ცრემლებისა და სისხლის ღვრას... შეხვდებიან მაღალი ნიჭის მქონებელი და მაგარ სულის მქონნი კაცნი წყალ-წაღებულ ცხოვრებას... ცხოვრება შეაშინებს ბევრს იმათგანს და დააყრევინებს დროზე იარაღს, მაგრამ ზოგნი არ შეუშინდებიან მისს მრისხანებას, მისს საშინელს ხმას... არ შეუშინდებიან და თამამად უცხადებენ ომს ამ ქვეყნის უკუღმართობას... შეეჯიდებიან უზარ-მაზარ, მძლავრ გოლიათს ჩვენის ცხოვრებისას.—და ამას კი ხშირად მოჰყვება სამწუხარო შედეგი—აზვირთებული ცხოვრება მოერევა და წააქცევს თამამს მოჯიდავეს... ის კიდევ არაფერი, თუ ვინმე ამ მიმდინარეობის მოწინამძღვეგეთაგანი მოასწრებს დროშის აწევას და დაძახებას!.. სამწუხარო ის არის, რომ ბევრნი, სანამ ასწევდნენ თავიანთს დროშას და ამოიღებდნენ ხმას, ხდებიან მსხვერპლი მიმდინარეობისა; ისინი წაწყდებიან ნაღმს და იღუპებიან უდროოდ, შეუმჩნევლად... ასე დაემართა ალექსანდრესა და გიორგის, ასე ემართება ბევრ მათნაირ ადამიანებს...

ამ ორ ახალგაზდა ჭაბუკის ამბავი მოვიყვანე მაგალითად.—იმათი თავ-გადასავალის მოკლე მოთხრობით მე მინდა ვსთქვა ის, რომ ეს ჩვენი არეული, ბურუს-შემორტყმული, შეუგნებელი და არა კაცური მოქმედება უდროოდ ჰღუპავს ბევრ სასარგებლო და სასახელო კაცს; ჰღუპავს იმისთანებს, რომელნიც განიძრახავენ მოაწყონ რიგზე ეს ჩვენი არეული

საქმეები; გაჰფანტონ ბურუსი, გააღვიძონ კაცობრიობა... შეაგნებინონ ყველა ცალკე პირებს, ყველა ცალკე ერებს და მთელს კაცობრიობას თავიანთი თავი და ამით მისცენ ყველა იმათ შეძლება—გამოვიდნენ გაბედნიერებულ გზაზე. შესანიშნავი ნიჭის პატრონნი ალექსანდრე მესხიას, გიორგი გვათუას და მასთან მრავალ მათ გვარი პირების უდროოდ სიკვდილის მიზეზია უვიცობა და შეუგნებლობა მთელი საზოგადოების, მთელის ერისა, მთელის კაცობრიობისა.

თუმცა ყოველ ქართველს, ვინც კი იცის წერა-კითხვა, ეცოდინება ის, თუ რას წარმოადგენს ეგნატე ნინოშვილი, ეცოდინება მისი თავ-გადასავალი და მოქმედებაც, მაგრამ მე მაინც მინდა ვსთქვა იმაზე ორიოდე სიტყვა... მე მინდა მხოლოდ ესთქვა, რომ ეგნატე ნინოშვილი იყო მსხვერპლი ქართველთა დაუდევრობისა და შეუგნებლობის.... ეგნატე ნინოშვილი იყო შვილი ხალხისა... როგორც გავიგე მისი ბიოგრაფიიდან, მას ჰქონია საშინელი სულიერი წყურვილი; ის მიისწრაფოდა სინათლისაკენ, მაგრამ აქ ეღობებოდა მას წინ ნივთიერი მხარე და აჩერებდა... ეგნატე, როგორც უშიშარი და მტკიცე ხასიათის კაცი, არ ჩერდებოდა და თავგანწირულად მიდიოდა წინ... არღვევდა ათას გვარ დაბრკოლებას... არღვევდა დაბრკოლებებს, მაგრამ მისი ნაზი არსება არ იტანდა მართლა აუტანელს გაჭირვებას... ის ნელ-ნელ ცვლებოდა, ზიანდებოდა... და ბოლოს კი მთლად მოიშალა, უმტყუნა მას სხეულმა და საქართველოს დაეკარგა ძვირფასი მარგალიტი... დიაღ! ეგნატე არ ტიროდა თურმე, არ ემუდარებოდა ყველას თავის თავზე, მაგრამ ამით ის კი არ მტკიცდება, რომ ის არ იტანჯებოდა სულიერად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის იტანჯებოდა დიდათ, უფრო მეტად, ვინემ ჩვენ მისი წარმოდგენა შეგვიძლია. ეს სულიერი ტანჯვა იყო მიზეზი მისი უდროოდ მოქანცვისა; მისი უდროოდ სიკვდილისა და არა მარტო მისი ფიზიკური სისუსტე. სულიერი ტანჯვა გატეხავს რკინის ჯანის მქონებელ კაცსაც.— რა სტანჯავდა მას სულიერად?—პირველად მას სტანჯავდა თავის მოძმეთა

არა სასურველი მდგომარეობა,—მეორედ ის, რომ მას არ შეეძლო შესაფერად ემსახურნა თავის მოწოდებისათვის... მას ატყვევებდა ცხოვრება... მას არ ჰქონდა თავისუფლება... მას სწამლავდა მოშხამული ატმოსფერა ჩვენი ცხოვრებისა; ის იტანჯებოდა სულიერად... სულიერმა მწუხარებამ იგი დასცა უდროოდ და მოაშორა ჭეშმარიტად მაღალი კაცი თავის მოძმეთ; მოაშორა წუთისოფელსა და ცხოვრებას.

ეგნატე ნინოშვილი ორკეც ძვირფასია და საყვარელი ჩემთვის! ის ყოფილა სულით, გულით და საქმითაც ჩემი ძვირფასი ალექსანდრეს მზგავსი; როგორც ალექსანდრესთვის, ისე იმისთვისაც სიცოცხლის დანიშნულება ყოფილა სწავლა, სინათლე და სამსახური სხვისი... ისიც ცოტა ხნით ყოფილა სოფლის მასწავლებლად... ისიც იკლებდა თურმე სასმელ-საჭმელს, ტანისამოსს და იძენდა წიგნებს... ეგნატეც იმდენად გაუტაცნია სწავლის წყურვილს, რომ ალექსანდრესავით თითქმის ცალიერი ჯიბით წასულა შვეიცარიაში, მაგრამ სიღარიბის გამო ისიც დაბრუნებულა მალე სამშობლოში. შვეიცარიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე მესხია არ შეიდა სამსახურში იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ნინოშვილს არ უნდოდა სამსახურში შესვლა... ნინოშვილის მოწყენილი სახე მოჰგავს მოწყენილ სახეს ჩემის მეგობრისას...

ეგნატე ნინოშვილი იყო ჭეშმარიტი, წრფელი და უტყუარი, ძმურის სიყვარულით გამსჭვალული კაცი... ეგნატეს უყვარდა ხალხი, ის ხალხი, რომელსაც დღემდის ეძახიან „უბრალოს“. უყვარდა მუშა გლეხ-კაცობა,—ეს მასაზრდოვებელი დედა კაცობრიობისა... ერთი გულით იყო მოწადინებული ემსახურნა იმ მრავალ საუკუნეებით დატანჯული უმრავლესობისთვის... იმ შებოკილი, ტალახში ჩაფლული, სინათლეს მოკლებული უმრავლესობისათვის... იფიქრა გამოღვიძება მათი... ის თავისი ძვირფასი ხელით ხატავდა მდგომარეობას, სარკეს მათი ცხოვრებისას, რომ იმ სარკეში ენახა თავისი თავი ხელ-მოკლე და ბრმა საწყალ ხალხსა, გაღვიძნა და გამოსულიყო ბნელეთიდან. ეგნატე ნინოშვილი უმხილებდა ძლიერთ

ამა ქვეყნისა მათ-მათს დამნაშაობას ხალხის მიმართ; ულვიძებდა მათ ადამიანურ გრძნობას და ცდილობდა ამ ორ ერთმანეთიდან დაშორებული ძმების დაახლოვებას და დაძმობილებას. ეგნატემ ბევრი გააკეთა; შეეძლო კიდევ ბევრის გაკეთება, რომ ჩვენდა საზარალოდ და სამწუხაროდ არ გამოსალმებოდა წუთისოფელს უდროოთ.

დასაბამიდან წინდაუხედველი, შეუგნებელი, უანგარიშო და არა კაცურად მგრძნობიერი კაცობრიცბა მას ცდილობს, რომ ჯვარს აცვას თვისი ნიჭიერნი შვილნიც; როგორც ეგნატე ნინოშვილი, ისე ალექსანდრე მესხია, გიორგი გვათუა—მრავლად მრავალ სხვათა შორის, არიან ჯვარცმულნი მოციქულნი სიყვარულისა, სიმართლისა, თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობისა...

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲔᲒᲜᲐᲢᲔ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲡ.

—

შეხედეთ სურათს, რას გვეუბნება
მისი გამხდარი მგლოვარე სახე?
ის მოწყენილი გაიყურება,
იცის, რომ გვაკრავს მაცდურთა მახე.

—

სწყინს, რომ არა ვართ ჯერ შეგნებულნი,
არ გვაქვს ჩაგრულებს ძმური ერთობა
და ბოროტება გამეფებული
ისე ადვილად არ დაემხობა.

—

ის არის მისი გლოვის მიზეზი,
მხოლოდ მიტო არს ის მოწყენილი,
რომ თავ-უცნობი უმრავლესობა
დიდხანს იქნება ტანჯულ-დევნილი.

—

მაგრამ, თუ კაცთა ვნახეთ აქ შვება,
მას ის საფლავში გაუხარდება,
და გახარებულს სხვისი ბედითა,
მგლოვარე სახე გაუნათლდება.

—

ვფიქრობ,—იმისი მაღალი სული
მაშინ იგემებს შვებას, სიხარულს,
როს გავამეფებთ ამ ლამაზ ქვეყნად
ძმობას, სიმართლეს, ღვთიურს სიყვარულს.

—

და დროა, ძმანო, რომ აწ გადაწყდეს
უმრავლესობის საკითხი—ბედი.
და ყველა კაცთა რიგით მიენდოს
კანონიერი მათ-მათი ხვედრი...

II.

ძმაო ეგნატე! შენ ხარ ყვავილი,
სრული ნაყოფი „დაბალ“ ხალხისა;
შენ ხარ საზომი მისი ნიჭისა,
მისი დიადის სულის ძალისა.

—

შენ ხარ ხალხისა მაღალი სული,
მისი გრძნობისა გამომხატველი;
შენ ხარ იმისი კვნესა, ჩივილი;
წყარო მის გულით ამონადენი...

—

ნუ მოგწყენია! არა ხარ მკვდარი,
შენი ღრმა კვალი არ წაიშლება...
გახარებ: ველით ჩვენ გაზაფხულსა,
სიკეთის თესლი აწ გაიშლება.

—

აღსდგება მკვდრეთით წმინდა სიმართლე,
თავისუფლების მაღლდება დროშა;

გაჰფანტავს ბნელსა ბრწყინავ სინათლე
და ის ფერს უცვლის ამ გარყვნილს დროსა.

—

განახლდებიან კაცები—ძმები
და მოსძებნიან კაცურს ღირსებას;
განათლდებიან თვით მათი მტრები,
ვერ აიტანენ სინდისს მხილებას.

—

ჩვენ თავს შევიგნებთ, შენსაც გავიგებთ,
კაცნი კაცებად გადავიქცევით
და ჭეშმარიტსა გზაზე დამდგარნი
ჩვენ შემდეგშია არ წავიქცევით.

—

იხარე, ძმაო! ნუ მოგწყენია,
შენ ცოცხალი ხარ,—არა ხარ მკვდარი;
შენი სიტყვები გულს გვაწერია,
მოუშლელია შენი ღრმა კვალი.

რაშია საუკუნო დიდება ხალხისა?

ხალხის დიდების, ხალხის ღირსების, ხალხის სულიერი სიმაღლის საზომია ის, თუ რამდენი და რა ხარისხის ნიჭიერი შვილები დაჰბადა და გამოზარდა მან... რამდენი შესძინა მან კაცობრიობას იმისთანა კაცები, რომლებმაც თავისი ნიჭით და შრომით დასტოვეს უკვდავი კვალი საქვეყნოდ: მეცნიერებასა, ხელოვნებასა და სხვა საზოგადო საქმეში.

ხალხის ზნეობრივი სიმაღლისა, მისი კულტურული და სულიერის სიდიადის საზომი მისი გამოჩენილი შვილებია.—მაღალ ნიჭიერი კაცები იშვიათად ჩნდებიან ცხოვრებაში, მაგრამ მათი იშვიათობის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ მართლადაც ისინი იშვიათად იბადებოდნენ ქვეყანაზე, რამდენად ისინი იშვიათნი არიან თვით ცხოვრებაში.—არა, სრუ-

ლიადაც არა. ნიჭიერნი პირნი ხშირად იბადებიან, მაგრამ მეტი წილი იმ დაბადებულებისა გაუშლელად და ცხოვრებაში გამოუსვლელად იღუპებიან ხოლმე. ხშირად ასე არის, რომ ჭენიოსები, ნიჭით, სულით მაღალი პირები სუსტნი არიან ფიზიკურად... როგორც ზოგიერთი თბილი ქვეყნების ნაზი მცენარეები ვერ იტანენ შორეულ ჩდილოეთის მკაცრსა და ცივს ჰავის გავლენას და იღუპებიან, თუ მათ არ გაუკეთეს თბილი და მოხერხებული ბინა; ასევე მეტი წილი კაცთა ნიჭიერ ვილებისა იღუპებიან ცხოვრებაში გამოუსვლელად, თუ მათ რიგიანი და შესაფერი ნიადაგი ვერ მოიპოვეს.

პირველი საგანი ყოველი შეგნებული ხალხისა, —მაგრამ რადგანაც მთელი ხალხი არ არის შეგნებული, ყველა ხალხის მოწინავე პირებისა,—არის და უნდა იყოს ძებნა ხალხის შვილთა შორის იმისთანებისა, რომელნიც მომავლისათვის იმედს იძლევიან. ისინი ერთის ხელით იმას უნდა ზრუნავდნენ, რომ დაიფარონ ნიჭიერნი შვილნი ამ ცხოვრების ავი ჰაერის გავლენისაგან; ვალდებულნი არიან გაამაგრონ ისინი, იხმარონ ყოველგვარი ღონისძიება მათს დასაცველად.

ხშირად ნიჭიერნი კაცნი გამოდიან ღარიბებიდან, მაგრამ კარგი შემთხვევებია საჭირო, მეტად მაგარი ხასიათი და რკინის ჯანი, რომ არ დაიღუპონ ეს ღარიბებიდან გამოსულნი ნიჭით მაღალნი პირნი. ბევრი წილი ღარიბთა მაღალი შვილებისა უღროვოდ ესალმებიან წუთისოფელს, ბევრს კი ისე შეუკრავს გზას ეს გათახსირებული ჩვენი ცხოვრება, რომ დაავგმობინებს ყოველისფერს და გადაახვევინებს ჭეშმარიტი გზიდან; იკარგებიან, —იკარგებიან ბევრნი მარგალიტნი ხალხისა.

ყოველი ხალხისათვის საჭიროა ძებნა თავიანთ შვილთა შორის რჩეულებისა—და განსაკუთრებით კი ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომლებიც დიდათ შორსა ვართ ჩამორჩენილი ევროპაზე. საჭიროა, დიდათ საჭიროა იმისთანა შვილების ძებნა და აღზრდა, რომელნიც წაწევენ ჩვენს ქვეყანას. თავიანთი მოქმედებით, სიტყვით, ხელოვნებით; გაუღვიძებენ ხალხს თვითცნობიერებას; გაანათლებენ მას და წამოაყენებენ ფეხზე.

მასთან შეიტანენ მთელი კაცობრიობის ჭკუის სალაროში თავიანთ წვლილს და მით მოუხვეჭავენ ქართველ ერს საქვეყნო სახელს. სად უნდა ეძებონ ქართველებმა ამგვარი კაცები?—საძებნელია ისინი ყველგან, როგორც ძვირფასს პალატებში, ისე ღარიბ ქოხებშიაც, როგორც ცოდნის ტაძრებში, ისე დაბალ სასოფლო სკოლებშიაც. უფრო ღარიბს ქოხებში არიან ჩამწყვდეულნი და დამალულნი მაღალი ნიჭის პატრონნი;—იქ არიან დამარხულები ჰენიოსები... რაც შეეხება ჩვენს დღევანდელს მდგომარეობას,—დიდად სამწუხაროა ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა,—მაგრამ ამაზე უფრო სამწუხაროა ჩვენი თვითშემეცნებით და ნივთიერად ჩამორჩენა. დიაღ! მარტო ნივთიერ სიმდიდრეში არ არის ბედნიერება და დიდება, როგორც მთელი ხალხისა ისე კერძო კაცისა... კაცი, ანუ ხალხი არ უნდა იფასებოდეს ნივთიერი სიმდიდრით, არამედ მისი კეთილი ხასიათით, განათლებით, სიმტკიცით და სულიერი სიმდიდრით; როგორც სიღარიბე-სიღატაკეში ცხოვრება შეაწუხებს და დასტანჯავს კაცს—გინდა ერს—ხორციელადაც და ზნეობრივადაც, ისე მაღალ ფუფუნებაში ცხოვრება სტანჯავს კაცსა ხორციელადაც და ზნეობრივადაც;—ბედნიერებისათვის საჭიროა ჯანმთელობა და სულიერი კმაყოფილება;—ამ საგნის მოპოება და დაცვა არის პირველი და უკანასკნელი საზრუნავი კაცის ცხოვრებაში; სრული ბედნიერება შეუძლებელია, მაგრამ თუ კაცი ჯანმთელია ფიზიკურად,—ჯანმთელია და მდიდარი სულიერად. აი, იმაზე შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის ზურგზე მან მიაღწია შესაფერსა და შესაძლებს ბედნიერებას.

შეუგნებლობა.

შეუგნებლობა აქცევს ხალხსა ფუჭად, არარად;
წაართმევს ძალსა, გახდის მასა სხვისა ლუკმადა;
გადააბრუნებს ერის ბორბალს სხვაფრივ, სხვაგვარად,
წასრული დროის ნაშრომ-ნაღვაწს სტოვებს უქმადა.

შეუგნებლობა შეუმჩნევლად მოჰქანცავს ხალხსა
და დაასუსტებს სულით, ხორცით უვიცს, მძინარეს;
დაუშვებს ნელა დაღმართისკენ, მოუშლის ძარღვსა,
ნელ-ნელ გაუთხრის მას უდროოდ შავსა სამარეს.

—

შეუგნებლობა ჰბადავს ქვეყნად უკუღმართობას,
ის უშლის ხელსა სიყვარულის გამეფებასა,
არ აძლევს იგი ამაღლებულთ კაცთა კაცობას,
სთესავს მათ შორის სიძულვილსა, ბოროტებასა.

—

შეუგნებლობა დასაბამით სისხლის მღვრელია,
სიკეთის, მართლის სილამაზის მძლავრი მტერია.
ის არს მშობელი მწუხარების, სიღარიბისა,
ის არის ჯაჭვი, ის არის ციხე გრძნობის წმინდისა.

—

შეუგნებლობა არს მანქანა სატანჯველისა,
მთავარ მიზეზი კაცთა ტანჯვის და ვაებისა;
სიმშილ-წყურვილით აწვალებს მას ხორციელადა,
გეენის ცეცხლით სწვავს საბრალთა სულიერადა.

თვითშემეცნება

თვით შემეცნება არის ძალა უძლიერესი,
საშუალება უტყუარი არსებობისთვის,
ის არს წამალი, იარაღი უნამდვილესი,
ერის ხანგრძლივად და ჯანმთელად ქვეყნად ყოფნისთვის.

—

თვითშემეცნება ხალხისათვის მტკიცე ფარია,
მას ვერას ავნებს შხამი, ტყვია, ვერცა ხმალია;
თვით შემეცნება არის წყარო უკვდავებისა,
ერთგული მცველი ხალხთ სიწმინდის და ღირსებისა,

—

შეიგნებ თავსა—შესჭამ შემდეგ კეთილსა პურსა,
შეიგნებ თავსა—ჭეშმარიტად ამაღლებ სულსა,—
მაშ გავიღვიძოთ, ძმნაო ჩემნო, შევიგნოთ თავი,
შეგნებულებმა ჩვენ გავფანტოთ წყვდიადი ავი.

დიაღ! უმთავრესი საგანი ჩვენის არსებობისა არის სულიერი სიმაღლე, სულიერი სიმდიდრე, მაგრამ დღეს კი, დღეს, როდესაც არსებობისთვის იბრძვიან ვითა დაბალნი ცხოველნი, როდესაც კაცობრიობის შემადგენელი ერნი ცდილობენ ერთმანეთის გადაყლაპვას,—ნივთიერი სიმდიდრე დიდი იარაღია ხალხისათვის. ქონებით წარმატებული ხალხი წარმატებულია ცხოვრებაში. ის მაგარია, ის თამამია ყოველ საქმეში... ქართველების მოქმედებას, რომ ვაკვირდები გული მიკვდება... არც ერთს არ გვეტყობა სითამამე, არ გვეტყობა გამბედაობა და თავისუფალი, შეგნებული მოქცევა.... ჩვენ ვემგზავსებით უფრო იმისთანა კაცს, რომელმაც ხელა დაუქნია ცხოვრებას და სთქვა: „ეჰ! რაც იქნება, ის იქნება! თუ არ მოვკვდი, ხომ კარგი და თუ მოვკვდი,—სულ ერთიაო“... ყოველ საქმეში გვეტყობა სისუსტე და წვრილმანობა... ჩვენ სტუმარი ვართ ჩვენ სახლში, არ შეგვიძლია თავისი დაფასება და ამით შემთხვევას ვაძლევთ სხვებს—არ დაგვაფასონ და ითარეშონ ჩვენს თავზე... რა არის ამის მიზეზი?—ამის მიზეზი უცოდინარობაა, შეუგნებლობა და სიზარმაცე.—საკვირველია! რას შვრებოდნენ ქართველები, როცა მათ მშვიდობიანის წესით აცლიდნენ ლუკმა პურს ხელიდან?!! მეტყვიან—მაშინ მას ეჭირა ხმალი და არშინის არაფერი გაეგებოდაო. შეიძლება, მაგრამ საქმე იმაში იყო რომ ქართველებს იმ დროს არც ხმალი ეკავათ რიგიანად ხელში, არც თავი ედგათ კისერზე. თავი რომ ჰქონოდათ, მიხვდებოდნენ რომ არშინი ხმალზე უფრო მჭრელია, რომ ხმალი და არშინი ერთად—ნამდვილი თავის დასაცველი იარაღებია... ძველად რაც მოხდა—მოხდა! ეხლა რა მდგომარეობაშია?!... მიზეზი ყოველგვარი უბედურებისა „უცოდინა-

რობაა“, უცოდინარობის მიზეზი **შეუგნებლობაა**, შეუგნებლობის მიზეზი—**უცოდინარობა** და **სიზარმაცე**; სიმდიდრე და შრომა ჰპოულობენ ცოდნას და სიმდიდრეს... განა ქართველობა ნიჭს მოკლებულია? განა მას არ შეუძლია იბრძოლოს ხერხიანად არსებობისთვის?... განა მას არ შეულია, მაგრამ მას ღუპავს შეუგნებლობა...

თუ ხალხსა აქვს თვითშემეცნება,
მას ცხოვრება მარად კარგი ექნება;
ის იქნება სულით-ხორცით ჯან მთელი,
არ გაქრება მის სიცოცხლის სამთელი.

—

ჩემო კარგო! ნუ ხარ შეუგნებელი,
გაიღვიძე, იცან წუთისოფელი;
გამოფხიზლდი, დაიფასე ღირსება,
დაიბრუნე სახელი და დიდება.

—

ეს დრო არის ნათესავი ღორისა,
აქვს მას ძალა—ანგარიში ლომისა;
ტანადობით, მიხვრა-მოხვრით დათვია,
გულით ცივსა ვირის ქურქი აცვია.

—

დრო მოყვრობით დახჩობასა გიპირებს;
შენ შეცდები—შენი შვილი იტირებს;
ჩემო კარგო! ხრამში ნულარ ვარდები,
დაიმტვრევი, შემდეგ ვეღარ აღსდგები.

—

ჰე, ძვირფასო! თუ გაქვს თვითშემეცნება,
სიფრთხილე და ანგარიში გექნება;
შენ გახდები მძლავრი, მცოდნე ჯანმთელი,
გაიბრწყინებს შენი ბედის სანთელი.

—

მოაზრე კაცები წინამძღოლნი არიან, როგორც კერძო პირების, ისე მთელი ხალხის ცხოვრებისა. ისინი არიან წარმომადგენელნი ხალხის სულისა.—ხალხის ბედი ხალხის სულშია—ხალხის სულის წარმომადგენელნი არიან მაგალითად: მეცნიერნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. ისინი არიან გზის მაჩვენებელნი. იმისთვის, რომ ჭეშმარიტად რიგიანი და სასურველი წინამძღოლნი ყავდეს ხალხს, მას უნდა ცდილობდეს, რომ გამოზარდოს სულით მაღალნი შვილნი... საჭიროა იზრუნოს, არ დააკარგვინოს დრო თავის ნიჭიერ შვილებს ლუკმა-პურის საძებნელად. საჭიროა უზრუნველჰყოს ისინი ნივთიერად და სიმხნე და სითამამე შეაზარდოს იმათ პატარობიდან.

— რა მდგომარეობაშია საერთოდ ქართველი მოსწავლე?

ქართველი მოსწავლე არ არის უზრუნველყოფილი ნივთიერად, რომ მან იფიქროს მარტო სწავლის შეძენისთვის... მას აწუხებს ის, რომ ღარიბია.—სიღარიბე სჩაგრავს და ამდაბლებს მას თავის თავის წინ, ამდაბლებს მას თავის მდიდარი ამხანაგების წინ. საიდან ექნება მას სიმამაცე და გამბედაობა? დიაღ!—მაგარი ხასიათის მქონეველ ახალგაზდას არ შეაშინებს სიღარიბე, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მაგარ ხასიათის პატრონები ძვირად არიან ცხოვრებაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი იმ ქართველ მოსწავლებისა, რომლებიც არიან შეძლებულნი ნივთიერად, სწავლობენ მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის—სწავლობენ სახელისთვის; გამოვლენ თუ არა ცხოვრებაში, მიჰყოფენ ხელს, რომ დასტკბენ პირადად და სრულიადაც არ ფიქრობენ საქვეყნო მოვალეობაზე; არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა გამოიყვანს ჩვენ ხალხს ამ არა სასურველი მდგომარეობიდან... როგორ თუ არ ვფიქრობთო? დამიყვირებენ ბევრნი. დიაღ! ბატონებო! გეთანხმებით, რომ ვფიქრობთ: გეთანხმებით, რომ ზოგიერთებს გინდათ საქართველოს ბედნიერება; გინდათ რომ ის არ შთაინთქას დროთა მსვლელობაში; ფიქრობთ, მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება; მას არ აქვს ძარღვი, არა აქვს ძალ-ღონე...

საჭიროა საქმე და, სამწუხაროდ, ეს საქმე აღარ კეთდება ჩვენს ჩამორჩენილ საქართველოში.

რა გამოიყვანს ქართველს ერს ამ არა სასურველი მდგომარეობიდან?—ყველას, ცოტათი მაინც გაღვიძებულს, გაეგება, რომ ხალხის დასახსნელად საჭიროა სინათლე. საჭიროა გამოფხიზლება ხალხისა, გამოღვიძება!.. საჭიროა, რომ განათლების სხივებმა შეაშუქოს ყოველ ბურუსით მოცულ კუთხეებში.

ავიღოთ ერთად ერთი ქეშმარიტად კარგი და სასარგებლო დაწესებულება—„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...“

სინათლე, განათლება... განათლება ე. ი. გადიდება, გაფართოება იმ მცირედი ნათლისა, რომლითაც ვართ დაჯილდოებულნი ჩვენ ყველანი... განათლება,—გაძლიერება, გაღვიძება იმ ნათლისა, რომელიც თვლემს ჩვენს თავში... განათლება,—გაფანტვა, გარღვევა იმ შავი და სქელი ბურუსისა, რომელიც გარს შემორტყმული აქვს ჩვენს მცირედ სულიერს ნათელს, მთელს ჩვენს ცხოვრებას და გასვლა სინათლეში. რა არის სინათლე?—სინათლე არის დაუსრულებელი, გაუზომავი ძალა —სინათლე არის ქეშმარიტება. განათლება არის სისტემატიური გადასვლა ვიწრო გზიდან უფრო ფართო და მაგარ გზაზე, მუდმივი წინსვლა და მისწრაფება სინათლისკენ. რა მნიშვნელობა აქვს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ქართველ ერის ცხოვრებაში? დავიწყოთ წერა-კითხვიდან. წერა-კითხვა არის გასაღები, არის მცირე საშუალება, რომელიც აყენებს ახალგაზდა ნორჩ თაობას განათლების გზაზე; წერა-კითხვა უთითებს მათ აღმოსავლეთისაკენ... ზრუნვა იმაზე, რომ განათლდეს ხალხი, ზრუნვა იმაზე, რომ სინათლემ გაჰფანტოს ბნელი, არის უმაღლესად კეთილი, მოსაწონი და სათნო ყოველგვარ სხვა ზრუნვაზე;—ის არის საქმე ყოველ საქმეზე უფრო კეთილი და ნაყოფიერი; განათლება ხალხისა უდიდესი საქმეა, რაც შეუძლია გააკეთოს კაცის სულიერმა და ფიზიკურმა ძალღონემ. სინათლე არის თვით ღვერთი—ჭეშმა-

რიტება. ნათლდება კაცი—ის უახლოვდება უმაღლესს ნათელს, უახლოვდება ჭეშმარიტებას; განათლება ცოტ-ცოტად ჰკლავს კაცთა სულში პირუტყვულ გრძნობებს და მიმართულებებს, აღვიძებს კეთილ გრძნობებსა და ინსტინქტებს... აკეთილშობილებს კაცებს და აერთიანებს მათ. განათლებას მიჰყავს კაცები, ხალხები მთავარ სინათლისაკენ; აახლოვებს იმათ და აგროვებს ერთს დიად დროშის ქვეშ, რომელზედაც არის დაწერილი—„შრომა, სიმართლე, თავისუფლება, ძმობა, სილამაზე და სიყვარული“. ყველა უმთავრესი წარმომადგენელნი კაცობრიობის ნიჭისა, მაგალითად: ყველა სჯულმდებელნი, ფილოსოფოსნი, მეცნიერნი და სხვანი მხოლოდ მას ცდილობდნენ, რომ გაენათლებინათ გაუნათლებელი უმრავლესობა და ეჩვენებინათ მათთვის გზა. განათლება უჩვენებს კაცს გზას, გააცნობს თავის თავს, გააცნობს ქვეყანას და მთელ კაცობრიობას,—ქვეყნის და თავისი თავის გაცნობით. ის შეიძენს **ცოდნას**. ცოდნა უდრის **სინათლეს**. სინათლე არის **ჭეშმარიტება**.

წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოება არის კრება იმ კეთილ-მყოფელ, სინათლის მოსიყვარულე და სიმართლის მთესველ კაცთა, რომელნიც კაცურად და შეგნებულად ემსახურებიან თავის სამშობლოს, თავის ხალხს; ემსახურებიან აგრედვე მთელს კაცობრიობას.—კაცობრიობას ემსახურებიან იმით, რომ ანათლებენ ერთს კუთხეს მთელის ქვეყნისას. ხელის შეწყობა და ზრუნვა ხალხის განათლებისათვის არის კეთილშობილი სამსახური ხალხისა და კაცობრიობისადმი.

ეხლა ეს ვიკითხოთ: ჰყავს თუ არა ამ მეტისმეტად საჭიროს, ფრიად კეთილსა და სასარგებლო დაწესებულებას სასურველი რიცხვი სიტყვით და საქმითაც თანამგრძნობელთა... ირიცხებიან თუ არა ყველა შეგნებულნი, ყველა შეძლებულნი ქართველნი ამ ბნელის წინააღმდეგ მებრძოლთა რაზმში?! ჩვენდა სამწუხაროდ, დიდათ მცირეა რიცხვი იმათი და ეს კი, ეს სიმცირე ამ რაზმისა; არის უტყუარი გამომხატველი იმისა, თუ რამდენად არის გაღვიძებული ქართველთა თვით-ცნობიე-

რება, რამდენად არის გაღვიძებული ზრუნვა ხალხის კეთილ-
ღღეობისათვის... ჩვენ ვართ ჩამორჩენილი ყველა განათლე-
ბული ხალხებისაგან, - ამ მშვენიერი ქვეყნის მცხოვრებნი ვყო-
ფილვართ მშვენიერნი მხოლოდ გარეგნობით და სულიერად
კი უშნო, ულაზათო, გაუბედავი, წინ-დაუხედველი და უან-
გარიშო. ის გარეგნული სილამაზეც უკან წავა ჩვენი შეუგ-
ნებლობის და უკიცობის წყალობით. დღეს მცირეა რაზმი წე-
რა-კითვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა,—ეს სიმ-
ცირე მარტო ჩვენის სიღარიბით არ აიხსნება. ამ სიმცირის
შეთავარი მიზეზი შეუგნებლობაა და ქართული დაუდევრობა,
შეუგნებლობა და დაუდევრობა არიან მშობელნი სიღარიბისა.
დღეს მცირეა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე აიწევს რიცხვი
საზოგადო მოღვაწეებისა; იმედი მაქვს, რომ უფრო კარგად,
შეგნებულად და გარკვევით დაიწყებენ მოქმედებას აწ ქართ-
ველი ერის მოწინავე პირები (მოწინავე პირებად ვსთვლი მე
ყველას—განათლებულთ და თვითგანვითარებულ-შეგნებულთ),
იმედი მაქვს გააფართოებენ ისინი სამოქმედო ასპარეზს, შეუ-
დგებიან გულ-მოდგინეთ საქმეს, ე. ი. დაიწყებენ ცოდნის სა-
ნათით ჩვენი ხალხის ბნელ კუთხეების განათებას, დაიწყებენ
ცოდნის ზარით უვიც და მძინარე ხალხის გამოღვიძებას, შე-
აგნებინებენ ხალხს თავის თავს და ცხოვრებას,—დარწმუნე-
ბულხი იმაში, რომ ხალხი შეგნებული და ფხიზელი უზრუნველ-
ყოფილია გადაგვარებისა, დასუსტებისა და სხვა უბედურებისა-
გან; არ დაჰზოგავენ თავიანთ ძალღონეს ამ საქმისათვის...

— ჩვენ ღარიბნი ვართ გამოჩენილი პირებით... ხშირად
ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთნი ახალგაზდანი, საშუალო
სასწავლებელ დამთავრებული ყმაწვილები, დიდს იმედს იძლე-
ვიან—დიდს რამეს ჰპირდებიან გულით ქვეყანას, ბევრი მათ-
განი, რომელიც ღარიბნი არიან, ფიქრობს: „საშუალება რომ
მქონდეს სწავლის გასაგრძელებლად, ანუ გარიბალდი გავხდე-
ბი, ანუ პასტერიო“. მოეწყობა ისე საქმე, რომ საზოგადოე-
ბა აძლევს იმისთანებს დახმარებას... ათავებენ „გარიბალდი“
და „პასტერები“ მაღალ სასწავლებელს, იღებენ დიპლომებს

და იქ თავდება მათი საქმე—არც მეცნიერების რიგიანად შესწავლა და მით სარგებლობის მოტანა, არც საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა და მუშაობა ხალხის წარმატებისათვის.—ისინი აირჩევენ ადვილს გზას, ჩაჰყვებიან მიმდინარეობას და მიდიან მოსვენებით დაღმართისკენ. თუ იმათგან ერთი და ორნი გამოვიდნენ ღირს საყურადღებო კაცები, ეს რას უშველის ჩვენს გაჭირვებას. ბევრნი მართლა მაღალის ნიჭით და სულიერის სიმტკიცით დაჯილდოებულნი იღუპებიან სრულიად შეუმჩნეველად და დაუხმარებლად.—ისინი იმდენათ ღარიბნი არიან, რომ ვერ მიიქცევენ ყურადღებას დამხმარებელი საზოგადოებისა—იძულებული ხდებიან შეჩერდნენ... ეს შეჩერება ჰბადავს მათს გულში საშინელს უკმაყოფილებას,—ზოგნი ამ შეჩერების წყალობით გადაუხვევენ განზე და კეთილის მაგიერ სიავის მთესველნი ხდებიან, ზოგნი არ ინდომებენ შეჩერებას,—მიისწრაფიან სულ წინ და ბოლოს მთლად შეაკლავენ თავს მათ შემაჩერებელ მიზეზებს. სად არის საზოგადოება, სად არის ერი, რომ დახმარება გაუწიოს ამგვარ შვილებს?—იტყვიან: განა რა იცის საზოგადოებამ, თუ ვისგან რა გამოვაო.—დიაღ! არ იციან, თუ ვისგან რა გამოვა, მაგრამ შეიძლება შეტყობა იმისი, თუ ვისგან რა გამოვა. საჭიროა მხოლოდ დაკვირებით იმისი ძებნა. საოცარია კაცთა მოქმედება: ოქროს საძებნელად კაცნი კლდეებს აპობენ, მიძვრებიან მიწის შუა გულში, არ ზოგავენ არც შრომას, არც ჭკუას და მოხერხებას, რომ მოსძებნონ და ამოიღონ ოქრო უფსკრულიდან, ამ დროს კი კაცს - ნიჭიერ კაცს, ამ ოქროზე და ყოველ საგანზე უფრო ძვირფასს განძს არ ეძებენ; ხშირად ამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები იმ მაღალ ნიჭიერს კაცებს ტალახში მალავს ხოლმე. საჭიროა ამოიყვანონ ტალახიდან ძვირფასი მარგალიტი, გარეცხონ იგი, ჩამოაცალონ ტალახი და ის იბრწყინებს თავისი გასაოცარი ფერით. მაღალი ნიჭი მარტო იმათ კი არა აქვთ, რომელნიც ათავებენ საშუალო სასწავლებლებს,—არა, უფრო ხშირად ისინი იმალებიან ქოხებში,—საჭიროა მათი მოძებ-

ნა. ვსთქვათ მთელ საქართველოში ამოირჩიეს ასი ახალგაზდა ყმაწვილი, რომლებს ეტყობათ ნიჭი. გაიზარდოს ეს ასი საზოგადო ხარჯით, ამ ასიდან ათი ხომ გამოვა კარგი,—ათს დავეთხოვოთ, ერთი რომ გამოვიდეს კარგი, მაშინაც დიდს მოგება ში ვიქმნებით. სამი ათასი წელზე მეტია, რაც არსებობს საქართველო და ქართველები და რამდენი მაღალი ნიჭის კაცები დაჰბადა მან? აქ რიცხვში არ უნდა მივიღოთ მეფეები და სარდლები, არა, მე ვამბობ იმისთანა პირებზე, რომლებმაც ხელი შეუწყეს სიტყვით, ხელოვნებით, საქმით კაცთა ზნეობრივ წინსვლას, რომლებმაც შეიტანეს წილი კაცობრიობის ჭკუის სალაროში. რომ ვიანგარიშოთ, მეტად მცირე გამოჩენილი კაცთა რიცხვი გამოგვივა: საქვეყნო გენიოსები, ხომ ერთი შოთა რუსთაველის მეტი არ დაუბადნია ქართველობას,—არ გვყავს ფილოსოფოსები და მაღალი მეცნიერები. ეხლა ეს ვიკითხოთ, ნეტავი რა ვიქნებოდით, რომ არ გვყოლოდა შოთა რუსთაველი და ყველა დანარჩენნი ჩვენნი ღიდი და პატარა მწერლები? რა იქნებოდა ჩვენი ფასი, რომ არ გვქონოდა ლიტერატურა, არ გვყოლოდა ლიტერატურის შემქნელნი კაცები?—ჩვენ თუ რამე ფასი გვაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ლიტერატურა და ისტორია გვაქვს—ვიმეორებ, ხალხის დიდების საზომია მისი გამოჩენილი შვილები. ავიღოთ კიდევ მაგალათად ეგნატე ნინოშვილი. ის გარდა იმისა, რომ სასარგებლო იყო და არის ხალხისათვის, მასახელებელია ხალხისა იმდენად, რამდენად არ შეუძლიან ასახელოს ხალხი ათმა მეფემ და ათასმა თავადიშვილმა... და ამისთანა სასარგებლო და სასახელო კაცს სიმშილი და სიცივე აწვალებდა მთელს სიცოცხლეში. ამისთანა კაცი იყო მიგდებული უყურადღებოდ, ამისთანა კაცს მოუღო უდროოდ ბოლო საშინელმა გაჭირვებამ. რა ღირს ქართველებისთვის ეგნატე ნინოშვილი? რომ გამოიღოთ მილიონები იყიდით თუ არა იმისთანა კაცს, იყიდით თუ არა იმ სარგებლობას და სახელს, რომელსაც იძლევა იგი! რა არის მწერალი? მწერალი მოსამსახურეა ხალხისა უკუნით უკუნი-

სამდე. და ამისთანა მოსამსახურეს არ უნდა ჰქონდეს ლუკმა პური თავის მოკლე სიცოცხლეში? მეტად არა სასურველი პირობებში არიან ჩვენი მწერლები... დღემდის და დღესაც ასე ხდება მთელ ქვეყნიერებაზე, რომ მწერლობა შეადგენს თავისებურს სამრეწველო საქმეს, ლიტერატურა თავისებური სავაჭრო საგანია. ეს სიტყვით ვაჭრობა კი საერთო უბედურებაა— საერთო შეუგნებლობა მთელის კაცობრიობისა. სიტყვა კარგია თუ ავი ხელ-მისაწვდენი უნდა იყოს ყველასთვის და არა იმათთვის, ვისაც აქვს ნივთიერი სიმდიდრე და შეუძლია იმ სიტყვის ყიდვა.—მწერალი არ უნდა ჰყიდდეს თავის სიტყვას, არა, ის უფასოდ უნდა აძლევდეს თავისს სიტყვას მთელს საზოგადოებას, მთელს კაცობრიობას.— ის უნდა იყოს კათედრაზე მდგარი ორატორი და კაცობრიობა კი მისი მსმენელი; ის არ უნდა ვაჭრობდეს თავისი სიტყვით,—მას უნდა ეძლეოდეს საზოგადოებისაგან სასყიდელი, უნდა ეძლეოდეს შრომის ფასი...

მწერალი უნდა იყოს ხალხის თავი, სული და თვალი; ის ყოველთვინ უნდა იყოს ცხოვრების სკოლაშ; ის უნდა აკვირდებოდეს ყოველთვის თავის ერის ცხოვრებას, სხვა ერთა ცხოვრებას და თვით ცხოვრებას და რასაც დაინახავს ის, თავისი გამჭრიახის თვალით უნდა აცნობოს თავის ერს და ყველას. განა ერთს ხალხს ათასობით ეყოლება მწერლები, რო მას გაუჭირდეს მათი ნივთიერად მოწყობა? ჩვენს საქართველოს ერთსა და იმავე დროს 20—30-ზე მეტი მწერალი არ ჰყოლია, არცა ჰყავს.—ნუ თუ ძნელია საზოგადოებისათვის, რომ იმათ დახმარება მისცეს?. ის კი არ არის სათქმელი, რომ ზოგი დაწყებიდანვე არ დაიმსახურებს დიდებული მწერლის სახელს— ეს არაფერია, პირველ დროის ჯღაბნიდან—რიგიან წერაზე გადავლენ, თუ იმათ გაუმაგრეს გული, თუ იმათ მისცეს დრო თავისუფლად მუშაობისათვის და თვითგანვითარებისათვის.

ნიჭი საჭიროა უეჭველად, მაგრამ მარტო ნიჭიც ვერაფერს გააკეთებს, თუ ის ვერ შემუშავდა რიგიანად...

მწერლები არიან ხალხის მოლაპარაკე სული... ხალხი

მოვალეა ამ სულის ჯანმთელობაზე ზრუნავდეს. ავიღოთ, მაგალითად, კაცი. თუ კაცი ჯანმთელია ფიზიკურად, მაგრამ ემზგავსება პირუტყვს სულიერად, იდიოტია ანუ შეშლილი, მაშინ ის ხომ არ არის სრული კაცი; მაშინ ის მოკლებულია იმას, რაც შეადგენს გვირგვინს კაცობისას: მოკლებულია საღ ნიჭიერებას. ხშირად ასე არ არის განა, რომ იდიოტები, შეშლილები ჯანმთელი არიან ფიზიკურად, მაგრამ იმათ აკლიათ სისაღე სულისა! ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ საქვე თავია, საქმე სულია,—კაცი მხოლოდ თავშია მოთავსებული,—ამისათვის საგანი კაცის არსებისა არის თავი. როგორც კერძო კაცისათვის პირველი საზრუნავი არის თავი, ისე ხალხისათვის პირველი საზრუნავი არის ხალხის თავის სისაღე-ნათქვამია „გაიცანი იმ ხალხის ლიტერატურა, რომელი ხალხის გაცნობაც გსურს—და იმ ლიტერატურაში დაინახავ მის კარგსა და ავსა —მის სულის ჯანმთელობას და ავადმყოფობასო“;—ლიტერატურა არის სარკე ხალხის სულისა. უტანოდ თავი ვეღარ იცოცხლებს, მაგრამ უთავოდ ტანის არსებობას არა აქვს არავითარი ფასი.—მიზანია თავი—საშუალებაა ტანი. რადგანაც თავს არ შეუძლია არსებობა, მოქმედება უტანოდ, მისი წმიდა მოვალეობა არის ზრუნვა ტანის ჯანმთელობისათვის, რომ იმ ჯანმთელმა ტანმა რიგიანად ასაზრდოვოს თავი, რიგიანი სამსახური გაუწიოს თავს და ემსახუროს მოვალეობას. თუ თავი ჯანმთელია და მოქმედებს რიგიანად, ის რიგიანად წაიყვანს ტანის საქმესაც; კერძო კაცის თავის დანიშნულება არის ზრუნვა მთელი თავის არსების ჯანმთელობისათვის და მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ—სისრულისაკენ... ხალხის თავის არსებობის მიზანი არის ამაღლება, განვითარება ეროვნული სულისა.—ზრუნვა მთელი ერის კეთილ-წარმატებისათვის, ბედნიერი არსებობისათვის,—მასთან განვითარება საერთო კაცობრიული სულისა და გრძნობისა, და ზრუნვა მაზე, რომ ეს კერძო ერი გახდეს შეგნებული წევრი მთელის კაცობრიობის დიადის ოჯახისა.

მეტად არა სასურველ მდგომარეობაში არიან ქართველი

მწერლები. ქართველმა მწერლებმა მარტო წერას რომ მოჰ-კიდონ ხელი, სიმშილით უნდა დაიხოცნენ, რომ არა სწერონ, მთლად ძილი მოერევა ქვეყანას; ამასთან რომ არა სწერონ— არ შეუძლიათ, რადგანც ვერ უარჰყოფენ თავიანთ მისწრაფე-ბას, ვერ ჩაჩუმებენ თავიანთ სულის მოთხოვნილებას! დიდი ხალხების მწერლები თავისი ნაწარმოებით ირჩენენ თავს, ზო-გიერთნი მდიდრდებიან, რაც მეტად არა სასურველი მოვლე-ნად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენში—ჩვენში ეს შეუძლებე-ლია. ხშირად ჩვენი პირველ ხარისხოვანი მწერლების წიგნების ბეჭდვის ხარჯსაც ვერ ასწორებენ; ქართულ წიგნებს მეტად მცირე მკითხველი ჰყავს. არც ერთი ქართველი მწერალი არ გაჰბედავს, რომ მარტო მწერლობას შესწიროს თავი,— ვინც ამას განიძრახავს, იმას სიმშილით სიკვდილი მოე-ლის უეჭველად და, რაც უნდა. იყოს, მწერალიც იმის-თანა არსებაა, რომელსაც აქვს ხორციელი მხარე—სიმშილი იმასაც დააყრევინებს იარაღს.—ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს არა ჰყავს სასურველი რიცხვი მკითხველებისა; ხალ-ხი არ არის განათლებული, არ არის წერა-კითხვის მცოდნე; წიგნები ცოტა გადის. გარდა იმისა, რომ ხალხი გაუნათლე-ბელია, მთავარი მიზეზი მკითხველთა სიმცირისა თვით ქართ-ველი მოწინავე საზოგადოებაა. მიზეზი კი—ამ მოწინავე სა-ზოგადოების უანგარიშობა და დაუდევრობაა. აქა-იქ არიან გარეულნი ამ მოწინავე საზოგადოებათა შორის იმისთანები, რომლებიც იძენენ ქართულ გამოცემებს, თორემ უმეტესობა განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე ქართველი საზოგადო-ებისა არ ცდილობს ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთე-ბის შეძენას. აქა-იქ წაიკითხავენ ისინი რამდენსამე ქართულს წიგნს—მორჩა და გათავდა.

იშვიათი სანახავია შინაური ქართული ბიბლიოთეკები ჩვენს ქვეყანაში. შეიძლება მეცნიერებას არ ჰმატებდეს ქარ-თული წიგნები განათლებულ მკითხველებს, მაგრამ საქმე იმა-შია, რომ ეს ქართული ჩვენია, საკუთარი ჩვენია. ქართული წიგნების ყიდვით, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერით

ყოველი შეგნებული ქართველი ხელს შეუწყობს ქართული მწიგნობრობის აღორძინებას და გაფართოებას. დიდი გასავალი ექნება ქართულ წიგნებს—დიდი შემოსავალიც დაიბადება,—აიწევს, აღორძინდება მწერლობა. იმის გარდა, რომ თვითონ იყიდიან წიგნებს, საჭიროა, დიდად საჭიროა ყველა წერა-კითხვის მცოდნე და შეგნებულმა ქართველმა ხელი შეუწყოს ხალხში წიგნების გავრცელებას. პირველი საზრუნაი არის ხალხის თვით-შემეცნების გაღვიძება. ჰეშმარიტად კარგი იარაღი ხალხის თვითშემეცნების გამაღვიძებელი არის „დედა-ენა“. დედა-ენაზე დაწერილი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ხალხმა ჯერ სად იცის, თუ რა ხილია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ნუ უყურებთ, ბატონნო შეგნებულნო, იმას, სანამ სოფლელი საწყალი გლეხი არ მოვა და არ იყიდის აბაზიან წიგნს მანათად,—თვითონ თქვენ მიუტანეთ, თვითონ თქვენ მიაწოდეთ ხალხს წიგნები, ხან აჩუქეთ, მიჰყიდეთ, მაგრამ მიჰყიდეთ იაფად. მარტო სიტყვებით და კარგის სურვილით ვერას გავაკეთებთ, საჭიროა საქმე:

მარტო სიტყვები ვერას კვრკვებს, ძმანო, მერწმუნეთ,
საჭირო არის მუშაობა, საქმის კეთება;
სამუშაოზე ჩვენ გავიდეთ, მაშინ მეშდურეთ,
თუ რომ ცხოვრება მხიარული ჩვენ არ გვექნება.

რა არის ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა მაშინ, როცა ხალხი ჯანმთელია, მცოდნეა და თვით-მცნობიარეა!.. თუ ხალხი იცნობს თავის თავს, ის არას დროს არ დაიკარგება, რაც უნდა პატარა და სუსტი იყოს. საჭიროა თავის შეგნება. დიაღ, ამ პოლიტიკური მდგომარეობის წყალობით ხალხს შეკრული აქვს გზა,—მას არ აძლევენ ნებას, რომ გამოვიდეს სინათლეში, დაინახოს თავისი თავი და ცხოვრება, მაგრამ ვაჟკაცობა ის არის—ამ უხერხული მდგომარეობიდან გამოვიდეთ. მე დიდათ მაწუხებს ის, რომ ასე უმოწყალოდ გვჩრდილავენ ჩვენ ჩვენს სახლშივე უცხოელნი... მაწუხებს, რომ ჩვენ ღარიბნი ვართ და ჩვენი მშვენიერი, ედემის მზგასვი ქვეყანა სხვების სამხიარულო-საქეიფოდ არის გადაქცეული და ჩვენ

გულ-დაწყვეტილნი უნდა ვუყურებდეთ შორიდან... მაწუხებს ის, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრით იკმაყოფილებს ხორციელს და სულიერს სიმშილს ათი-ათასი უცხოთა ახალგაზდობა და ჩვენი ქვეყნის შვილებს კი სიმშილი აწუხებს ყველგან. აქ ნურავინ დამწამებს იმას, რომ მე მძულდეს ის უცხოთა შვილები,— არა, ჯეშმარიტად ვამბობ, რომ ყველა ისინი მე მიყვარს, ყველა მიყვარს, როგორც ადამიანნი, მაგრამ ამასთან ყველა ისინი საშინლად მძულს, როგორც მხეცნი, ჩემი ლუკმის წამგლეჯელნი... კარგია სიყვარული, მაგრამ თუ ჩემგან ითხოვ სიყვარულსა, განა არ შემიძლია მოვითხოვო შენგანაც სიყვარული. მე ბუნება მეუბნება, იცხოვრეო—შენ კი ლუკმა პურს მართმევ და მეუბნები არ მომიძულოვო... არა, ეს უკანონოა! უკანონოა შეიყვარო ის, ვინც ცდილობს შენი სიცოცხლის მოსპობას. ბუნების წინ მოვალენი ვართ ვემსახუროთ სიცოცხლეს;—მოვალენი ვართ გვიყვარდეს და ვაფასებდეთ სიცოცხლეს, გვიყვარდეს ის, ვინც არ ეწინააღმდეგება ჩვენს სიცოცხლეს; მოვალენი ვართ გვძულდეს ის, ვინც ფიქრობს ჩვენს მოკვლას, მოსპობას!—ამასთან თუ ჩვენ ვართ ჯეშმარიტად შეგნებულნი არსებანი, თუ ვართ კაცნი, უნდა ვეცადოთ ის ჩვენი მტრები გავხადოთ კაცებად!.. მაწუხებს,—რას ქვია ეს „მაწუხებს“? რა სარგებლობას მოვუტან ამ ჩემის წუხილით ქვეყანას? რას უშველის ქვეყანას მარტო სურათების ხატვა? საჭიროა საშუალების მოძებნა, საჭიროა საქმე, ბატონებო; საჭიროა ენერგიული და რადიკალური ზომების მიღება, რომ ვუწამლოთ კაცის და მთელი ერის ავადმყოფობას.

საქმე, საქმე!.. მხოლოდ საქმე კაცური,
რომ დავბადოთ ჩვენ ცხოვრება აქ ძმური;
საქმე, ძმანო, საქმე აწ შეგნებული,
სიკეთისთვის ვიქმნეთ თავ-დადებული.

—

საქმე, საქმე!.. ძველებს ვუთხრათ უარი,
გზა მოვნახოთ ახალი—ჯერ უვალი;

ავაყვაოთ მიწა ეს მშვენიერი
და გავხადოთ კაცი მით ბედნიერი...

—

„...დედავ! ისმინე ქართლის ვედრება,
„ისე აღზარდე შენ შვილის სული,
„რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,
„უკან რჩეს კვალი განათლებული“.

(ამბობს ჩვენი პოეტი ილია ჭავჭავაძე).

—

დიაღ! ვალია დედამ გაზარდოს
მამულის შვილი სულით მაღალი;
შეგნებულ დედამ რომ მოამზადოს
ძე გმირი, სწორი გზითა მავალი...

—

მაგრამ რაღა ჰქნას იმა დედამა,
რომელსაც სტანჯავს სიმშილ-წყურვილი?
რომელს არ ინდობს ეს ცრუ ქვეყანა
და ციხეში ზის რომლის სურვილი?!

—

სამშობლოვ! მითხარ, რა ჰქნას იმ დედამ,
რომელს გარს აკრავს შავი ზეწარი;
რომლის სიცოცხლე ტანჯვაში დნება,
ვაებით მიდის დღე მოკლე მწარი?!...

უმთავრესი საგანი ჩვენის პრაქტიკული მოქმედებისა, უფრო მახლობელი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგანი ჩვენის აზროვნებისა არის და უნდა იყოს კაცი,—კაცი არის ცენტრი, რომლის გარშემო უნდა ტრიალობდეს ჩვენი ფიზიკური და სულიერი ძალ-ღონე. რა არის კაცი? კაცი არის მოაზრე არსება, მეტყველი და უნიჭიერესი ცხოველი დედა მიწის ზურგზე. თუმცა კაცმა არ იცის ის, თუ რა არის ეს ცხოვრება-არსებობა, არ იცის, თუ სად იწყება და სად თავდება ეს სამყარო, არ იცის, თუ საიდან გაჩნდა კაცი და რა დანიშნულება

აქვს კაცის არსებობას, მაგრამ იგი დაუმახსოვრებელი დროიდან ცოცხლობს, არსებობს;—ცოცხლობს კაცი—უყვარს მას ეს სიცოცხლე ძლიერად და ცდილობს განაგრძოს ეს სიცოცხლე.

არსებობს, ცოცხლობს კაციო. არსებობს და ცოცხლობს კაცობრიობა.

კაცობრიობა წარმოადგენს ერთს დიადს ოჯახს, ერთს დიდს კაცს. მთელი ეს ვეებერთელა ოჯახი კაცობრიობისა წარმოადგენს ორგანიზმს, რომელიც შემდგარია სხვა და სხვა ზომის ოჯახებიდან—ხალხიდან. ხალხები თავისთავად წარმოადგენენ ორგანიზმს და შესდგებიან მრავალი ინდივიდუალური ოჯახებიდან. ინდივიდუალური ოჯახები შესდგებიან რამდენიმე წევრებისგან, რომელნიც წარმოადგენენ განცალკევებულს ელემენტებს— კაცებს.

ყველა ხედავს, რომ სიცოცხლე არის ბრძოლა— დაწყებული დაბალ მცენარეებიდან მაღალ არსებამდე—კაცამდე. იბრძვის ყოველი ცოცხალი არსება თავის არსებობისათვის. იბრძვიან ყველანი ცალ-ცალკედ, თითო-თითოდ; იბრძვიან ჯგუფ-ჯგუფად, დას-დასებად. ავიღოთ კაცობრიობა, ე. ი. მთელი ეს დიდი ოჯახი არსების—კაცისა. დიდი ხანი, მეტად დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც კაცმა გაიმარჯვა დედამიწაზე, რაც მან აჯობა ყველა თვისს მოქიშპე ცხოველებს და გაბატონდა მათ შორის. დიაღ! დიდი ხანია მას აქეთ, რაც ის მეფეა დედამიწაზე, მაგრამ სამწუხაროდ ამ დიდს ორგანიზმს, ამ დიდს ოჯახს კაცობრიობისას არა აქვს შეგნებული თავი; ის არ მოქმედობს შეგნებულად, ანგარიშიანად!.. კაცობრიობის ამ დიდ ოჯახში მეფობს სრული უწესრიგობა. შფოთავენ და იბრძვიან კაცობრიობის შემადგენელი ორგანოები—ხალხები. ეს ხალხები ებრძვიან ერთმანეთს სასიკვდილ-სასიცოცხლოდ; ებრძვიან ერთმანეთს მხეცურად. ამ მხეცური ბრძოლის წყალობით წარსული ბევრი ხალხი აღიხოცა დედამიწის ზურგიდან. ყოველი ხალხი წარმოადგენს გაუმაძღარს, სისხლის მსმელ მხეცს, ყოველი ერი იქცევა არა კაცურად, სარ-

გეზლობს არა კაცური ანგარიშით. ყოველი ერი ცდილობს მეტი ჰამოს, მეტი ჰქონდეს, —ის ებრძვის თავის მეზობელს და ართმევს მას ლუკმას. ყველა მათგანი ცდილობს გაიმარჯვოს მეზობელზე, — გათელოს იგი, მიწასთან გაასწოროს, წაართვას ყოველისფერი, მონად გაიხადოს იგი და თვითონ გაბატონდეს მასზე. გამარჯვებით ერთი ფიქრობს იქეიფოს, ინეტაროს და იმხიარულოს; სრულიად არ დასდევს იმას, თუ რამდენად დაიტანჯება ხორციელად და ზნეობრივადაც დამარცხებული ერი. რომ იკითხოთ, რისთვის შერებიან ამას მაღალ ნიჭიერი კაცები,— გიპასუხებენ ზოგიერთნი, რომ ეს ბუნებრივი კანონიაო. დიაღ! ბრძოლა არსებობისათვის არის კანონი ბუნებრივი. მაგრამ რის მაქნისია ეს ჩვენი კაცობა, ჩვენი მაღალი ნიჭიერება და ჭკუა?! რის მაქნისია ეს ჩვენი სულის შემოქმედებითი ძალა, თუ არ ვისარგებლებთ ამით?! ებრძვიან ერთმანეთს ხალხები, — ყოველი დიდი ერის ფიქრი ის არის, რომ დაიმორჩილოს, რაც შეიძლება მეტი, სხვა, მასზე სუსტი, ერი და გამეფდეს მაგათზე.— ზოგიერთნი იმასაც კი ფიქრობენ, დაიპყრან მთელი დედამიწა და მასზე მცხოვრებნი ხალხები. რას ვხედავთ დღეს კაცობრიობის ოჯახში? დღეს ერთი ხალხი, ანუ ძალით, ანუ ვაჭრული მოხერხებით იგდებს ხელში მასზე უფრო სუსტს ხალხს და შემდეგ იმაზე ზრუნავს, რომ მოსპოს ის სუსტი ერი და თავის ერს მისცეს მისი ადგილი, ანუ გადააგვაროს ის სუსტი ერი და ჩაურიოს ის თავის ერის დიდს ზღვაში. ეს მძლავრი ერები სხვა და სხვა სახით და სხვა და სხვა გვარი მოხერხებით აძლევენ დამონავებულ ერებს იმგვარ სულიერ საჭმელებს, რომელნიც გარეგნული შეხედულობით თაფლს წააგავან, მაგრამ ნამდვილად თაფლი კი არა, დამონავებულთა სულის ამოსაძრობი საწამლავნი არიან. ამ შემთხვევაში თუ დამონავებულს ერს არა აქვს მაგარი სული, თუ არა აქვს გაღვიძებული თვითშემეცნება, თუ ხერხიანად, შეგნებულად არ ცდილობს, დაიცვას თავისი თავი გადაგვარებისაგან.—თუ იმ მონობაში მყოფს ხალხს არა აქვს იმდენი ცოდნა, რომ გამოიცნოს თვისება იმ საზრდოსი, იმ საკვები მასალისა, რომლი-

თაკ ასაზრდოებს მას მისი კეთილის მყოფელი ბატონი და არ იხმარს იმ საწამლავის მოპირდაპირე წამალს, ის დაღუპულია, იმისი დღეები დათვლილია,—ის უეჭველად გახდება მსხვერპლი მძლავრი ერის გაუმაძღარის კუჭისა. მოჰკვდება—მოისპობა მისი ხსენება.

თუ ხალხსა აქვს თავი, თვითშემეცნება,
მას ცხოვრება მარად კარგი ექნება;
ის იქნება სულით, ხორცით ჯანმთელი,
არ გაქრება მის სიცოცხლის სამთელი.

—

ქართველობავ! ნუ ხარ შეუგნებელი,
გამოფხიზლდი, იცან წუთისოფელი;
დრო მოყვრობით დახრჩობასა გიპირებს,
შენ შეცდები—შენი შვილი იტირებს...

ამ უკანასკნელ ხანებში მთელი რუსეთის ერს და განსაკუთრებით რუსეთის მფლობელობის ქვეშ მყოფ ხალხებს დაეტყო გამოფხიზლების ნიშანი,—იღვიძებენ და ეძებენ სინათლეში გამოსასვლელ კარებს; მიაწვნენ ერთს ადგილს და გაანგრიეს მეტად მცირე ადგილი ამ უშველებელის, მეტად სქელი ბურუსის კედლისა, მაგრამ ეს მცირე ჭუჭრუტანა ვერას უშველის ჩვენს მდგომარეობას,—ეს დროებით დასაამებელი მალამოა საზოგადოების სატკივრისა. საჭიროა სრული თავისუფლება მიეცეს ნათელს—და ამისთვის კი საჭიროა მთლად კედლების დანგრევა. ყველა ამაების შესასრულებლად საჭიროა შეგნება თვით ამ საჭიროებისა და შეგნებულად განხორციელება მისი, რაც დღემდის სანატრელია უმრავლესობისათვის.

დასაბამიდან—კაცობრიობის მაღალი ნიჭის წარმომადგენელნი ერთხმად მას ქადაგებდნენ, რომ ჩვენ ამ ბუნებრივი კანონებისათვის მიგვემატა ჩვენი „კაცური“ კანონი,—კანონი დამყარებული სიმართლეზე, კაცობრიობაზე, სიყვარულზე და სარგებლიანობაზე. შეგვექმნა კანონი ბუნებრივი—კაცური და

გვეცხოვრა ჭკუიანად, კაცურად, მაგრამ სამწუხაროდ ყოველ-
შეგნებულ პირთათვის და საზარალოდ მთელი კაცობრიობისა,
ის ქადაგებანი დღემდის უყურადღებოდ არიან დარჩენილნი.
კაცებმა ვერ გადაუხვიეს მრუდე გზას, ვერ მიუმატეს ბუნებ-
რივს კანონს კაცური მაღალი ჭკუა-ანგარიში ამ მხრით. ისი-
ნი, როგორც ყოველთვის, აწიც ფიქრობენ ამ მხეცური ბრძო-
ლის, ომიანობის გაგრძელებას, გაუმაძღრობის წყურვილი ჯე-
რაც არ მომკვდარა ხალხთა გულში, მხეცური მიდრეკილება
დღემდის ბატონობს მათ შორის.

დასაბამიდან ქვეყნის ჩარხი ბრუნავს უკუღმა,
მცოდავ ადამსა ჯერ კაცობა არ ეკარება;
ლამაზ მიწაზე ისმის მარად წყევლა და კრულვა,
სიცრუე, შური, ბოროტება ცოცხლობს, მრავლდება.

—

ჩვენ ეს სამოთხე ჯოჯოხეთად გადავაქციეთ,
მეტად შორს არის ჯერ სამოთხე იდეალური;
წმინდა სიყვარულს და სიმართლეს გზა ავუქციეთ,
შავსა უბსკრულში გვიპატიჟებს სული მაცდური.

—

გრძნობა კაცისა დაცემული და გარყვნილია,
ჰარმონიისა მაგიერად მეფობს ხაოსი;
მაღალი ნიჭის მქონი კაცი ძირს დახრილია,
სიცრუე, სისხლი, უმაძღრობა არს მის სამოსი.

—

არა კაცობით ჩვენი ყოფნა ქვეყნად მწარია,
ჩვენ ვართ მორწმუნე, მოთაყვანე ოქრო-ბოროტის;
მან ჩაურია ჩვენს ცხოვრებას ცხარე ძმარია
და უვიცებსა გვახვევია ჯაჭვი მონობის.

—

მეფობს აქ ძალა ბუნებისა მოუხეშავი,
კაცისა ჭკუამ მას კეთილი ვერ გაურია;

უვიცობითა ჩვენ გვადგია მარად დღე შავი,
არ გვაქვს ცხოვრება შეგნებული, ბრძნული, ძმურია.

უთანხმოება და საოცარი ხაოსია გამეფებული მთელის კაცობრიობის ოჯახში. ეხლა შევხედოთ, თუ რა ხდება ეროვნულ ოჯახში და ამის ასახსნელად მოვიყვანოთ მდგომარეობა ინდივიდუალური ოჯახისა. როგორც მოვიხსენიე, ერი შესდგება მრავალი პატარ-პატარა ინდივიდუალური ოჯახებისგან. ინდივიდუალურს ოჯახს შეადგენს რამოდენიმე კაცი. როგორც ჩვენ ვხედავთ ამას ცხოვრებაში, ინდივიდუალური ოჯახის ორგანიზაცია (მხოლოდ ზოგიერთთა გამოკლებით) შესაფერად კარგია და კაცური. ყველა წევრნი კარგის ინდივიდუალურის ოჯახისა არიან გატაცებულნი ერთის ინტერესით. ყველა მათგანი ზრუნავენ საერთოდ ამ ოჯახის წარმატებისათვის და ყველა ამ ოჯახის წევრების კეთილდღეობისათვის. ამ გვარ ოჯახში სუფევს შესაფერად ძმური სიყვარული და ერთი იდეა. დიაღ! ზოგჯერ ამ ოჯახებშიაც შევხვდებით ბევრს არა სასურველ მოვლენებს, მაგრამ საერთოდ ამ ინდივიდუალურ ოჯახთა ქცევა კაცურია, ჭკუიანია და სასურველი. რას შერებიან წევრები ეროვნული ოჯახისა?! საუბედუროდ და საზარალოდ მთელი ერისა, ამ ეროვნულ ოჯახში წევრთა შორის არის დაუსრულებელი ბრძოლა, ბრძოლა საოცარი და საზარელი... ვიკითხოთ—რა იარაღს ხმარობენ საბრძოლველად წევრნი ერთის ერის ოჯახისა?—ისინი ხმარობენ ძალ-მომრეობას და სიცრუეს. ეროვნული ოჯახის წევრნი გაყოფილი არიან ორ ბანაკად,—პირველს ეკუთნიან უმცირესობა ერისა, მეორეს კი დიდ ძალი უმრავლესობა. ხერხიანმა უმცირესობამ ისე მოაგვარა საქმე, რომ დააკანონა თავის სასარგებლოდ უკანონობა, ე. ი. ძალმომრეობა და სიცრუე. უმცირესობა ხმარობს ამ იარაღებს თავის სასარგებლოდ და ამ დროს უმრავლესობას ეუბნება: ძალ მომრეობა უკანონობაა, არა კაცობაა,—ამიტომ უნდა ისჯებოდესო სასტიკი სასჯელით ის, ვინც

ჩაიდენს ამ ძალმომრეობასო. უმრავლესობას ეს სჯერა, მაგრამ განა იმისთვის სჯერა მას, რომ მართლა კარგი და დასაჯერი იყოს? არა,—უმრავლესობას სჯერა იმიტომ, რომ არ გაეგება, თუ როგორ არის საქმე, არ გაეგება, თუ რას უშვრებიან მას... არ გაეგება ის, რომ უმცირესობა სიცრუის ხმლით სჭრის ძარღვებს უვიცს უმრავლესობას და საზრდოებს იმისი სისხლით. ამ დაკანონებული უკანონობის წყალობით ერთის ბედნიერება ათასის უბედურებაზეა აშენებული; ერთის, არა ჰეშმარიტი, არამედ მოჩვენებული ბედნიერებისათვის იტანჯებიან საოცარის სატანჯველით ათასნი იმ ერთის მზგავსი არსებები—კაცები. იბრძვიან კაცები—იბრძვიან მხეცურად; ამ ბრძოლაში იმარჯვებს უმცირესობა და მარცხდება შეუგნებელი უმრავლესობა. ბევრი წილი ამ შეუგნებელი უმრავლესობისა ამ ბრძოლის დროს მთლად იღუპება—ზოგნი კი გადაურჩებიან სიკვდილს, მაგრამ ვაი, ამ გვარ გადარჩენას... ყველა მათგანს აქვს მიღებული ათობით, ასობით და ათასობით ჭრილობები, რომელთა წყალობით მთელი თავიანთი სიცოცხლე კენესასა და ტირილში უნდა გაატარონ. იმარჯვებს ბრძოლაში უმცირესობა, მაგრამ იმარჯვებს მხოლოდ ნივთიერად, -- ზნეობრივად კი გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც წაგებაში არიან. ამ მხეცური ბრძოლის წყალობით—(ბრძოლის წყალობით კი არა, შეუგნებლობის წყალობით, იმიტომ რომ—შეგნებული რომ იყოს კაცობრიობა, შეეძლებოდა ცხოვრების მოწყობა ისე, რომ ყველანი შესაძლებად ბედნიერი ყოფილიყვნენ), ამ მშვენიერს მიწაზე ზნეობრივად უშნო და გარეგნულად კი მშვენიერ კაცთა შორის მეფობენ: სიცრუე, სიძულვილი, მონობა, მტრობა, ანარხია, წყევლა, ჩივილი, მოთქმა, ტირილი... იტანჯებიან კაცები—ღვრიან აუწონელს სისხლსა და ცრემლსა.—ამავე შეუგნებლობის გამო ფეხ-ქვეშ ითელებიან სათაყვანო სიტყვები—სიმართლე, თავისუფლება, ძმობა და სიყვარული, ერთობა, სილამაზე, კაცობა და სიხარული. ვერ იქმნა, ვერ წამოაყენეს ფეხზე ესენი მაღალ-ნიჭიერ კაცებმა.

დიაღ! ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ რა დანიშნულება აქვს თვით ამ ბრძოლას? რისთვის იბრძვიან ყველანი?—რისთვის ვიბრძვით ჩვენ? თუ იბრძვიან და ვიბრძვით ბედნიერების მოსაპოვებლად, ეს ბრძოლა კანონიერია; თუ ბრძოლის დანიშნულება ბედნიერების მოპოებაა, მაშინ ეს ბრძოლა სრულიადაც არ ამართლებს დანიშნულებას. თუ გულ-ახდილად აღიარებს ყველა თავის სულიერს მდგომარეობას, ვნახავთ, რომ ამგვარი ბრძოლის წყალობით ბედნიერებას ვერ პოულობს, როგორც ტანჯული უმრავლესობა, ისე ის ვითომდა გაბედნიერებული უმცირესობაც. ვინც რიგიანად შეხედავს ცხოვრებას, დაინახავს, რომ სიმდიდრის ძებნა ხშირად აუბედურებს მის თაყვანისმცემლებს. თუ კაცი კაცია, იმას სიმდიდრე მარტო ვერ გააბედნიერებს და თუ კაცის სახის მექონი არსება პირუტყვია, ღორია, ის მართლაც რომ ბედნიერი იქნება; ექნება მას ბევრი პური, შეეძლება ვასუქდეს. კაცი, ჭეშმარიტი კაცი არაფრის გზით არ იქნება ბედნიერი, გინდა რომ ჰქონდეს მას უთვალავი მილიონები, იმ დროს, როცა გარშემო შემოხვეული ჰყავს მას მილიონობით ღარიბ-ღატაკნი; როცა მას ესმის საზარელი მწუხარება-ტირილი და ჩივილი; ვისაც კი აქვს კაცური გრძნობა, ვერ აიტანს ამდენ უბედურების ყურებას, მაგრამ დიდი განსხვავებაა ნამდვილ კაცსა და პირუტყვთა შორის. ვიბრძვით ყველანი ბედნიერების მოპოვებისათვის და ბრძოლაში ჩვენ არ ვმოქმედობთ შეგნებულად, ანგარიშიანად; ჩვენი ხელმძღვანელია მხოლოდ ბუნებრივი, ბრმა ინსტინკტი, ამიტომაც ბედნიერების მაძიებელნი ვპოულობთ უბედურებას, სიხარულის მაძიებელნი კი—მწუხარებას. ჩვენ ვართ უვიცნი, უსწავლელნი, გაუმაძღარნი, არ გვაქვს ზომიერება, რიგიანობა, წესიერება; ერთის სიტყვით არა გვაქვს ის, რითაც უნდა განირჩეოდეს კაცი დანარჩენი ცხოველებისაგან—არა ვართ შეგნებული, არა გვაქვს კაცობა.

მეოთხე თხოვნა, „მამაო ჩვენო“-დან ამოღებული.

... ბუნებამა კაცთ აჩუქა უხვი ქვეყანა,
სად ყოველთვის იპოვება პური საკმაო,
მაგრამ კაცი მშიერია, ჯერ ვერ გამძღარა,
მარად ჩივის და იძახის „პური, მამაო“.

—

„პური ჩვენის არსებისა მოგვეც, ღმერთო, დღეს“, —
ეხვეწება დაჩაგრული კაცი უცნობს ღმერთს;
ივი ფიქრობს, რაღაც ძალა ლოცვით მოქრთამოს
და თხოულობს, რომ იმ ძალამ პური აჭამოს.

—

ჩაგრულთ თხოვნას აღარ იღებს ქვეყნის მპყრობელი,
უნუგეშოდ რჩება მარად პურის მთხოვნელი;
შეუგნებელს, უვიცს, მშიერს არ აქვს გარჩევა,
ვერ გაიგო, რომ ამ ქვეყნად მეფობს შემთხვევა.

—

შემთხვევაა მბრძანებელი თავისებური,
მან დაჰბადა ანარხია მიწის ზურგზედა;
უცვლის ფერსა ყოვლისფერსა მუშა ერთგული,
ხან იცინის, ხშირად კი დგას ბოროტ გულზედა.

—

ყველამ იცით, ეს ცხოვრება ცვალებადია;
დღეს შემთხვევა აამაღლებს კაცსა სიმდიდრით,
ხვალ წაართმევს ყველა იმას, რაც აბადია,
შეაწუხებს და დასტანჯავს მდიდარს სიმშილით.

—

დღეს შემთხვევა მოგანიჭებს ბედნიერებას,
მცირე ხნითა შენ გახდები მით კმაყოფილი;
ხვალ კი მოვა და მოგიყვანს უბედურებას,
ხვალ სიმწარე შეიქნება შენი ძმობილი.

—

კაცი სუსტი და შემცდარი ძირს იყურება,
სულ მისძვრება შავს მიწაში, ეძებს ოქროსა;

შეიყვარა მან მამონი, მის ერთგულება,
ითხრის კაცი თავ-უცნობი ბნელსა ორმოსა.

—

ასს ერთმევა შემთხვევითა, —ერთსა ეძლევა,
კაცნი—ძმები ერთმანეთის ხორცსა გლეჯავენ;
ბრძოლით დაღლილთ, გამხეცებულთ, მათ გზა ებნევა,
ერთმანეთის წმინდა სისხლით მიწას ღებავენ.

—

ერთს აწუხებს უპურობა, ძნელი სიმშილი,
ძნელის ჯაფით და სიმშილით უდროდ ბერდება;
მდიდარ მაძღარს კი აწუხებს მუცლის ტკივილი,
და უდროოდ იმასაცა ბოლო ეღება.

—

მდიდარისაც, ღარიბისაც ისმის ჩივილი,
იძახიან: „არ არს ქვეყნად ბედნიერება“.
ისმის ყველგან მწარე მოთქმა, მწარე ტირილი,
ჯოჯოხეთად გაიხადეს მშვენიერება...

—

... იგრძნეთ ძმანო! ამ ქვეყნისა ჩვენ ვართ სტუმარი,
ამ მიწისა გადაყლაპვას აღარ შევიძლებთ:
არ გვექნება სატირალი, არც სამდურავი,—
თავის თავსა და ქვეყანას თუ ჩვენ შევიგნებთ...

—

შემთხვევასა ჩამოვართვათ მისი უფლება,
მეფედ დავსვათ ანგარიში, ჭკუა-კაცური;
მაშინ ბედი სასიკეთოდ გადაბრუნდება,
გაგვახარებს, თუ კი მძლავრად იქმნა დაძრული.

როგორც ზევით მოვიხსენიე, ინდივიდუალური ოჯახის ორგანიზაცია შესაფერად კარგია და კაცური. ინდივიდუალური ოჯახი ზრუნავს სათითაოდ ყველა თავის წევრის კეთილ-დღეობისათვის. ეს ზრუნვა ბუნებრივიც არის და მასთან ჰეშმარიტად კაცური და კანონიერი. ზრუნვა მთელი ოჯახისა

სათითაოდ მისი წევრების კეთილწარმატებისთვის არის ჭეშმარიტად ჭკუიანი და კანონიერი იმიტომ, რომ კეთილწარმატებული წევრები აუცილებლად საჭირონი არიან მთელის ოჯახის კეთილდღეობისათვის, ბედნიერებისათვის. ჯანმრთელი, მცოდნე, შეგნებული და მხიარული წევრებისგან შესდგება ჯანმრთელი, მცოდნე, შეგნებული და მხიარული ოჯახი. თუ ინდივიდუალურ ოჯახში ირღვევა ეს კანონი, ეს შეუგნებლობის ბრალია. ეს შეუგნებლობა და ეს დარღვევა ამ მეტად კეთილი, მარგებელი კანონებისა სტანჯავს და აწუხებს მთელ ოჯახსაც და მის წევრებსაც—სტანჯავს და ასუსტებს ყველა იმათ.

როგორც ინდივიდუალური, ისე ეროვნული ოჯახი მხოლოდ მაშინ იგემებს ბედნიერს ცხოვრებას, როცა ის იქნება შემდგარი ჯანმთელი, შეგნებული და მხიარული წევრებისაგან. ეროვნულს ოჯახს შეადგენენ ისევ ის კაცები, რომლებისაგან შესდგებიან ინდივიდუალური ოჯახები. ყოველი კერძო კაცი წევრია იმ ერის ოჯახისა, რომელ ერსაც ეკუთვნის ის. ყოველი კაცი ზნეობრივად ვალდებულია შეძლებისამებრ იზრუნოს მთელი ოჯახის კეთილწარმატებისათვის, ამასთან ერი, ეროვნული ოჯახი ვალდებულია იზრუნოს გულმოდგინედ, შეგნებულად თავის წევრების კეთილდღეობისათვის; გინდა დავეთხოვოთ ამ კაცურს ზნეობრივს ვალდებულებას, უბრალო, ვაჭრული ანგარიში მოითხოვს, რომ მთელი ერი ზრუნავდეს სათითაოდ თავის წევრების ჯანმრთელობისათვის და წარმატებისათვის, რადგანაც წევრების კეთილდღეობაზეა დამყარებული კეთილდღეობა იმ დიდი ორგანიზმისა, რომელსაც ქვია ერი. რას ვხედავთ დღეს --ერი ზრუნავს თუ არა თავის წევრების ბედნიერებისათვის? ბევრი იტყვის ზრუნავსო და მართლაც პირველი შეხედვით მოგვეჩვენება, ვითამდა ერი შეადგენდეს მართლა იდეალურს, შეგნებულს ოჯახს, რომელიც ზრუნავს სათითაოდ თავის წევრებისათვის და წევრები თავის მხრივ, მთელი ერის კეთილწარმატებისათვის. ზრუნავენ, მაგრამ არა! აქ პირველიც და მეორეც რაღაც მოჩვენებუ-

ლია... ნამდვილად კი, როგორც ამას ხედავს ყველა, ამ დიდს ეროვნულს ოჯახში სუფევს ის საძაგლობა და სიავენი, რომელნიც ასუსტებენ კაცთა მაღალს ღირსებას, რომელნიც ჩირქსა სცხებენ კაცის მაღალ ნიჭს და შემოქმედებითი ძალას. ამ ოჯახში, როგორც ზევით მოვიხსენიე, მეფობს ძალმომრეობა — ძალმომრეობა არა მარტო ბუნებრივი, გამომჟღავნებული და პირდაპირი, არამედ ძალმომრეობა ხელოვნური, ფარისევლური... ძალმომრეობა იმგვარი, რომელსაც საოცარის მოხერხებით ფარდა აქვს წამოფარებული — ძალმომრეობა საზიზღარი და საძაგელი.

ხომა ხედავთ, ძმანო, ამ ჩვენს ცხოვრებას,
ეს სოფელი, ნეტავ, როგორ ტრიალებს?
ასის თავზე ერთი წამოსკუპულა,
ასნი ძრწიან, ერთი იმდენს ღრიალებს.

—

მცოდავია მარად „ადამიანი“,
მშიშარია, სუსტი და შესაბრალი;
მისჩვევია — ეზარება საბრალსა,
რომ დაინძრას და გააღოს მან კარი...

—

რათ არ ჰყოფნის პური საწყალს მუშასა,
ცოტა არის განა მისი სახნავი?!
არა, ძმანო, ეს მაცდურის ბრალია,
მუშა შრომობს, სხვისი არის სახნავი.

—

ვირივითა მიათრევს ის საპალნეს,
ვერას ხედავს — თუმც აბია მას თვალი;
შეუგნებელს, ყრუს და უანგარიშოს
დაბნეული აქვს სიცოცხლის დავთარი.

—

აწ მოგმართავთ მე, პატარა მშრომელი,
მოკლე სიტყვით, ძმებო, ერთობ ყველასა;

გეტყვით იმას, თუ რისგანაც მოველი
სიმწარისა და ჭირისგან შველასა,

—

გავიღვიძოთ, ჩვენი თავი შევიგნოთ,
რა არს ძილი, შიში და ზარმაცობა;
ერთის გულით ვეძებოთ და ვიპოვოთ
ჩვენი წილი და მაღალი „კაცობა“.

—

გავხდეთ კაცნი სულიერად მაღალი,
გაუკაფოდ გზა ჩვენს მაღალს კაცობას;
გავხდეთ მცოდნე, შეგნებული, მაგარი
ხელი ვუწყოთ ბოროტების დამხობას.

—

ნულარ ვიტყვით შავზე, რომ ის თეთრია,
ნულარ ვიტყვით კეთილ თეთრის შავობას,
ძირს სიავე—ვაშა ვუთხრათ კეთილსა,
არ ვუმტყუნოთ ჩვენსა მაღალ-„კაცობას“.

—

ხელი ვუწყოთ, რომ ჩვენ შორის ამაღლდეს
ჯერ დაბალი ეროვნული სულია;
მასთან ერთად სხვა ერებთან კავშირით
განვამტკიცოთ გრძნობა—მეგობრულია.

—

ავაყენოთ, გავამაგროთ, ვანათლოთ
დიდი კერა დაცემულის ერისა;
ხელი ვუწყოთ, რომ ის შეძდეგ შეგნებით
გახდეს მცველი ყველა მისი წევრისა.

—

სიცრუე და სიძულვილი ვაძაგოთ,
სუსტსა ძმებსა უთხრათ საყვედურია;
სიმაგრე და სიყვარული ვამაგროთ,
ვიწყოთ ყველამ მით ცხოვრება ძმურია.

—

დიაღ! შეუგნებლობის, უანგარიშობის წყალობით ერი არ ზრუნავს სათითაოდ თავის წევრების გულისთვის—და ეს კი სტანჯავს და აწუხებს, როგორც მოუველლობის წყალობით დატანჯულ წევრებს ისე მთელი ერსაც. დღეს თუ კი არის რამე ზრუნვა დაჩაგრულთა ცხოვრების გაუმჯობესობისთვის —ეს ზრუნვა არის არა ჭეშმარიტი და რიგიანი, არამედ მომატყუებელი და მთლად საქმის მაფუჭებელი.—საოცარია ჩვენი მოქცევა—უმცირესი ნაწილი ერისა, რომელსაც აქვს ჩაგდებული ძალ-ღონე მთელის ერისა იძლევა სამოწყალოდ ერთ შაურს, უფრო ხშირად ერთ კაპეიკს იმ მანათიდან, რომელიც მან წაართვა უვიცს, შეუგნებელს და ბრმა უმრავლესობას,—და ამით იმას ამბობს, რომ ზრუნავს საერთო კეთილ დღეობისათვის—საოცარია, .საოცარი;—ეს მზრუნველობა კი არა, უარესია ყოველ გვარი კაცის პიროვნების, კაცის ღირსების დამჩაგვრელ მანქანისა. ამ მოწყალეობის წყალობით ხერხიანი უმცირესობა მთლად მიწასთან ასწორებს უმრავლესობის კაცურს ღირსებას. საკვირველი როგორ არ არის ჩვენი მოქმედება,—ჯერ შენ წაგართვას კაცმა ერთი მანათი, მერე იმ მანეთიდან გაჩუქოს შენ ერთი კაპეიკი და ამისთვის კი კეთილ-მყოფელი, პატიოსანი და კაცთ-მოყვარე კაცის სახელი დაიმსახუროს... აი უბედურობაზე დაშენებული უბედურება... აი ჩვენი სიბრმავე შეუგნებლობა და არა კაცობა...

როგორც კარგი ინდივიდუალური ოჯახის წევრები სარგებლობენ მთელი ოჯახის სიმდიდრით, როგორც ეს ოჯახი ზრუნავს თავის წევრებისათვის, ისე ეროვნული ოჯახი ვალდებულია იზრნოს წევრების სასიკეთოდ. ამ ოჯახის სიმდიდრის მონაწილე უნდა იყოს ყოველი წევრი ამ ოჯახისა—ავიღოთ მაგალითად დღევანდელი ღარიბი კაცის ოჯახი. ამ კაცს ეყოლა შვილები, მაგრამ ის ღარიბია, ღატაკია—არ შეუძლია მოუაროს რიგიანად შვილებს, გაზარდოს ისინი და გამოიყვანოს შეგნებულ მოქალაქეებად—ამ დროს ვინ უნდა უპატრონოს იმ შვილებს? ნუ თუ ისინი უნდა დარჩნენ მხეცებად,

როგორც დღეს ხდება ხოლმე? სარგებლობას აძლევს თუ არა საზოგადოებას მათი მხეცებად დარჩენა?! საოცარია, რათ არ ანგარიშობენ მას, თუ რამდენი ზარალი მოაქ ს ამ გვარ შემთხვევებს საზოგადოებისთვის?—ზნეობრივ მოვალეობას, რომ დავეთხოვოთ, სარგებლობის გულისთვის—საერთო სარგებლობის გულისთვის ერი უნდა ზრუნავდეს ყოველი მისი წევრისათვის,—მაგრამ სად არის აქ ერი?--აქ თარეშობენ მხოლოდ უმცირესობის შემადგენელნი. ისინი იმით, რაც დღეს ხდება საზოგადო ცხოვრებაში, სარგებლობენ და ამიტომ არ უნდათ, რომ მთელი საზოგადოების საქმე მოეწყოს კარგად.... რა არის ეს სამშობლო?.. რა არის მამული?... თუ ჩვენ ვუძახით სამშობლოს, მამულს იმ ქვეყანას, სადაც ჩვენ დავიბადეთ, იქ კუთხეს, სადაც სცხოვრობს ის ერი, რომელმაც ჩვენ გვშობა—მაშინ ის რა არის ჩვენი? იტყვიან მშობელიაო... თუ მშობელია—მშობელმა არ უნდა იზრუნოს თავის შვილის აწმყოსა და მომავალზე??. მშობელი ვალდებულია, ზნეობრივად ვალდებულია უპატრონოს შვილებს. ყოველი კერძო კაცი დამოკიდებული უნდა იყოს საზოგადოებისაგან, მთელი ერისაგან—და ერი კი თავის მხრივ დამოკიდებული უნდა იყოს იმ კერძო კაცისაგან. საზოგადოებრივს ცხოვრებაში არ უნდა ჰქონდეს გავლენა შემთხვევას; კაცის ბედი არ უნდა იყოს დამყარებული შემთხვევაზე—კაცი არას დროს არ უნდა იყოს დამოკიდებული ერთი კაცისაგან...

კაცნო, ძმანო, გავახილოთ თვალია,
გავიგოთ ის, თუ სადა ვართ, ან რა ვართ;
ერთსა რამეს დავუპიროთ მხარია,
თორემ ასე ნამდვილ გზაზე ვერ გავალთ.

—

ერთი არის ქვეყნად ეშმარიტება,
ერთი არის სიკეთე და სიმართლე,

ყველა კაცი ერთ კანონით იზრდება,
ერთის მხრილან მოდის სითბო, სინათლე.

—

და აწ ჩვენცა ერთი რამ ვქნათ ორიდან:
ან დავიწყოთ ჩვენ კაცური ცხოვრება,
გავამეფოდ სიმართლე-სიყვარული
გამოვსცვალოთ ეს გარყვნილი დროება,
უარი ვყოთ ინტერესი პირადი,
საქმე ვიწყოთ საერთო და გმირული,
გავიყვანოთ კეთილი გზა მიზნამდი,
შევიყვაროთ ქცევა კაცობრიული...
ან და მხეცნი გავხდეთ სრულად მხეცებად,
უკუ ვაგდოთ სიტყვა ფარისეველური
და ვიწყოთ ჩვენ ბრძოლა, ბრძოლა, და ბრძოლა
მხოლოდ ბრძოლა ბუნებრივი – ველური...

ჩვენ—კაცებმა მივატოვეთ ის ბუნებრივი პირველი დროინდელი პირდაპირული ბრძოლა ერთმანეთთა შორის და მოვიგონეთ ათას გვარი ხერხი ისე მოვაწყეთ ჩვენი ცხოვრება, რომ ყოველ ნაბიჯზე ათას გვარ ხაფანგში ვაბამთ ჩვენს მოძმეებს—ვაბამთ იმათ და ვებმევით ჩვენც. ამ ხაფანგებით ვტანჯავთ და ვაწამებთ ჩვენს ძმებს, ვიტანჯებით და ვისჯებით ჩვენც. ქრისტიანებმა ღმერთს დაუწყეს ვედრება „ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“. სოცარია, ღმერთი,—იმასთან კეთილი ღმერთი, როგორიც წარმოდგენილი ჰყავს ქრისტიანობას არას დროს არ შეიყვანს კაცს განსაცდელში. თუ რიგიანად დაუკვირდებით ჩვენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ჩვენ შეგვყავს ერთმანეთი განსაცდელში—დროა მოვსძებნოთ თავები, შევიგნოთ რა არის ჩვენთვის მავნებელი და მარგებელი... ავაფეთქოთ ნაღმები, რომლებიც ჩვენ ჩავაწყვეთ ჩვენი ცხოვრების გზის ქვეშ, რომლებიც გვიქადიან განადგურებას... გავს-

წმინდოთ სწორი, ფართე და მაგარი გზა მიმავალი აღმოსავლეთისაკენ და გავუდგეთ გზას კაცურად, შეგნებულად.

—

ცხოვრება არის ზღვა მღელვარე, მოძრავი მარად,
ხან დაწყნარდება და დადგება სარკე ბრწყინავი;
ხშირად კი გრგვინავს, ღელავს, კვნესის საზარლად შავად,
გადაიქცევა ჯოჯოხეთად რისხვით მქშინავი.

—

ადამიანნი ვმოგზაურობთ ამ საშიშ ზღვაზე,
რომელიც ფიქრობს ჩვენს ჩაქოლვას და ჩვენსა შთანთქმას:
დადუმებული ეს ცხოვრება, მჯდარი ძველს ნავზე,
განახლებასა აღარ ფიქრობს, უცდის ძველს აღთქმას.

—

დიდი ხანია — ნავი ცვდება, წყალი რომ შესდის,
გახუნებული ის აჩერებს კაცთ წინმსვლელობას;
ჩვენ ამ ნავისა განახლება თავში ვერ შეგვდის,
და აღარ ვფიქრობთ მის დარღვევას, მისსა გამოცვლას.

—

შეუგნებლებსა და უვიცებს გვაქვს გზა შეკრული,
ჩვენ შრომა გვინდა, რომ სიავე არ მივიკაროთ;
შრომა გვჭირია, შრომა, შრომა, რომ გავხდეთ სრული,
რომ ამ სისრულით და კაცობით ჩვენ ვავიხაროთ.

—

გვმართებს, ავიხსნათ ფარდა შავი, — თვალი გავაღოთ,
ცოდნა შეგნებით გაკეთება ამის იაფია;
ცულები, ბარი და გუთანი ხელში ავიღოთ,
და ამოვსთხაროთ, რაც უვარგი, ასაკაფია.

—

დავგმოთ საერთოდ ბოროტი და შეჩვენებული,
სიცრუე, შურის, სიძულვილის მოძმე ერთგული;
შევიქნეთ ერთი-მეორისა მშველი, მომხმარე
და მოვიშოროთ უმაძღარი, ოქროს მოყვარე.

—

შეგნებულებმა ყველა კაცნი ძმებად ვიწამოთ,
ადამიანებს მოვუპოვოთ მათი უფლება;
ჩვენსა წყლულებსა ჩვენის ხელით ჩვენვე ვუწამლოთ,
და გავამეფოთ ქვეყანაზე თავისუფლება.

—

შეგნებულებმა ჩვენ დავამხოთ მტრობა, მონობა,
ჩვენის შრომითა დრო დავბადოთ იდეალური;
ვახაროთ ქვეყნად სილამაზე, ძმობა-ერთობა,
რომ გახდეს კაცი კმაყოფილი და მხიარული.

—

შეგნებულებმა შევებრძოლოთ კაცთ უვიცობას,
ჩვენ მოვიხმაროთ სიმართლისა კეთილი ხმალი;
ვანებოთ თავი უსაქმობას, ერთ ადგილს დგომას
და გავიყვანოთ ცხოვრებისა ახალი კვალი.

—

აწ ავაშენოთ, ძმებო ჩემნო, მტკიცე ხომალდი,
„კომპასი“ - ქარტა დავიჭიროთ და გზა გავაგრძოთ;
ღმერთიც იქნება მაშინ კია ჩვენი ქომაგი,
სიმშილ-წყურვილი წინმსვლელობის ამით გავაძღოთ.

უვიცი—ბრმა უმრავლესობისაგან რა უნდა მოვითხოვოთ?! უმრავლესობა რომ შეგნებული იყოს, სრულიადაც საჭირო არ იქნებოდა მათი თვითშეგნებისთვის ზრუნვა... დიაღ! უმრავლესობა შეუგნებელია, გაუნათლებელი და გაღატაკებული! მთავარი მაზეზი სიღარიბე-სიღატაკისა გაუნათლებლობა, შეუგნებლობაა... მე ვუცხადებ საყვედურს ყველა დიდათ განათლებულებიდან დაწყებული რიგიანად წერა-კითხვის მცოდნე ქართველებს,—საყვედურის ღირსია თავდაპირველად ის განათლებული ქართველობა, რომელიც არ ასრულებს თავისს მოვალეობას ხალხის წინაშე; დიდი საყვედურის ღირსია ისინი, რომელნიც უნდა იყვნენ წინამძღოლნი ხალხისა—და არ არიან ის რაც უნდა იყვნენ;—საყვედურის ღირსნი არიან ყველა ის ქართველი ახალ-

გაზდები, ვაჟებიც და ქალებიც, რომლებმაც მიიღეს განათ-ლება,—რომელნიც ტრიალებენ ქართველთ შორის და არ სთესავენ მათ შორის კეთილ თესლს; რომლებმაც პირადი ინტერესების გულისთვის დაივიწყეს კაცური ინტერესები, კა-ცური მოვალეობა თავის თავისა და სამშობლოს წინაშე,— რომელნიც არამც თუ თვით მცნობიერებას უღვიძებენ ხალხს, არამედ თავიანთი მოქმედებით იძლევიან მეტის მეტად ცუდს, მაგნე მაგალითებს... მოწინავე საზოგადოებას ვაბრალებ მე მას, რომ საქართველოში არ არის გაღვიძებული ეროვნული —საზოგადოებრივი თვითცნობიერება; მე იმათ ვაბრალებ მას, რომ ქართველები ასე შორსა ვართ ჩამორჩენილი ევროპიდან; ჩამორჩენილი ვართ ჩვენი ტოლი ხალხები-საგანაც... რა ვართ ჩვენ? ვიღაც სუსტი, უმნიშვნელო ხალხი—სხვა ხალხთა თვალში. ევროპა ჩვენ არ გვიცნობს და არ ვცდილობთ იმაზე, რომ გავაცნოთ მას თავი. არა-ფელი არ გაკეთებულა საქართველოში ამ ასი წლის გან-მავლობაში იმისთანა, რომელშიაც სჩანდეს სიცოცხლე, სიმ-კვირცხლე და წინ-წევა; ერთად ერთი მანუგეშებელი არის ქართული ლიტერატურა—დიაღ! ლიტერატურა, მაგრამ იმ ლიტერატურაში არ იხატება სიცოცხლის მოყვარე, იმედით აღფრთოვანებული და პროგრესისაკენ მიმქროლავი სული ქარ-თველი ერისა; არა, ქართული ლიტერატურა წარმოადგენს უფრო მოთქმა—ტირილს უიმედო ერისას.—თუ კი არის ქარ-თულ ლიტერატურაში იმედი კარგის და ბრწყინვალე მომავ-ლისა—არის მხოლოდ გაუბედავი და მშიშარა; ქართულ იმედ-ში არ იხატება რწმენა,—ის არის მხოლოდ ნატვრა!—რწმენა მოკლებული იმედი ვერაფრით განირჩევა უიმედობისაგან... რწმენა და იმედი დაკარგული—გინდ იყოს ის ერთი კაცი გინდა მთელი ხალხი—განირჩევა მკვდრისაგან მხოლოდ მით, რომ ის ცოცხალია მხოლოდ დღეს, რწმენა და იმედი დაკარ-გული უეჭველად მოკვდება ხვალისთვის და ეს სულ ერთია დღეს მოკვდები, თუ ხვალ... საქმე უკვდაებაშია დიაღ! ქარ-თველობა არ მომკვდარა ჯერ, მაგრამ ეს იმას კი არ ამ-

ტკიცებს, რომ ის ჰეშმარიტად ცოცხლობდეს. ცოტათი განირჩევა ის მკვდრისაგან; დადგა მეოცე საუკუნე. ამ საუკუნემ ყველას უნდა აუხილოს თვალები... ყოველ ერებს ეტყობათ სიცოცხლე, გამოფხიზლება, რას შვრება ქართველობა?— იმას, რასაც შვრებოდა დღემდის—„არსაით ხმა არსაით ძახილი“!..მე შეცდომით მოვიხსენიე: ამ მეოცე საუკუნემ ყველას უნდა აუხილოს თვალი მეთქი, რას ჰქვია ეს „მეოცე საუკუნე?! განა თავის თავად არსებობენ ეს მეოცე და მეორმოცე საუკუნოები?! არა საუკუნოების შემქნელნი არიან კაცები,—ყოველი ერი თვითვე ჰედავს სხვა ერებთან ერთად თავის საუკუნეს; მეოცე საუკუნე ჩვენ ვერ გაგვიხელს თვალებს,— არა, ჩვენ უნდა გავახილოთ თვალები და დავინახოთ ჩვენი თავიც და სხვაც, დავინახოთ ცხოვრება და ვიმოქმედოთ ისე, როგორც საჭირო იქნება ჩვენი არსებობის დაცვისათვის და ბედნიერებისათვის. ავად არის საქართველო, ქართველი ხალხი... მკითხავენ: რითი არის ავად?—აი საყვარელო მკიდხველო! ქართველებს აწუხებს მეტის მეტად საშიშარი სენი: შეუგნებლობა, თავის თავის რწმენის დაკარგვა, უიმედობა, უხალისობა, გაუბედაობა და სიზარმაცე. ავად არის ქართველობა,—საჭიროა დროზე ვუწამლოთ იმის ავადმყოფობას. ვალდებულად ვსთვლი ყოველ ქართველს ხელი შეუწყოს საზოგადო საქმეს— ხელი შეუწყოს სიტყვით, საქმით ყოველი ქართველის კაცური თვით შემეცნების გაღვიძებას, ხელი შეუწყოს აგრეთვე ყველა ქართველის ეროვნულ თვითშემეცნების გაღვიძებას და მათ დაახლოვებას, დაძმობილებას სხვა ერებთან.

ვიცი, ეწყინებათ კოსმოპოლიტებს ამგვარი აზრი.—მეტყვიან: ვისი ერი, ვის საქართველო და დედა ენა, როცა დადგა დრო, რომელიც თხოულობს ყველასაგან ძმობას, თანასწორობას, ერთობას, რომელიც ფიქრობს მოსპოს კაცნთა შორის სიძულვილი, მონობა და სხვა სიავენი... დიაღ! დასაბამიდან ტანჯული კაცობრიობა მას ნატრობს, რომ გამეფდეს ქვეყნად ძმობა, თანასწორობა, სიყვარული და სიხარული, დიაღ! ამას ნატრობს და კიდევაც არის სანატრელი!..

ნატვრა კი არა. ყოველი კაცი, როგორც წევრი მთელის კაცობრიობისა იმას უნდა ცდილობდეს, რომ დამყარდეს კაცთა შორის ძმობა და თანასწორობა,—რომ გახდეს კაცობრიობა ბედნიერი. ეს უნდა იყოს უმთავრესი საგანი კაცის მოქმედებისა,—მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: ხელს შეუშლის თუ არა საერთოდ ქვეყნად კეთილის დამყარებას ის, თუ ქართველი დარჩება ქართველად,—შეინარჩუნებს თავის ეროვნებას და დედა ენას, თუ ფრანცუზი დარჩება ფრანცუზად და შეინარჩუნებს თავის ეროვნებას და დედა ენას;—ჩემის აზრით—სიცოცხლე ჩირადაც არ ეღირებოდა, რომ არ ყოფილიყო ბუნებაში სხვა და სხვაობა, რომ არ ყოფილიყო ბუნება შეღებილი სხვა და სხვა ფერადობით... ერთფერობა აუტანელი იქნებოდა. განსხვავება აუცილებელი მოთხოვნილებაა უმაღლესად ჭკუიანი ბუნებისა. რას ჰქვია ძმობა, თანასწორობა? ძმობა და თანასწორობა იმაში, მდგომარეობს განა რომ ყოველი კაცები იყვნენ—ერთის სიმაღლისა, ერთის ნიჭისა, ჰქონდეთ ყველას ერთნაირი ფიზიკური ღონე; ერთნაირი სილამაზე და სხვა? არა ამ გვარი თანასწორობა შეუძლებელიც არის, არა, საჭიროც!..

ავიღოთ ძმები—ერთი დედმამის შვილები. ამ ძმათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარებენ ერთის წყაროდან, იქნება აუცილებლად დიდი განსხვავება—ყოველს მათგანს ექნება თავისებური თავისებურობა, თავისებური ინდივიდუალური გარჩევა. არავითარ ქადაგებას ძმობასა და თანასწორობაზე არ შეუძლია მოსპოს ამ ძმათა შორის ის განსხვავებანი, რომელნიც შესისხლხორცებული აქვთ იმათ ბუნებით. ვსთქვათ, რომ მოისპოს კაცთა შორის განსხვაება, რა იქნება მაშინ?—ჩემის ფიქრით ეს იქნება უკანასკნელი დღე კაცობრათბის სიცოცხლისა; ეს იქნება დიდი უბედურება მთელი კაცობრიობისათვის... ამ განსხვავებაში—სხვა და სხვა ფერადობაში არის თვით სიცოცხლე,—მოისპობა განსხვაება—დაეკარგება ხალისი და სილამაზე ცხოვრებას... შორეულ-

მომავალი რას მოგვიტანს, იმაზე აქ ლაპარაკი მეტია,—ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სისტემატიურად, დროის შესაფერად...

ჩვენ ვხედავთ, რომ ღვიძლ ძმათა შორის არის დიდი განსხვავება, მაგრამ ეს მას კი არ ამტკიცებს, რომ ისინი უფლებით თანასწორნი არ იყვნენ, - რომ ისინი ერთ დედმამის შვილნი—ძმები არ იყვნენ!..

ძმები უეჭველად განირჩევიან ერთმანეთისაგან გარეგნული შეხედულობით, სილამაზით, სიმაღლით, ჯანით, განირჩევიან ნიჭიერებით, ხასიათით, მაგრამ ესენი ხელს არ უშლიან იმათ ძმობაში. ისინი ძმები არიან, როგორც შვილნი ერთი დედისა, ისინი თანასწორნი არიან უფლებით, როგორც შვილნი ერთი დედ მამისა!.. იმათ სრული უფლება აქვთ მოუსხდნენ ერთად ერთ სუფრას და ჭამონ პური—ისარგებლონ იმ სიმდიდრით, რომელიც შეადგენს მათი მშობლების კუთნილებას, უფლება აქვენ ატარონ ერთგვარად მამის სახელი და სხვა!.. ყველა ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ სრული, ყოველ მხრივი თანასწრობა შეუძლებელია,—შესაძლოა და დიდათ საჭიროა თანასწრობა უფლებრივი. როგორც ძმათა შორის არის განსხვავება, ისე ხალხთა შორის არის და იქნება დიდხანს განსხვავება!.. დღეს ყოველ ერს აქვს თავისი თავისებურობა, თავისი ინდივიდუალური პიროვნება; ყოველ ერს აქვს თავისებური გარეგნობა, თავისებური ხასიათი და ფსიხოლოგია. ამ თავისებურობის მოსპობა შეუძლებელია უცბად. სასურველია ერთის გულით და სულით, რომ ერთა შორის იქმნეს დამყარებული ძმობა და თანასწორობა. იმ გვარი ძმობა და თანასწორობა, როგორიც უნდა არსებობდეს ჭეშმარიტად იდეალურ ძმათა შორის. ყოველ ერს უნდა ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს დედამიწის სიმდიდრით. ყოველი ერს, როგორც შვილს კაცობრიობისას, უნდა ჰქონდეს სრული უფლება მოუჯდეს სხვა ერებთან—მის ძმებთან—ერთად დედამიწის უხვს სუფრას და ჭამოს პური...

ეროვნების დაცვა, დედა ენის დაცვა ხელს არ შეუშლის საერთოდ ქვეყნად კეთილის დამყარებას...

შეუგნებლობა საერთო სენია, საერთო ავადმყოფობაა მთელი კაცობრიობისა, მაგრამ ჩვენ—ქართველები დიდათ ჩამორჩენილნი ვართ თვითშემეცნებით. ჩვენ არა გვაქვს ჩვენი შინაური, საკუთარი კანონი!.. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არა აქვს გაყრილი ძაფი—ძაფი ქართველობისა—... ვერასფერი გვაკავშირებს ჩვენ ერთმანეთან... თუ ქართველები დღემდის ქართველებად რჩებიან ეს ჩვენი მიწაწყლის ბრალია და არა ჩვენი თვით შემცნებისა... ჩვენ, ქართველებს, რომ გვწვეოდა იმისთანა უბედურება, რა გვარი უბედურებაც ეწვია ებრაელებს—და თვით სომხებსაც,—ჩვენი ხსენებაც კი მოისპობოდა ქვეყანაზე. ჩვენ ვერ შევირჩენდით ჩვენს თავისებურობას და ადვილად გავქრებოდით კაცობრიობის უზარმაზარი ოკეანეში. ძმანო, ქართველნო! შეუგნებლობას წარსულში ჩვენთვის კარგი არ მოუცია, დღეს კარგს არ იძლევა და მოვალისთვის კი მთლად ერთიანად განადგურებას გვიქადის, თუ დროზე არ გავახილეთ თვალი და არ შევიგნეთ თავი.

შეიძლება ბევრმა გამკიცხოს და სთქვას, რომ ვითომც მე ვიყო ხელ-მოკლე პატრიოტი, სხვა ერთა მოძულე და სხვა... არც ერთი და არც მეორე, ძვირფასო მკითხველო, ვიტყვი და ბეჯითებით.

მსურს ერთი სული და გულით ვიყო **მე**, მქონდეს სიცოცხლის ნება **მე**; მქონდეს ბედნიერების მოპოვების ნება **მე** ამასთან მსურს იყვნენ სხვებიც, ცოცხლობდნენ სხვებიც, ბედნიერნი იყვნენ სხვებიც; მეც მინდა გავხდე კაცად და მასთან გახდნენ კაცებად ყველა ჩემი მზგავსი არსებები. მე ეს მინდა, რომ ვიყვნეთ მეც და შენც ერთად; მინდა არც შენ დამახრჩო, მომკლა, წამართვა ლუკმა და არც მე მოგკლა, დაგახრჩო და წაგართვა ლუკმა... მე მინდა იყოს საქართველო, ქართველები—და ამასთან ერთად ყველა ერები. თუ მე არ წარმოვადგენ რამეს მაშინ, რად მინდა მე ეს ჩემი „მე, თუ ჩემი პიროვნება იქნება გასწორებული მიწასთან; მაშინ ვისი პიროვნება უნდა დარჩეს? არა, მეც ვიცხოვრო და შენც იც-

ხოვრე—ვიცხოვროთ ორივემ, სამივემ და ყველამ ერთად ძმურად, კაცურად.

თუ ვინმე სთვლის თავის თავს კაცად და იცავს თავის თავს, უეჭველად საჭიროა მეც ვიცნა თავი კაცად და დავიცვა თავი. არადაცვა დანაშაულობაა თვით ცხოვრების წინ. თუ ვინმე ითხოვს ჩემგან სიყვარულს, განა მე არა მაქვს უფლება მოვითხოვო მისგან სიყვარული! შეგიყვარებ—მეც გიყვარდე. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დაცვა ცხოვრებისა—ერთი ეს უნდა ვიკითხოთ რაშია, ეროვნება? სად ინახება ეროვნება? როგორ შეგვიძლია დავიცვათ ეროვნება? ჩემის ფიქრით, ერს ვერ დავუძახებთ იმას ვინც რაც უნდა დიდი იყოს სიმრავლით, ვისაც არა აქვს საკუთრი ისტორია და ლიტერატურა! ეროვნება ინახება ლიტერატურაში. ეროვნება ინახება დედა ენაში. მშობლური ენა არის ის ძაფი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს შვილებს ერთს ერისას! ვინც დედას არ იცნობს ის არ არის ჭეშმარიტ შვილი იმ ერისა, რომელს ის ეკუთნის შთამომავლობით,—არა, ის გადაგვარებულია, ის შვილია იმ ერისა, რომელ ერის ენაზედ ის საუბრობს უმეტეს წილად,—ავიღოთ ჩვენ რომელიმე ქართველი, რომელმაც არ იცის ქართული—და ლაპარაკობს უცხო ენაზედ,—რა უნდა ჰქონდეს ამისთანა კაცს საერთო ქართველობასთან? ქართული ენა არ იცის, მაშასადამე ქართველიც არ არის. ჭეშმარიტად ქართველობა არ შეუძლია იმას, ვინაც არ იცის ქართული. იმას შეუძლია მხოლოდ შეისწავლოს ისტორია საქართველოსი,—როგორც ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ისტორია ჩინეთისა,—მაგრამ მას არ ექნება ქართული გული და სული, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია გულით და სულით ისე დავუახლოვდეთ ჩინელს, როგორც უახლოვდებით და ახლოს ვართ ქართველთან.

„ენა არს განძი უძვირფასესი, ენა არს ხალხის უკვდავი სული... ენაში—ლიტერატურაში ცოცხლობს სული ხალხისა—მოკვდა ენა—მოკვდა ერიც. აქ მოვიყვან ჩვენ დიდებულ მწერალთა სიტყვებს დედა ენის შესახებ:

უკანასკნელი კუპლეტები თ. რაფიელ ერისთავის „დედა ენა“ —სი:

„მიყვარს მე ენა ჩემი მშობლისა,
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,
ჩემი ტოლების მღერა-ჟღივილსა!...
ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედა ენა!
ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს წყენა,
მშობელს ენაზე მოთქმა, ცრემლთ დენა...
აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,
თორემ დაგწყევლის შენც დედა-ენა!...
ენით ვცოცხალვარ მით, მიყვარს ლხენა
მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა“.

დედა ენის დაცვა, მშობლიური ლიტერატურის გამდიდრება და აღორძინება—არის თვით ჩვენი ღირსების და სიცოცხლის დაცვა; ამიტომ ვალდებულად უნდა რაცხდეს ყოველი ქართველი თავის თავს, ხელი შეუწყოს დედა ენის დაცვის საქმეს ჩვენში. როგორც ბევრჯელ მოვიხსენიე თვითშემეცნება არის უნამდვილესი იარაღი არსებობის დასაცველად—ქართველებისთვის საჭიროა თავის შეგნება. რით შეგნებინებ ქართველებს თავის თავს? ჩემის ფიქრით, განათლების გავრცელებით, მაგრამ განათლების გავრცელებით დედა ენის საშუალებით; მე ვკიცხავ ყველა გადაგვარებულთ და გადაგვარების გზაზე დამდგართ, მაგრამ რადგანაც მე არა მაქვს იმდენად მჭრელი ენა, რომ ვგრძნობინო ყველა იმათ მათი „კარგი კაცობა“, მე მოვიყვან სხვების სიტყვებს, რომლებს შეუძლიანთ ცოტაოდნად მაინც დასაჯონ ორგულები და მასთან დაუხატონ იმათ მნიშვნელობა დედა ენისა.

ღ ა მ უ რ ა.

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა;
დასწყეველა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:

—„იმ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერ ქვეშ მომცა ბინაო!

ვის ეკადრება თაგვებთან
კუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო.

რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი, ერთს წამსა
გადავიელიდი მთებსაო.

რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა, რომ ფრთები ესხმება
და ჩეტის სიხარულითა
საბრალოს თავბრუ ესხმება...

ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყონებლივ ავარდა;
ჩიტებში გამოერია,
იმანაც გაინავარდა...

ჩიტებმა ახედ—დახედეს,
სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?

თვალ-ტანადობა თაგვს უგავს,
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს
ჭირი არის და სენიო!..

ეგება მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილიც იყოსო!
არიქა, ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო“!...

დაჰკივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს, გამოჰკრეს ბრჭყალები;
სისხლი ადინეს ღამურას,
გამოუბნელეს თვალები!

დაღმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველს სადგურს,
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს.

თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მივარდნენ ერთად საკბენად,
—„ჰკა მაგასაო!“—დასძახეს.

მაშინ კი მიხვდა ღამურა:
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირ-ბოროტოდ აუხდა!

გვიანღა იყო! გაფრინდა
ვაკიცხულ-თავლაფ დასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.

—

მას შემდეგ ნანგრევში ჩუდობს,
დღეი ვერ ჩნდებასირცხვილით
და მუდამ ამას წრიპირობს
კვნესით და გულის ტკივილით:

—„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

—

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა!

—

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

—

ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა,
და ახალ ტომშიც გაჭიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა.

—

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჭგმობს დედა ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა.

აკაკი წერეთელი.

დ ე დ ა ე ნ ა.

ჩემო აღმზრდელო ენაო,
აჭყვიდი, იწყე ფრენაო,
გისურვებ სხვათა ენები
შემოგნატრიდეს შენაო.
ავტორი.

ენა ცხოვრების წყაროა,
უკვდავი, დაუშრობელი,
ენა კუკური ვარდია
ხალხისთვის დაუჭკნობელი.
ენა წარსულის მოწმეა
და მომავალის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოის,
ლამპარი გაუქრობელი;
ენა აქვს კაცობრიობას
კედლად და საფუძველადა;
ენა სვეტია ერისა,
მასზე სდგას იგი მთელადა,
ენა აზრს დაასურათებს
და შეიქმს ხორციელადა,
ენაში გამოიხატვის
ბუნების ძალა ვრცელადა.
ენაა ხალხის დიდების
სალარო შესანახავი,
წარსულთა საუკუნეთა
ჩვენ წინა გამომსახავი;
ენა სიწმიდის კვერთხია,
უზადო, დაუზრახავი,
ენაში მოინახების
ყოველი მოსანახავი.
რა ბავშვი შობოს დედამ
ძუძუ აქვს საწოებელი,

ერთად ძუძუსთან ენაა
იმისი მსაზრდოებელი;

ენა თან დასდევს, მსახურობს
ვითა ერთგული მხლებელი,
ენაა მისი საკვები
და მისი მაცოცხლებელი.

ენაა მანათობელი
გვირგვინი ხალხოსნობისა,
ენა სულია ცხოველი
იმისი არსებობისა;

ენა ჯილდოა ღვთიური
კაცობრივისა გრძნობისა,
ენა ერთობის ხიდია
და კავშირია ძმობისა.

ბავშვი ენაში გაიცნობს
თავისსა გარეშემოსა,
სულიერის და უსულოს
საგანს, სახელს და გემოსა;

ვინც, რომ ზამთარი გაძარცვა
და გაზაფხული შემოსა,
მოქალაქობას, სამართალს,
კერძოსა, გინდ სათემოსა.

დედას, რომ შვილი მოსტაცო
აღარ აჩვენო თვალითა
მშობლური გრძნობით ნაწლევნი
დაეწვის ცეცხლის ალითა;

ვერ შეუმცირებ სატანჯველს
ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მეორეს დაჰბადებს
ბუნებრივისა ძალითა.
თუ ხალხს სამშობლო წაართვით,
განსდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
არ დაინთქმება ხვრელშია;

ან შეიქმს ახალს სამშობლოს
უდაბურ ტყე და ველშია,
ან დაიბრუნებს თავისას
მტერს გამოსტაცებს ხელშია.

რაცა აქვს ყველა წაართვით,
ნუ შეეხებით ენასა
და როცა ენას წართმევთ
დაჰკარგავს ხედვა – სმენასა;

ვერ დაიბრუნებს წართმეულს,
დაიწყებს კბილთა ღრჭენასა,
ბოლოს გაქრება, მოკვდება,
მოსპობს სულისა ქშენასა.

არიან ზოგნი ქალ-ვაჟნი
ჩვენივე მიწის შვილები,
სასწავლებლებში გაელილნი
სიყრმიდან ნაცოდვილები,

აღარ მოგვანან ქართველებს,
ბგონიათ გამოცვლილები,
თავის ენაზე საუბარს
ირცხვიან დალოცვილები...

ენა გვაქვს წინაპართაგან,
ვით განძი გადმონაცემი;
და, როგორც სჯული, ენაა
უმაღლეს პატივ-საცემი;

ვინც ენას დაამახინჯებს
იქნება მისი დამცემი,
ის ჩაითვლება საეროდ
ვითა იუდა გამცემი.

რომელიც გასცვლის უცხოზე
მშობლურსა ანაბანასა,

ის თავის ძმასაც უმუხთლებს,
გულში ჩაასობს დანასა;
ვინც დედა ენით არ უმღერს
თავის სამშობლოს ნანასა,
ქების წილ ზიზღით ვიხსენებ
ქართველსა ამისთანასა.

თ. სვიმონ გუგუნავა.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დედა ენას ერის არსებობაში, ამას დაინახავს ყოველი, ცოტაოდნად მაინც გონება გახსნილი ადამიანი, თუ ის რიგიანად შეხედავს კაცობრიობის წარსულს და აწმყოს, ენა არის სული ხალხისა. დავკარგეთ ენა—დაგვირჩება ხელში უსიცოცხლო, უმნიშვნელო გვამი... ეროვნების დაცვა საჭიროა იმდენად, რამდენად საჭიროა დაცულ იქმნას პიროვნება ყოველი ადამიანისა. დაჩაგრულ ერთა წამოყენება საჭიროა იმდენად, რამდენად საჭიროა დაჩაგრულ კაცთა წამოყენება და კაცური ღირსების მინიჭება. ვინც თავისს პიროვნებას არ აფასებს, იმისგან არ შეგვიძლია მოვითხოვოთ რამე; ეროვნების არსებობა ხელს არ შეუშლის საერთო, საკაცობრიო ბედნიერებას; დავიცვათ ეროვნება -- და ამისისთვის კი შევინარჩუნოთ დედა ენა.

დასარულში მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა მეგრელ მოწინავე ახალთაობაზე. (მოწინავეს სახელით ვაჯილდოებ ყველა ორ კლასიანებიდან დაწყებულ—უმაღლესად განათლებულებამდე). თუმც ზოგიერთ ჭეშმარიტად მოწინავედ წოდებულმა ძველმა თაობამაც უმტყუნა თავის კაცურს მოვალეობას და ვერ დაიმსახურა მამულის შვილობა, მაგრამ ეს რაც იყო—იყო, სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელი, ღონით საესე მეგრელ ახალთაობას არ ატყვია სიცოცხლის, სიფხიზლის, სიმკვირცხლის, შეგნების და წინდახედულობის ნიშან-წყალი—მეტი ნაწილი იმათი სულ ერთიანად დაბნეულია... არ აძლევენ თავიანთ თავს ანგარიშს იმისას, თუ რას სჩადიან?! „კუჭის გულისთვის“ იმათ

უარჰყვეს თავიანთი „კაცობა“—ბევრი შიშის, სისუსტის გულისთვის აღიარებს მას რაც არ მიაჩნია კარგად... სამეგრელოში კიდევ ვერ შეიგნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათთვის მშობლიურ ქართული ლიტერატურის შესწავლას; არ გაიგეს, თუ რა განსაცდელი მოელის ქვეყანას, თუ მათ უარჰყვეს ქართული ლიტერატურის შესწავლა და გადავიდნენ მარტო უცხო ენაზე... სკოლებში აუცილებლად უნდა იქმნეს ქართული ენა, მაგრამ მარტო სკოლებით არ უნდა განისაზღვრებოდეს მოქმედება მათი—ყოველი შეგნებული წევრი საზოგადოებისა უნდა სდილობდეს იმაზე, რომ რაც შეძლება ფართედ გავრცელდეს სამეგრელოში, სამურზაყანოში, სვანეთში, აჭარა-ქობულეთში, და სხვაგან ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები!..

ძმანო მეგრელნო, სვანნო, სამურზაყანოელნო გამოფხიზლდით...

„მეგრელთა მიმართ“

—

მეგრელნო, ყური დამიგდეთ,
მოგითხრობთ ძველსა ამბებსა,
თქვენთვის ავაწყობ დღეს ჩემს ჩანგს
თქვენგან გაგონილ ჰანგებსა;
ერთადა შევკრებ, შევკონავ
ვითა მშვენიერს ვარდებსა,
შიგ გამოვხატავ, გამოვსთქვამ
მთლად ჩემის გულის ნადებსა...
და თქვენ მოგიძღვნით არმაღნად
ძვირფასნო, ძმანო და დანო,
ამ თაიგულსა ლექსების,
თან ჩემს სულს გამოვატანო!
მაგრამ, ვაი თუ შორს სტყორცნოთ
თქვენ ეს საბრალო რვეული;

სთქვათ: თუ ქართულს რას ვიკითხავთ,
როცა გვაქვს ჩვენი მეგრული?
  არა, არ იტყვით თქვენ ამას,
არ გაუხარებთ მტერს გულსა,
არ დაუჯერებთ იუდას,
მამულის გამცემს, წყეულსა.
  მოიგონებთ თქვენ წინაპართ—
ქუჯის – მსხნელს სამშობლოისას,
შემოერთებულს ქართველთა,
შემწესა ფარნაოზისას....
  მოიგონებთ დროს, როცა თქვენ
თამართან ერთად მხნეობდით,
უსმენდით დიდსა ჭყონდიდელს,
რუსთველის ქნარით სტკბებოდით.
  შორს რათ მივდივართ! განა თქვენ
არ იყავით, რომ საყდარში,
როცა ქართული არ გესმით,
გაბრაზდით, გამოდით კარში?..
  ნუ თუ იგივე არა ხართ?..
დაეცით სულით, ზნეობით?..
არა,—მწამს—მტრისა განზრახვათ
ჩაჰფუშავთ თქვენის მხნეობით!..

დუტუ მეგრელი.

ᲗᲕᲔᲜ! ᲝᲓᲘᲗᲝ ᲜᲣ ᲒᲫᲘᲜᲐᲕᲡ...

  თავზე ხელი აღებულს,
მღვრიე წყალით წაღებულს,
სძინავს ლამაზს ოდიშსა,
ვერვის უხდის ბოდიშსა...
    ზარმაცობამ დასძლია
  არა აქვს რწმენა და ძალი,

მიდის იქით,—საითკენ
არ არს მისი სავალი.

დაივიწყა მან კაცის
დიდი მოვალეობა
და ცხოვრების შესახებ
არ აქვს სწორი მსჯელობა.

„შავს მოამბეს“ კითხულობს,
სძულს ქართული გაზეთი;
ცუდი მხარე ბევრი აქვს
და კარგი კი არც ერთი.

ეჰ, ოდიშო! ნუ გძინავს,
ოდვა ნუ გიდიდდება;
ნუ გვიანობ, მარჯვე დრო,
მენდე, გაგიფრინდება.

გაახილე თვალები,
არ დაჰკარგო სახელი,
ენდე ქართველობასა,
გაუწოდე მას ხელი

ქართველი ხარ, – ისწავლე
მშობლურ ენის ანია,
რომ ქართველებს მით მისცე
ცხოვრებაში ბანია.

მშობლურ ენის მცოდნემა
იცოდე სხვა ენები,
თორემ უმაძღარ დათვის
არამ კუნჭსა ერგები.

ქართველობის შეგნება
უდიდესი ვალია,
რადგანც ამით გექნება
უძლეველი ხმალია.
ლამაზი ხარ, ეძებ
ჰკუის სიმშვენიერე,
რომ გაჰფანტო გარშემო
შიმორტყმული სიბნელე.

გახდი შრომის მოყვარედ,
გქონდეს ჯანის სიმრთელე
და დასძლიე უვიცო
ცხოვრების გზის სიძნელე.

ძმებთან ერთათ აქციეთ
ედემად ეს ივერი;
ლამაზ კუთხე მიწისა
მდიდარი—მშვენიერი.

შეგნებით და ცოდნითა
გაამდიდრეთ შვილები
და შეჰმატეთ ქვეყანას
კაცთმოყვარე გმირები.

გახდით სხვა ხალხთ ძმებად
ივერიის ძენია,
ყველამ ერთად მონახეთ
სანატრელი დღენია.

თუ ხალხთ შორის დამყარდ
ძმობა და სიყვარული,
მწუხარება გაქრება,
აღსდგება სიხარული.

გამეფდება თანხმობა,
კეთილ მშვენირება,
მიეცემა ტანჯულებს
შვება-ბედნიერება!..

გამოფხიზლდი ოდიშო,
ძილი აღარ გეკმარა?
იცან შენი კაცობა
მასთან მთელი ქვეყანა!..

პავლე აკობი